## რუსეთის უსაფუძვლოდ ლანძღვის გამო ავსტრიელმა ექსპერტებმა კოლეგას «გაულაწუნეს» 16

## საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, ნატოს წევრობის გარეშე, აშშ-ის მთავარი მოკავშირის სტატუსს ვერ მიიღებენ 2

ვოლენ სიდეროვი: 3



## ევროკავშირმა თავისი ახალი წევრები კოლონიებად აქცია და მათი სამრეწველო პოტენციალი გაანადგურა!


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№46 (281)

17 - 23 დეკემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru


27 მარინ ლე პენი:

## ცსს-ს მიერ წამების სასტიკი მეთოდების გამოყენება კიდევ ერთი საბაბია, რომ საფრანგეთმა ნატო დატოვოს

6



## მესამე წელი ბიძინას წელთაღრიცხვით



## ვინ არიან უკრაინაში წასვლის მსურველი ქართველი ოფიცრები და რა დაჯგუფების შექმნას ცდილობს სააკაშვილი? 9

## 4 «ფერადი ხვრელები» და ფაშიზმის გლობალიზაცია

## საქართველოს სპეცსამსახურები არ ჰყავს! 8

## «შეიძლება, ერთ დღეს გავიღვიძოთ და ვნახოთ, რომ საქართველოში გაცილებით მეტი სხვა ეროვნების ბავშვი იბადება, ვიდრე ქართველი»

„1960-1989 წლებში ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 55 ათას კაცს შეადგენდა. ბოლო 24 წლის განმავლობაში, 1990-2013 წლებში კი წლიურმა ბუნებრივმა მატებამ მხოლოდ 9377 კაცი შეადგინა. ეს არის სავალალო რეალობა და, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს სრულად ვერ ვაანალიზებთ“ 11




## ხელისუფლებისგან განსხვავებით, ხალხი ხვდება, რომ არც ნატოა ჩვენი მშველელი და არც ამერიკა — მეგობარი! 12

## «მთელი საქართველო დამოკიდებულია დასავლეთზე, ამერიკაზე...» 13

## არის თუ არა გერმანია ამერიკის ვასალი? 15

## გერმანულის გაკვეთილები უკრაინისთვის და არამხოლოდ მისთვის 18

## ზე-ქარხნები, ზე-კაცი და უმადური ქვე-ყანა 7



## ტუ-აპუნი, ტუ-უილი და სხვა ტუ-ები ქართულ მედიაში

10



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 2014 წელს 128 ჟურნალისტი დაიღუპა

**შვედური არასამთავრობო ორგანიზაცია Press Emblem Campaign- ის მიერ გავრცელებული მონაცემებით, 2014 წელს მსოფლიოში 128 ჟურნალისტი დაიღუპა მოვალეობის შესრულებისას.** 9 ჟურნალისტი უკრაინაში დაიღუპა, რომელთა შორის ოთხი რუსია. ღაზას სექტორში ისრაელის მიერ ჩატარებული საომარი ოპერაციების მიმდინარეობისას დაღუპული ჟურნალისტების რაოდენობა მხოლოდ ივლის-აგვისტოს განმავლობაში 16-ს აღწევს. რაც შეეხება სირიას, იქ 13 ჟურნალისტი დაიღუპა, მათ შორის ისინიც, რომლებსაც „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებმა თავი მოჰკვეთეს. 12 ჟურნალისტი პაკისტანში დაიღუპა, 10 — ერაყში. ჟურნალისტებისთვის ყველაზე საშიშ ქვეყნებად, უკვე რამდენიმე წელია, ითვლება: სირია, მექსიკა, ერაყი, სომალი, ბრაზილია, ჰონდურასი, ფილიპინები, ინდოეთი და პალესტინა.






### სანდრო ბრეგაძე:

## მუხრან ბურჭულაძემ ეროვნული გმირი ზვიად გამსახურდია შეადარა და გააიგივა მიხეილ სააკაშვილთან!

**„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი შეურაცხყოფა, როგორიც მუხრან ნემოს ძე ბურჭულაძემ მიაყენა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის — ზვიად გამსახურდიას სახელს, არ მიუყენებია მის დაუძინებელ მტრებს: თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუასა და სხვებსაც კი“, — განაცხადა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ სანდრო ბრეგაძემ.**

„მან ჩაიდინა გაუგონარი მკრეხელობა და ეროვნული გმირი ზვიად გამსახურდია შეადარა და გააიგივა მიხეილ სააკაშვილთან. ეს იგივეა, რაც წმინდა ილია მართალი ფილიპე მახარაძესთან გააიგივო ან 300 არაგველი — 26 ბაქოელ კომისართან. არ მგონია, რომ ბურჭულაძეს ეს სიბრიყვით ან უცოდინრობით მოუვიდა; ვფიქრობ და ვიცი, რომ ეს „ნაცების“ დავალება იყო. დავალება, რომლის მიხედვითაც სააკაშვილი უნდა წარმოჩნდეს გამსახურდიას დარ პიროვნებად, მასავით დევნილად და საქართველოს თავისუფლებისთვის წამებულად, რომელმაც უნდა წამოიწყოს ახალი ეროვნული მოძრაობა და ა. შ.

ძალიან ბინძურ და უსინდისო თამაშში ჩაუბიათ ახალგაზრდა ბურჭულაძე თავის პატრონებს და მას ისეთ სიბინძურეს აკეთებინებენ, რომ 10 თაობა ვერ ჩამორეცხავს ამ სირცხვილს, თუმცა მასაც გაწყვეტია შუბლის ძარღვი და კომკავშირული ენთუზიაზმით ასრულებს ბინძურ დავალებებს.

„ნაცებო“, თქვენ კი, მინდა, აგიხსნათ, რომ ინდაური უფრო დაიწყებს ფრენას და ყვავი ბულბულივით გალობას, ვიდრე სააკაშვილი ახალი ზვიად გამსახურდია გახდება და ეროვნულ მოძრაობას დაიწყებს!“ — განაცხადა ბრეგაძემ.



## დააპატიმრეს ცნობილი ჟურნალისტი ჯულიეტო კიეზა

**ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ცნობილი იტალიელი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ჯულიეტო კიეზა დააპატიმრეს.**

როგორც ჟურნალისტის მეუღლემ ფიამეტა კუკურნიამ განაცხადა, ჯულიეტო კიეზა, რომელიც ტალინში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობდა და მეორე დღეს მოსკოვში უნდა გაფრენილიყო, სასტუმროში დააკავეს. გასაოცარია, რომ არც მისთვის და არც ესტონეთში იტალიის საელჩოსთვის დაკავების მიზეზი არ უცნობებიათ.

ჯულიეტო კიეზა არის ცნობილი ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე და ევროპარლამენტის ყოფილი დეპუტატი, რომელიც საჯაროდ წერს და ლაპარაკობს, რეალურად რაც ხდება უკრაინაში და რომელმა ძალებმა გამოიწვიეს იქ კრიზისი. კიეზა ხშირად აწყობდა სემინარებსა და კონფერენციებს, რომლებზეც მწვავედ აკრიტიკებდა აშშ-ის პოლიტიკას.

## საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, ნატოს წევრობის გარეშე, აშშ-ის მთავარი მოკავშირის სტატუსს ვერ მიიღებენ



**„რადიო თავისუფლების“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის კონგრესის ორივე პალატამ ერთსულოვნად, თუმცა გარკვეული ცვლილებებით, მიიღო კანონპროექტი „უკრაინის მხარდამჭერი აქტი — 2014“, რომელშიც საქართველოც იყო ნახსენები.**

ამერიკელი კონგრესმენების მიერ მიღებული კანონპროექტი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას, უკრაინისთვის ტექნიკის მიწოდებას, ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებს.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, მაგრამ არ მოითხოვს უკრაინისთვის ლეტალური იარაღით დახმარებას.

„რადიო თავისუფლების“ ცნობით, აშშ-ის კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი უკრაინისთვის ენერგომომარაგების ხელშესაწყობად 50 მილიონი დოლარით დახმარებას ითვალისწინებს, რუსეთში დემოკრატიისა და სამოქალაქო სექტორის გასაძლიერებლად კი — 20 მილიონ დოლარს სამი წლის განმავლობაში.

კანონპროექტით, ასევე, გათვალისწინებულია დამატებით 10 მილიონი დოლარის გამოყოფა საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში „რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ მაუწყებლობის გასააქტიურებლად რუსულ პროპაგანდასთან დაპირისპირების მიზნით.

ამასთანავე, 18 სექტემბერს აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტმა მიიღო „უკრაინის მხარდამჭერი აქტი“, რომელიც საქართველოსთვის, მოლდოვასა და უკრაინისთვის, ნატოს წევრობის გარეშე, აშშ-ის მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა. კანონპროექტს სენატმა გასულ კვირას დაუჭირა მხარი. კონგრესის ორივე პალატის მიერ ცვლილებებით მიღებული კანონპროექტი ძალაში მხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას ხელმოწერის შემდეგ შევა. კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიის ავტორები ამერიკელი სენატორები — რობერტ მენდესი და ბობ კორკერი არიან.

## ავღანეთში კიდევ ერთი ქართული ასეული გაემგზავრა

**ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოდან კიდევ ერთი ნაკრები ასეული გაემგზავრა. ასეულის გაცილების ცერემონია ვაზიანის მე-4 მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა.** ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართეს თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

ქართული ასეულის ავღანეთში გაცილების ცერემონიას დაესწრნენ თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ატაშე, ვიცე-პოლკოვნიკი ბერნარდ ჰოპი, ნატოს სამეკავშირეო ოფისის სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი მაქსიმილიან ედერი და ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ატაშეები.

მეოთხე მექანიზირებული ბრიგადის ნაკრები ასეული საერთაშორისო მისიას ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, მაზარ-ი-შარიფში, გერმანული კონტინგენტის დაქვემდებარებაში შეასრულებს.



### კირილ კულიკოვი:

## სააკაშვილი, შესაძლოა, იმის მაგალითი გახდეს, რომ ყოფილ პრეზიდენტებს იმუნიტეტი არ აქვთ!



**უკრაინის ინტერპოლის ეროვნული ბიუროს ყოფილმა ხელმძღვანელმა კირილ კულიკოვმა საინფორმაციო სააგენტო Ukrainian National News-ს ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა და ინტერპოლის მიერ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ძებნის გამოცხადების შესაძლებლობაზე ისაუბრა.**

კირილ კულიკოვის თქმით, სისხლის სამართლის საერთაშორისო პოლიციის ორგანიზაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს პიროვნების სტატუსს, თუ ვის გამოაცხადებენ ძებნილად, რადგან მთავარია, არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები, რომ მას დანაშაული აქვს ჩადენილი. შესაბამისად, ინტერპოლის წინაშე ყოფილ პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს არავითარი იმუნიტეტი არ გააჩნიათ და ამის რეალური მაგალითი, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილი გახდეს. **„ინტერპოლმა ძებნის გამოცხადებაზე რომელიმე ქვეყნის ეროვნულ სამართლდამცველ ორგანოებს შეიძლება უარი განუცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ სამართლებრივი დევნა გამოწვეულია პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით. ინტერპოლში მოქმედებს კომისია, რომელიც სწავლობს წარდგენილ მასალებს და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას — დააკმაყოფილოს ამა თუ იმ ქვეყნის განაცხადი ამა თუ იმ პირზე ძებნის გამოცხადების თაობაზე,“** — განაცხადა კულიკოვმა.



## ოლეგ მელნიკოვი გაათავისუფლეს

**ადვოკატ ვარლამ ბალხამიშვილის განცხადებით, კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი ოლეგ მელნიკოვი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.**

ოლეგ მელნიკოვს ბრალდება სისხლის სამართლის ორ საქმეზე წარუდგინეს — სანდრო გირგვლიანის მკვლელობის და 2005 წელს ე. წ. მოდულის შენობაში 3 პოლიციელის ცემის საქმეებზე. მელნიკოვმა აღიარა დანაშაული, რომლის სანაცვლოდაც მას პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა.

შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი, რომელზეც ქართველ სამართალდამცავებს ძებნა ჰქონდათ გამოცხადებული, უკრაინელმა სამართალდამცველებმა 2012 წლის 7 დეკემბერს კიევში დააკავეს. მისი ექსტრადირება საქართველოში 21 სექტემბერს მოხდა. მელნიკოვი თავდაპირველად წარდგენილ ბრალდებებს არ აღიარებდა, შემდეგ კი განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ ცნობდა. მან ჩვენებები მისცა ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ.

## ობამა — «2014 წლის წარუმატებელი ადამიანი»

**2014 წელი აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთვის ცუდი აღმოჩნდა. მას თავს დაატყდა ბოლო წლებში დაგროვებული პრობლემები, — წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, რომელმაც ამერიკის პრეზიდენტს, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში წარუმატებლობის გამო, ზედიზედ მეორედ მიანიჭა „პრემია“ — „წლის წარუმატებელი ადამიანი“.** „ვაშინგტონ პოსტმა“ 2008 წელსა და წლეულს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები შეადარა: აღმოჩნდა, რომ 6 წლის წინათ მოსახლეობის 75% იყო დარწმუნებული იმაში, რომ ობამა ეფექტიანად შეძლებდა ქვეყნის მართვას, 2014 წლის ზაფხულში კი — მხოლოდ 43%.



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### უკრაინელი პოლიტოლოგი:
## უკრაინა ევროპისთვის უსარგებლო პროდუქციისა და რადიოაქტიური ნარჩენების ნაგავსაყრელად გადაიქცა!

**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინ დასავლური და უკრაინული პროპაგანდა უკრაინელებს ჰპირდებოდა ევროკავშირთან თანაბარუფლებიან პარტნიორობას, მაგრამ ფაქტია: „ქვეყანა ევროპისთვის უსარგებლო პროდუქციის ნაგავსაყრელად გადაიქცა. დასავლეთის მხრიდან კიევის დახმარება მხოლოდ ომისთვის კრედიტების გამოყოფაში გამოიხატება,“ — განაცხადა უკრაინელმა პოლიტოლოგმა სერგეი პერეხოდმა.**

„პროევროპული ტკბილი პროპაგანდის მიმდინარეობისას ყველა მედიასაშუალება გაჰყვიროდა, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ უკრაინა ევროკავშირის „თანაბარუფლებიანი პარტნიორი“ გახდებოდა და ევროკავშირი უკრაინას მოწინავე ტექნოლოგიებით აავსებდა. გავიდა დრო და უკრაინელებმა დაინახეს, რომ მოწინავე ტექნოლოგიებით დახმარებას არავინ აპირებს, უფრო მეტიც — ჩვენი ქვეყანა ევროპისთვის უსარგებლო პროდუქციის ნაგავსაყრელად გადაიქცა. მაგალითად, სახელმწიფო კონცერნმა „უკრომორონპრინგმა“ შეისყიდა 1980-იანი წლების ბრიტანული ჯავშანტრანსპორტიორების (Saxon) პარტია, რომელიც ჯართად თუ გამოდგება. თვითონ ბრიტანელებმა ეს სამხედრო მანქანები უკვე ჩამოწერეს, რადგან თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. ანალოგიური „დახმარება“ შემოგვთავაზა კანადამაც, რომელსაც უკრაინისთვის ჩამოწერილი გამანადგურებლების (F-18) მიყიდვა სურდა. არ დაიკარგა პოლონური ვაშლებიც, რომლებიც უკრაინის ბაზარზე შემოიტანეს და შედეგად ადგილობრივ პროდუქტს გასაღების პრობლემა შეუქმნეს, თუმცა ამაზე უარესიც შეიძლება მოხდეს. ცდილობენ, უკრაინა რადიოაქტიური ნარჩენების სანაგვედ გადააქციონ.

**მინისტრთა კაბინეტმა უკვე გასცა განკარგულება, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ტერიტორიაზე ატომური ნარჩენების საცავის აშენების თაობაზე. ამაში, რა თქმა უნდა, აშშ დაგვეხმარება — საცავის აშენებას ამერიკული კომპანია Holtec International-ი აპირებს. ამ ატომურ სასაფლაოს არა მხოლოდ უკრაინა გამოიყენებს, არამედ აშშ და ევროკავშირიც. ეკოლოგების აზრი კი არავის აინტერესებს. მიმდინარე წელს დასავლეთი უკრაინის ხელისუფლებას მხოლოდ ქვეყნის ნგრევაში დაეხმარა“,** — წერს უკრაინელი პოლიტოლოგი უკრაინულ ინტერნეტპორტალ Comments.ua-ზე.



### ზბიგნევ ბჟეზინსკი:
## ნატოში უკრაინის გაწევრება კარგს არაფერს მოიტანს!

**ეს თვალსაზრისი გამოხატა ცნობილმა პოლიტოლოგმა და აშშ-ის რამდენიმე პრეზიდენტის მრჩეველმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე, — წერს პოლონური გამოცემა Dziennik.pl-ი.**

„შეზღუდული კონფლიქტი, შეიძლება, რუსეთისთვის უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს, ვიდრე ჩვენთვის, რადგან შეიძლება უკრაინის ეკონომიკისა და დემოკრატიული სისტემის კრახი გამოიწვიოს. ასეთ პირობებში რას მისცემს უკრაინას ნატოში შესვლა და რას მოგვცემს ჩვენ? — აი, ამაზე უნდა ვიფიქროთ და არ უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ უკრაინისადმი სიმპათიით, რომელიც მე ბავშვობიდან მაქვს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ უკრაინული საზოგადოება ღრმად არის გახლეჩილი თავიანთი ქვეყნის ნატოში გაწევრების საკითხზე. უკრაინის გაწევრება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში კარგს არაფერს მოიტანს!“ — განაცხადა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ.



## ხოდორკოვსკი აშშ-ისთვის რუსეთის ატომური არსენალის 160 მლრდ დოლარად მიყიდვას ცდილობდა

**რუსეთის ნაციონალური სტრატეგიის საბჭოს წევრ სტანისლავ ბელკოვსკის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია „იუკოსის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა მიხეილ ხოდორკოვსკიმ 2003 წელს აშშ-ში ვიზიტისას პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის იმჟამინდელ თანაშემწეს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში — კონდოლიზა რაისს განუცხადა, რომ აპირებს რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლას და ამის შემდეგ მზად იქნება რუსეთის ატომური განიარაღებისთვის.**

ინფორმაცია ამ ეპიზოდზე მოყვანილია ბელკოვსკის ახალ მოხსენებაში „ვლადიმერ პუტინის ტრაგედია“.

ხოდორკოვსკის თავისი მომხრეების მხარდაჭერით რუსეთის პრემიერმინისტრის პოსტის დაკავება ჰქონდა განზრახული, — ამტკიცებს ბელკოვსკი. აშშ-თან გარიგება რუსეთის ატომური იარაღის შესახებ გამდიდრების წყარო იქნებოდა თვითონ ოლიგარქისა და მის უკან მდგომი ძალებისთვისაც.

ბელკოვსკის მოჰყავს ციფრები: **ატომური იარაღის უტილიზაციის (მათ შორის, პლუტონიუმის გადამუშავების) შედეგად ხოდორკოვსკი 50-60 მლრდ დოლარს მიიღებდა. კიდევ 100 მილიარდის (ფულით ან ქონებით) მიღებას „იუკოსის“ აქციონერები საორგანიზაციო მომსახურებისთვის, პროპაგანდისტული კამპანიის ჩატარებისა და, როგორც ბელკოვსკის მოხსენებაშია ნათქვამი, „ისტორიის ვაშინგტონური ვერსიით დასრულების გარდაუვალობის დამტკიცებისთვის“ ვარაუდობდნენ.**

მაგრამ, მოხსენების ავტორის ცნობით, ხოდორკოვსკის წინადადება ამერიკელებს მეტისმეტად ავანტიურულად მოეჩვენათ.

2003 წლის 25 ოქტომბერს იმხანად ჯერ კიდევ „იუკოსის“ ხელმძღვანელი ხოდორკოვსკი ნოვოსიბირსკის აეროპორტში დააპატიმრეს და მოსკოვში ჩაიყვანეს, სადაც პროკურატურის თანამშრომელმა მას სისხლის სამართლის კოდექსის 7 მუხლით წაუყენა ბრალდება. 2005 წელს მოსკოვის სასამართლომ ხოდორკოვსკი თაღლითობასა და გადასახადების დამალვაში ბრალდებულად ცნო და 10 წლითა და 10 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ხოდორკოვსკი პატიმრობიდან 2013 წლის 20 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ შეწყალების განკარგულების გამოცემის შემდეგ გათავისუფლდა.



### ვოლენ სიდეროვი:
## ევროკავშირმა თავისი ახალი წევრები კოლონიებად აქცია და მათი სამრეწველო პოტენციალი გაანადგურა!
### დეპუტატი ევროკავშირიდან და ნატოდან ბულგარეთის გასვლას ითხოვს

**ბულგარეთის ნაციონალური პარტია „ატაკას“ ლიდერმა ვოლენ სიდეროვმა რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან და ევროკავშირიდან ბულგარეთის გამოსვლის თაობაზე.**

„დასავლელი გლობალისტები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მართლმადიდებელთა უმცირესობა ღირსეული ცხოვრებისკენ მიისწრაფის, რაც მსოფლიოზე ბატონობის სურვილით შეპყრობილთა შემოსავლებს ემუქრება. მათ გადაწყვიტეს ეომონ რუსეთს და ეს ომი სამხედრო პროვოკაციებსა და ეკონომიკურ სანქციებს გულისხმობს. რუსეთმა „სამხრეთის ნაკადის“ პროექტი იმიტომ შეაჩერა, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ ქედი მოუხარა ევროკავშირს და ამით თავისი ქვეყნის ღირსება და ინტერესები დააზარალა. ყოფილი სოცბანაკის ქვეყნების ხალხებისთვის — რუმინელებისთვის, ჩეხებისთვის, სერბებისთვის, სლოვაკებისა და ბულგარელებისთვის — ზღაპარი „ჩრდილოატლანტიკურ ინტეგრაციაზე“ გაღარიბებითა და ეროვნული ტრადიციების განადგურებით დასრულდა. **ევროკავშირმა თავისი ახალი წევრები, ფაქტობრივად, კოლონიებად აქცია და მათი სამრეწველო პოტენციალი გაანადგურა.**

როგორც ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენა, ნატოსა და ევროკავშირის მორჩილება ვნებს ბულგარეთს. დროა, ამ სტრუქტურებში ბულგარეთის წევრობის საკითხი რეფერენდუმზე გავიტანოთ. დროა, გადავწყვიტოთ, მომავალშიც ვყლაპოთ ევროატლანტიკური მტვერი, ვიდრე არ დავიხრჩობით, თუ გავიხსენოთ ჩვენი ძველი, ევრაზიული ფესვები“, — განაცხადა ვოლენ სიდეროვმა ბულგარეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.



### Foriegn Policy:
## დასავლეთს არ სურს, უკრაინის მდიდარი მფარველის როლი ითამაშოს

**დაპირების მიუხედავად, აშშ-მა და ევროკავშირმა უკრაინას მინიმალური ფინანსური დახმარება გაუწიეს, — წერს Foriegn Policy.**

„როცა საქმე მიდგება უკრაინისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევაზე, დასავლეთი ამჯობინებს, რუსეთის ჯიბეს დაარტყას და არ ითამაშოს უკრაინის მდიდარი მფარველის როლი. ამჟამად აშშ-ის კონგრესში უკრაინის ეკონომიკისთვის დახმარებაზე საუბარი არ არის, სამაგიეროდ, კანონპროექტი რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესებაზე უკვე მოწონებულია. ევროკავშირიც, თავის მხრივ, განიხილავს საკითხს უკრაინისთვის დიდძალი თანხის გამოყოფის შესახებ, თუმცა მოითხოვს, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ ჯერ რეფორმები გაატაროს.

2014 წლის გაზაფხულზე აშშ უკრაინას მილიარდი დოლარი კრედიტის გამოყოფას დაჰპირდა, მაგრამ უკრაინას ჯერჯერობით მხოლოდ „ნამცეცები“ ერგო. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკრაინას დაპირებული 17 მლრდ დოლარის ნაცვლად მხოლოდ 4,6 მილიარდით დაეხმარა“, — ნათქვამია Foriegn Policy-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მოხსენების ავტორები მიუთითებენ, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შეცდომაში შეჰყავდა საზოგადოება და პოლიტიკოსები, მათ შორის, იუსტიციის სამინისტრო. გამოძიება ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და 40 მილიონი დაჯდა. სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ რამენაირად გადაედო ან თავიდან აეცილებინა მოხსენების გამოქვეყნება. როდესაც ეს ვერ მოხერხდა, მოხსენების გასაჯაროების წინ აშშ-მა საზღვარგარეთ საკუთარ დაწესებულებებში უსაფრთხოების ზომები გააძლიერა, რადგან ანტიამერიკულ საპროტესტო გამოსვლებსა და ძალადობას ელოდნენ.**

# «ფერადი ხვრელები» და ფაშიზმის გლობალიზაცია

**„პატიმრის დედა, ცოლი ან შვილები მიჰყავდათ და მათ თვალწინ გაუპატიურებით ემუქრებოდნენ... პატიმრის დედა მის თვალწინ გააუპატიურეს“... ეს სააკაშვილის ციხის „სიკეთეთა“ აღწერა არ გეგონოთ; აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების ფრაგმენტია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ წამების გამოყენების შესახებ 2001-2009 წლებში. ადრეც არაერთხელ დამიწერია და ახლაც გავიმეორებ, რომ ადამიანების წამება და ტერორი სააკაშვილის რეჟიმმა მისი ოკეანისგაღმელი „დემოკრატებისგან“ ისწავლა, რომ აშშ-მა სრულიად დაკარგა მორალური უფლება, ვინმეს დემოკრატია დაუწუნოს და ადამიანის უფლებების დარღვევაზე უსაყვედუროს, ხოლო ჩვენი პროამერიკული ოპოზიციის მცდელობა, შეერთებული შტატებისთვის აეხსნათ, როგორი სასტიკი რეჟიმი ჩამოაყალიბა სააკაშვილმა, მიამიტობა კი არა, სრული სიბრიყვე იყო.**



დღეს უკვე დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **დევიდ კემერონი** აცხადებს, რომ აშშ წამების გამოყენებით რისკავს, დაკარგოს „მორალური ავტორიტეტი“. მისი აზრით, უსაფრთხო მსოფლიოსთვის და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოგება შეუძლებელია, თუ მორალურ ავტორიტეტს დაკარგავ.

ფრანგული პარტია „ეროვნული ფრონტის“ თავმჯდომარე **მარინ ლე პენი** მიიჩნევს, რომ აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ წამების გამოყენების შესახებ 2001-2009 წლებში საფრანგეთს კიდევ ერთ საბაბს აძლევს, რომ ნატო დატოვოს. **„თუ მართლაც ყველანი აღშფოთებული ვართ ამერიკელების მიერ წამების გამოყენებით, მაშინ ნატოდან გავიდეთ“,** — დაწერა მარინ ლე პენმა ტვიტერის მიკრობლოგში.

**მოხსენება 6 ათას 700 გვერდს მოიცავს, მაგრამ სენატის კომიტეტმა მხოლოდ 525 გვერდი გამოაქვეყნა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ, მიუხედავად წამების დახვეწილი ფორმების აღწერისა, მოხსენებაში სიტყვა „წამება“ ერთხელაც არ არის ნახსენები. მის ნაცვლად ევფემიზმები – „დაკითხვის გაფართოებული მეთოდები“ და „დაკითხვის გაძლიერებული ტექნიკები“ გამოიყენება.**

**ქართული პოლიტიკური კლასის (ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილის) პროამერიკულობა უკვე სასაცილო ხასიათს იღებს. მისწერეთ ამერიკის სენატს და კონგრესს სააკაშვილის სისტემის დანაშაულებზე, ძალადობაზე, პოლიციელების მიერ დახვრეტილ ახალგაზრდებზე, პატიმრების წამებაზე, ცოცხებზე და... დაელოდეთ მათ შეშფოთებას! კიდევ — რუსეთის დაშლას დაელოდეთ და მერე ისიც მისწერეთ, რომ «გახშირდა ლეკთა თარეში»! ამასობაში «დემოკრატიაც» გაიმარჯვებს, ნატოსაც ეღირსებით და სოფელიც აშენდება!**

მოხსენების ავტორები მიუთითებენ, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შეცდომაში შეჰყავდა საზოგადოება და პოლიტიკოსები, მათ შორის, იუსტიციის სამინისტრო. გამოძიება ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და 40 მილიონი დაჯდა. სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ რამენაირად გადაედო ან თავიდან აეცილებინა მოხსენების გამოქვეყნება. როდესაც ეს ვერ მოხერხდა, მოხსენების გასაჯაროების წინ აშშ-მა საზღვარგარეთ საკუთარ დაწესებულებებში უსაფრთხოების ზომები გააძლიერა, რადგან ანტიამერიკულ საპროტესტო გამოსვლებსა და ძალადობას ელოდნენ.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ უკვე განაცხადა, რომ მოხსენებაში მოტანილი ცნობები ვერ გახდება სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის საფუძველი. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებებისა და წამების საკითხებზე ხუან მენდესი და ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი ზეიდ რაად ალ-ჰუსეინი კი მიიჩნევენ, რომ წამებაში ყველა მონაწილე უნდა დაისაჯოს და ყოველგვარი იმუნიტეტის გარეშე.

**მიუხედავად იმისა, რომ წამებას ტერორისტული საფრთხეების თავიდან აცილებით ხსნიდნენ, მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ წამება არაეფექტიანი აღმოჩნდა. რაც შეეხება სადამ ჰუსეინის მიერ „ალ ქაიდას“ მხარდაჭერას და უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციას, დღემდე უამრავი კითხვაა პასუხგაუცემელი. 11 სექტემბრის ტერაქტებმაც ძალიან ბევრი კითხვა და ეჭვი გააჩინა, თუმცა ამაზე სხვა დროს. წამება პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უმცროსმა 2002 წელს ე. წ. პატრიოტის აქტით დააკანონა. ეს ტრაგედია ჩინებული საბაბი აღმოჩნდა, როგორც სხვა ქვეყნებში ინტერვენციის, ისე წამების დაკანონების თვალსაზრისით.**

ცსს-ს ყოფილმა ანალიტიკოსმა **რეიმონდ მაკგოვერნმა** განაცხადა, რომ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული მეთოდები გესტაპოს წამების ანალოგიური იყო. „თვით ტერმინი „დაკითხვის გაძლიერებული ტექნიკები“ სიტყვასიტყვით არის ნათარგმნი გერმანულიდან — Verscharfte Vernehmung. ასე ეწოდებოდა გესტაპოს წამების მეთოდების სახელმძღვანელოს. წამების მეთოდებიც ერთნაირია“, — ამბობს მაკგოვერნი.

როგორც მოხსენებიდან ირკვევა, **119 პატიმრიდან (როგორც ჩანს, ეს ციფრიც არ არის დაზუსტებული, რადგან ცსს მხოლოდ 98 პატიმრის შესახებ იუწყებოდა), სულ ცოტა, 26 ადამიანი ამერიკულმა სპეცსამსახურებმა შეცდომით ან ცრუ დასმენით გაიტაცეს. მზვერავები არა მხოლოდ პატიმრებს აწამებდნენ, არამედ მოსახლეობის დამუშავებას ეწეოდნენ. განზრახ „აჟონიებდნენ“ ინფორმაციას პრესაში და ჟურნალისტებს არწმუნებდნენ, რომ წამების წყალობით არაერთი მასშტაბური ტერაქტი აიცილეს თავიდან და, რაც მთავარია,** ▶



ვლადიმერ ოლეინიკი:

## მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც უკრაინელებს ჭკუას ასწავლის, თავისი ქვეყნის კანონები არ იცის!

**უკრაინელის პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა ვლადიმერ ოლეინიკმა განაცხადა, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისი ქვეყნის კანონმდებლობასთან მწყრალად არის.**

„სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი პეტრე პოროშენკოს შეხვდა და მადლობა გადაუხადა თანამდებობის შეთავაზებისთვის, თუმცა უარი თქვა, რადგან საქართველოს მოქალაქეობის დატოვება მოუწევდა.

მე, როგორც იურისტი, მზად ვარ, უფასო იურიდიული დახმარება გავუწიო საქართველოს მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს და შევახსენო, რომ 2014 წლის 1 მაისს საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა მოქალაქეობის კანონში, კერძოდ, ჩაწერა, რომ არ შეიძლება, საქართველოს მოქალაქეებს მოქალაქეობა შეუწყდეთ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემდეგ. სამართლებრივი ნორმა, რომლის თანახმადაც, მოქალაქეობის შეწყვეტა აუცილებელი იყო, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდშიც არსებობდა, როცა მან თავისი ბრძანებულებით ბიძინა ივანიშვილს, საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების გამო, საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა. მოგვიანებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტის ბრძანებულება გააუქმა, ხოლო პარლამენტმა კანონი შეცვალა.

უკრაინელებისთვის დამამცირებელია, როცა მათ ჭკუას ისეთი ადამიანები ასწავლიან, რომლებმაც თავიანთი ქვეყნის კანონებიც კი არ იციან... გარდა ამისა, პოროშენკოს სურდა, ვიცეპრემიერად ისეთი ადამიანი დაენიშნა, რომელსაც ბრალი აქვს წაყენებული მრავალი დანაშაულის ჩადენაში, სახელმწიფო სახსრების განიავებიდან დაწყებული, მიტინგის სასტიკად ჩახშობით დამთავრებული“, — განაცხადა ვლადიმერ ოლეინიკმა.

მოკლედ

## «სამხრეთის ნაკადი» «თურქულ ნაკადად» გადაიქცა



**10 დეკემბერს ანკარაში გამართულ ნავთობისა და გაზის დარგის განვითარებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამოსვლისას თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმა განაცხადა, რომ რუსეთ-თურქეთის ახალ გაზსადენს სახელად „თურქული ნაკადი“ დაერქმევა.** „ეს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შემომთავაზა და გადავწყვიტეთ, განახლებულ „სამხრეთის ნაკადს“ „თურქული ნაკადი“ დავარქვათ. გაზსადენი რუსეთის ტერიტორიიდან შავი ზღვის ფსკერზე ჩაიდება, გაივლის თურქეთის ტერიტორიას და საბერძნეთის საზღვრამდე მივა“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა. ერდოღანმა ასევე აღნიშნა, რომ თურქეთი და ევროპა იმდენ გაზს მიიღებენ, რამდენიც დასჭირდებათ, გაზით უზრუნველყოფის პრობლემა არ იქნება. ამრიგად, თურქეთი მთელი რეგიონის ენერგეტიკულ ჰაბად (გამანაწილებელ კვანძად) გადაიქცევა.

## ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2005 წელს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ წამების ეფექტიანი მეთოდების შესამუშავებლად ორი ამერიკელი ფსიქოლოგი დაიქირავა — გრეისონ სვიგერტი და ჰემონდ დანბარი, რომლებმაც საგანგებოდ შექმნეს ფირმა. ამერიკის ბიუჯეტიდან მიღებული 80 მილიონი დოლარის სანაცვლოდ მათ წამების 20 სახე შეიმუშავეს. მათ შორის, ადამიანის ცოცხლად დამარხვაც იყო. წამების 10 მეთოდი ცსს-მაც კი მხეცურად მიიჩნია და არ გამოუყენებია.

**◀ბენ ლადენის კვალს მიაგნეს. ჰოლივუდი აღფრთოვანებული იყო — ბოევიკ „პირველი სამიზნეში" დახრჩობის იმიტაციის სცენა პირდაპირ არის ნაჩვენები, როგორც გარდაუვალი ბოროტება. წამება ერთობ ხარჯიანი საქმე გამოდგა. მისი ორგანიზება აშშ-ის ბიუჯეტს 2002–2006 წლებში 300 მილიონი დოლარი დაუჯდა. ამ თანხაში პერსონალის ანაზღაურება არ შედის.**

დაკითხვები მიწაზე, ჰაერში (თვითმფრინავებში) და წყალზე (გემებზე) მიმდინარეობდა. ამ ინდუსტრიაში (დაკავებებში, პატიმრების გადაყვანაში) მსოფლიოს 54 ქვეყანა იყო ჩართული. მათი სია ჯერ კიდევ 2013 წელს გამოაქვეყნა სოროსის ფონდმა. ინფორმაცია ავღანეთში, ერაყში, ტაილანდში, მაროკოში, რუმინეთში, ლიტვასა და პოლონეთში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეების შესახებ კიდევ უფრო ადრე – 2011 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

**2005 წელს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ წამების ეფექტიანი მეთოდების შესამუშავებლად ორი ამერიკელი ფსიქოლოგი დაიქირავა — გრეისონ სვიგერტი და ჰემონდ დანბარი, რომლებმაც საგანგებოდ შექმნეს ფირმა. ამერიკის ბიუჯეტიდან მიღებული 80 მილიონი დოლარის სანაცვლოდ მათ წამების 20 სახე შეიმუშავეს. მათ შორის, ადამიანის ცოცხლად დამარხვაც იყო. წამების 10 მეთოდი ცსს-მაც კი მხეცურად მიიჩნია და არ გამოუყენებია. სამაგიეროდ, გამოიყენა ისეთი ხერხი, როგორიც არის ადამიანის დამწყვდევა კუბოს ზომის საკანში. პატიმარმა აბუ ზუბაიდამ იქ 266 საათი დაჰყო. დღეს იგი სასამართლოს მიერ გამართლებულია.**

**ხალიდ შეიზ მუჰამედს 183-ჯერ ახრჩობდნენ წყალში. პატიმრებს ერთი კვირის განმავლობაში არ აძლევდნენ ძილის საშუალებას, აშიშვლებდნენ და გაყინულ ბეტონის იატაკზე ყრიდნენ. საკნებში მუდმივად იყო ჩართული ლითონის ღრჭიალისა და ძაღლის ყეფის ხმა. ტუალეტში გასვლას (სინამდვილეში ათეულობით პატიმარზე ერთი, ჩვენში რომ ეძახიან, „პარაშა" იყო) უკრძალავდნენ და დღეების განმავლობაში ერთი პამპერსით ამყოფებდნენ. ჭერზე კიდებდნენ ბორკილებით. მჟავის შხაპის ქვეშ აყენებდნენ, რაც კანის დამწვრობას იწვევდა. გლეჯდნენ ფრჩხილებს, იარებზე შხამიან მწერებს ასხამდნენ. საკვების დაპირებით ერთმანეთზე აქეზებდნენ პატიმრებს, რომელიც გლადიატორული ბრძოლებით და პატიმრების სიკვდილით მთავრდებოდა.**

ერთი პატიმარი ისე აწამეს, რომ მას ქრონიკული ჰემოროი ჩამოუყალიბდა, უკანა ტანი ერთიანად დახეთქილი ჰქონდა და სწორი ნაწლავი გარეთ უვარდებოდა. მოხსენებაში არ წერია, როგორ აწამეს ეს პატიმარი. ტექსტის საკმაოდ დიდი ნაწილი მასში რეტუშირებულია.

**ხომ არაფერი გაგახსენდათ, მკითხველო, ცოცხის გამოყენებას ხომ არ ჰგავს ეს სურათი?**

„იისფერი ხვრელი" — ასე მოიხსენიებენ ცენზურირებულ მოხსენებაში ლიტვას, სადაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 2009 წელს გავრცელდა. თავდაპირველად აშშ ატყუებდა ლიტვის ხელისუფლებას ობიექტის დანიშნულების შესახებ. ციხე მხოლოდ მას შემდეგ დაიხურა, რაც იქ მყოფი პატიმრის მკურნალობაზე ლიტველმა ექიმებმა უარი თქვეს და მისი სხვა ქვეყანაში გადაყვანა და მკურნალობა მილიონები დაჯდა. **როგორც ლიტველი ჟურნალისტები წერენ, 2003 წელს საიდუმლო ციხის გახსნა ლიტვას ნატოში შესვლის პირობად წაუყენა აშშ-მა.**

ნატოს აჩრდილის ფონზე ვითარდებოდა ანალოგიური მოვლენები **პოლონეთშიც.** 2002 წელს იგი სულ სამი წლის შესული იყო ნატოში და, პოლონელი ჟურნალისტების აზრით, ძალა არ შესწევდა, წინააღმდეგობა გაეწია სტრატეგიული პარტნიორისთვის საიდუმლო ციხის მის ტერიტორიაზე განლაგებისთვის. ცოტა ხნის წინათ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად აღიარა ევროპაში ცსს-ს საიდუმლო ციხეების არსებობა. პოლონეთში ამ მიზნით სადაზვერვო სამმართველო იყენებდა ობიექტს კოდური სახელწოდებით „კვარცი". იქვე მდებარეობს პოლონეთის დაზვერვის სააგენტოს სასწავლო ცენტრი.

პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა **ალექსანდრე კვასნიევსკიმ** ახლა აღიარა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობდა ცსს-ს საიდუმლო ბაზა, სადაც ტერორიზმში ეჭვმიტანილებს, სავარაუდოდ, აწამებდნენ. კვასნევსკიმ განაცხადა, რომ თანხმობა მისცა ბაზის განლაგებაზე, მაგრამ „წამებაზე ლაპარაკი არ ყოფილა".

პრეზიდენტი ობამა წამების ფაქტებს მოკრძალებულად უწოდებს „შეცდომას". „ერთი რამ, რაც განასხვავებს ჩვენს ქვეყანას სხვებისგან, არის ის, რომ ჩვენ შეცდომებს ვაღიარებთ. ჩვენ ჩავიდინეთ ზოგიერთი რამ, რამაც დაარღვია ჩვენი, როგორც ერის, შესახებ წარმოდგენა".

„ზოგიერთი რამ" არა მხოლოდ წამებაა, არამედ არაერთი ინტერვენცია, რომელიც აშშ-მა განახორციელა ბოლო 20 წლის განმავლობაში. საინტერესოა, რომ ინტერვენციებს სწორედ წამების გზით მოპოვებული „მტკიცებულებებით" ამართლებდნენ. მაგალითად, ყველას ახსოვს კოლინ პაუელი, რომელმაც თეთრფხვნილიანი პაკეტი წარადგინა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ამტკიცებდა, რომ ეს „სადამის ქიმიური იარაღია". ჩვენება ამის შესახებ წამების გზით მიიღეს ვინმე იბნ-ალ-შეიხ ალ-ლიბისგან, რომელიც ეგვიპტეში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თხოვნით და ჰოსნი მუბარაქის ბრძანებით დააპატიმრეს! მოგვიანებით იგი ლიბიის ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მუამარ კადაფიც თანამშრომლობდა ცენტრაhლურ სადაზვერვო სამმართველოსთან. სად არიან დღეს სადამი, მუბარაქი და კადაფი, კარგად მოგეხსენებათ!



## როგორც ლიტველი ჟურნალისტები წერენ, 2003 წელს საიდუმლო ციხის გახსნა ლიტვას ნატოში შესვლის პირობად წაუყენა აშშ-მა




**ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო მხარდაჭერას აზერბაიჯანი, საქართველო, ლიტვა და უზბეკეთი უწევდნენ. ავღანეთის, პაკისტანისა და ეგვიპტის გარდა, „ფერადი ხვრელები" შვედეთის, ფინეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, დანიისა და ისლანდიის ძალოვან სტრუქტურებშიც აღმოჩნდა.**

პრეზიდენტ ობამას, დაპირების მიუხედავად, დღესაც არ აქვს ლიკვიდირებული ბუშის საიდუმლო პროგრამები. 2009 წელს მან გამოსცა ბრძანებულება, რომელიც ცსს-ს დაკითხვის სასტიკი მეთოდების გამოყენებას უკრძალავს, განაცხადა, რომ დახურავდა გუანტანამოს ავადსახსენებელ ციხეს, რომელშიც დღემდე 130 პატიმარია. სნოუდენის წყალობით გაირკვა, რომ ობამამ არა მარტო შეინარჩუნა, არამედ გააძლიერა ეროვნული უშიშროების სააგენტოს მასობრივი თვალთვალისა და მიყურადების პროგრამა.

ეს სკანდალური მოხსენება, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამერიკელი დემოკრატებისა და რესპუბლიკელების საშინაო პოლიტიკური ბრძოლის გამოხატულებაა, სხვანი მიიჩნევენ, რომ ფერგიუსონში პოლიციის მიერ შავკანიანი ახალგაზრდის მკვლელობის გამო მასობრივი არეულობების გადასაფარად გასაჯაროვდა. **ასეა თუ ისე, ქართული პოლიტიკური კლასის (ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილის) პროამერიკულობა უკვე სასაცილო ხასიათს იღებს. მისწერეთ ამერიკის სენატს და კონგრესს საალკაშვილის სისტემის დანაშაულებზე, ძალადობაზე, პოლიციელების მიერ დახვრეტილ ახალგაზრდებზე, პატიმრების წამებაზე, ცოცხებზე და... დაელოდეთ მათ შეშფოთებას! კიდევ — რუსეთის დაშლას დაელოდეთ და მერე ისიც მისწერეთ, რომ „გახშირდა ლეკთა თარეში"!**

**ამასობაში „დემოკრატიაც" გაიმარჯვებს, ნატოსაც ეღირსებით და სოფელიც აშენდება!**

## ხალიდ შეიზ მუჰამედს 183-ჯერ ახრჩობდნენ წყალში. პატიმრებს ერთი კვირის განმავლობაში არ აძლევდნენ ძილის საშუალებას, აშიშვლებდნენ და გაყინულ ბეტონის იატაკზე ყრიდნენ. საკნებში მუდმივად იყო ჩართული ლითონის ღრჭიალისა და ძაღლის ყეფის ხმა. ტუალეტში გასვლას (სინამდვილეში ათეულობით პატიმარზე ერთი, ჩვენში რომ ეძახიან, «პარაშა» იყო) უკრძალავდნენ და დღეების განმავლობაში ერთი პამპერსით ამყოფებდნენ. ჭერზე კიდებდნენ ბორკილებით. მჟავის შხაპის ქვეშ აყენებდნენ, რაც კანის დამწვრობას იწვევდა. გლეჯდნენ ფრჩხილებს, იარებზე შხამიან მწერებს ასხამდნენ. საკვების დაპირებით ერთმანეთზე აქეზებდნენ პატიმრებს, რაც გლადიატორული ბრძოლებით და პატიმრების სიკვდილით მთავრდებოდა



## შესაძლოა, უკრაინა ახალ ჩრდილოეთ კორეად იქცეს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი შიშობს, რომ უკრაინა, თუკი ეს ქვეყანა ატომური პროგრამის განხორციელებას დაიწყებს, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ახალ ჩრდილოეთ კორეად იქცევა.** „ამ გზის (იგულისხმება ატომბირთვული ბომბის დამზადება) გაგრძელების შემთხვევაში, თქვენ გელით გარიყული ქვეყნის სტატუსი, ისევე, როგორც აქვთ ჩრდილოეთ კორეასა და ირანს. სურს კი უკრაინას ამ კომპანიაში ყოფნა?" — განაცხადა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეიარაღების კონტროლის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ როუზ გოტმიულერმა.

რამდენიმე დღით ადრე უკრაინის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა, რომ, თუკი დასავლეთი იარაღით არ დაეხმარება, შესაძლოა, უკრაინამ ატომური პროგრამა განაახლოს.



დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უმრავლესობა აღარ აპირებს, შეეგუოს გაჭირვებას და უსამართლობას იმის იმედით, რომ 4 თუ 14 წლის შემდეგ ამისთვის დასაჩუქრდება. ხალხს სურს, რეალური ცვლილებები იხილოს და ეს სავსებით ბუნებრივია.**

# მესამე წელი ბიძინას წელთაღრიცხვით

**„პირველი წელიწადი იქნება რთული. მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი. მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი“, — ეს განცხადება ივანიშვილმა 2012 წლის 24 დეკემბერს გააკეთა და, აქედან გამომდინარე, სულ რაღაც ერთ კვირაში დაიწყება მესამე წელიწადი ბიძინას წელთაღრიცხვით, ასე რომ, ალბათ, შედეგებიც უნდა შევაჯამოთ და სამომავლო პერსპექტივებზეც ვიმსჯელოთ.**

ეს რეპლიკა ეკონომიკის ზრდის ტემპს ეხებოდა, თუმცა მისი მრავალჯერ ციტირების შემდეგ, საზოგადოების აღქმაში ქვეყნის ცხოვრების უკლებრივ ყველა ასპექტს დაუკავშირდა და მას იხსენებენ ყოველთვის, როდესაც ახალი ხელისუფლება შეცდომებს უშვებს. რაც შეეხება ფრაზას **„მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი“, ქართული შავი იუმორის (შავ)მარგალიტად იქცა. თუმცა ვიდრე „ოთხწლედის“ დასკვნით ეტაპამდე მივალთ, ალბათ, ერთმანეთს პირველი და მეორე წელიწადი უნდა შევადაროთ, რისკენაც თავად ივანიშვილმა გვიბიძგა.**

ამის გაკეთება არც ისე იოლი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ განხილულ პერიოდში ეკონომიკური მაჩვენებლები ნაწილობრივ გაუმჯობესდა, პარალელურად მკვეთრად მოიმატა იმედგაცრუებამ და ნიჰილიზმმა საზოგადოებაში და, ვინაიდან საქართველოში განწყობა მკაცრად დომინირებს ნებისმიერ სტატისტიკაზე, მოქალაქეთა უმრავლესობა საუბარს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ლამის პირად შეურაცხყოფად აღიქვამს. **„ქართული ოცნებისთვის“ ყველაზე ოპტიმისტურ ვარიანტში, ამომრჩეველმა შეიძლება დაახლოებით ასეთი მიდგომა გაიზიაროს: „კი, მეორე წელიწადი ნამდვილად სჯობდა პირველს, ისევე, როგორც დახვრეტა სჯობს ჩამოხრჩობას“.** საერთოდ, ის პირველი წელიწადი უკავშირდებოდა ფაქტობრივ ორხელისუფლებიანობას, დესტაბილიზაციის მოლოდინსა და საბოტაჟს, ეს უნიკალური პერიოდი იყო და მასთან შედარება ნებისმიერ შემთხვევაში პირობითი და არაკორექტული იქნება.

დრო, რომელიც საზოგადოებამ „ქართულ ოცნებას“ ძველი რეჟიმის დემონტაჟისთვის გამოუყო, აშკარად ამოიწურა. რა თქმა უნდა, დამნაშავე მაღალჩინოსნების დასჯისა და აღმასრულებელი სტრუქტურებიდან „მეხუთე ნაციონალური კოლონის“ გაძევების ლოზუნგები კვლავინდებურად აქტუალურია (და კიდევ საკმაო ხანს იქნება), მაგრამ ნორმალურ ადამიანს არ შეუძლია მხოლოდ წარსულით იცხოვროს — მას სურს, იხილოს საფუძვლიანი რეფორმები და იგრძნოს ზემოთ ნახსენები „უკეთესობა“.

ამ რეფორმების დაწყება თუნდაც ფარდობითი სტაბილიზაციისა და სახელისუფლო სტრუქტურებში პოზიციების გამყარების გარეშე, „ქართულ ოცნებას“ არ შეეძლო, რადგან ეს, დიდი ალბათობით, მთელი სისტემის ჩამოშლით და, შესაძლოა, სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციით დასრულებულიყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „ნაციონალებს“ ეს პრობლემა არ ჰქონდიათ, რადგან „მოქალაქეთა კავშირს“ მათთვის რამდენადმე შესამჩნევი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ძველი მაღალჩინოსნებისა და პარტიული ფუნქციონერების დიდი ნაწილი უპრობლემოდ შეერწყა ახალ რეჟიმს, ნაწილმა გაცლა ამჯობინა, ხოლო მცირე ჯგუფებისა და ცალკეული პირების წინააღმდეგობას არაორგანიზებული და, შესაბამისად, არაეფექტიანი ხასიათი ჰქონდა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, სააკაშვილის ხელისუფლებამ რეფორმები სასათბურე პირობებში დაიწყო, მით უმეტეს, რომ დასავლელი პარტნიორების უპრეცედენტო მხარდაჭერა ჰქონდა. საბოლოოდ, პროცესი არაადამიანური რეჟიმის შექმნით დაგვირგვინდა, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა, მთავარი აქ სხვა რამ არის — **თუ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, საარჩევნო პროგრამის შესაბამისად, შეეცდებოდა, დაუყონებლივ დაეწყო (მაგალითად) ურჩხულის მსგავსი შსს-ს დემონტაჟი, საკონსტიტუციო რეფორმა, ადგილობრივი თვითმმართველობის, განათლების სისტემის (და ა. შ.) რეფორმები — ეს, სავარაუდოდ, დიდი ქაოსით და „ნაციონალების“ რევანშით დაგვირგვინდებოდა.** ასეთი მასშტაბური ცვლილებების განხორციელებისთვის ხელისუფლება, მარტივად რომ ვთქვათ, ფეხზე მყარად უნდა იდგეს და „ცივი სამოქალაქო ომის“ რეჟიმში არ ცხოვრობდეს.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, **დრო, რომელიც ამომრჩეველმა „ქართულ ოცნებას“ სახელისუფლო სტრუქტურების ათვისებისთვის და „ნაციონალების“ იზოლაციისთვის გამოუყო, ამოიწურა.** შესაბამისად, გაიზარდა უკმაყოფილებაც. **დღეს ივანიშვილის თანმიმდევრული მხარდამჭერებიც კი მთავრობის საქმიანობაზე საუბრისას ხშირად ასეთ დასკვნამდე მიდიან: „არაფერს აშავებენ, მაგრამ არც არაფერს აკეთებენ“, ოპონენტები კი ცდილობენ, დაუმტკიცონ, რომ ვითარება გაცილებით დრამატულია.** სერიოზული წარმატება, რომელსაც საზოგადოების უმრავლესობა აღიარებს, არის მხოლოდ რამდენიმე მიმართულებით — სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა, საყოველთაო დაზღვევის შემოღება, აგრეთვე, რუსეთის ბაზრის გახსნა და ახალი ომის დაწყების საფრთხის შემცირება. ყველა სხვა სფეროში სიტუაცია ან საკამათოა, ან ხელისუფლებისთვის ნეგატიური. ამასთანავე, **მას საზოგადოებასთან ურთიერთობა უჭირს და ვერ ახერხებს, რეალურ მიღწევად წარმოაჩინოს (მაგალითად) დადებითი ტენდენციები სოფლის მეურნეობასა და ენერგეტიკაში.** ასე თუ გაგრძელდა, „ივანიშვილის ოთხწლედი“ დასრულდება კრახით და მომავალ არჩევნებზე ძნელად თუ მოიძებნება მოქალაქე, რომელიც ხმას მისცემს „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ იმიტომ, რომ ის „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის. მმართველი პარტია მივიდა მიჯნამდე, რომლის იქით უმოქმედობა, რეიტინგის თვალსაზრისით, გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე საკამათო რეფორმები და ბიძინა ივანიშვილს ეს, სავარაუდოდ, კარგად ესმის.



**ასე თუ გაგრძელდა, «ივანიშვილის ოთხწლედი» დასრულდება კრახით და მომავალ არჩევნებზე ძნელად თუ მოიძებნება მოქალაქე, რომელიც ხმას მისცემს «ქართულ ოცნებას» მხოლოდ იმიტომ, რომ ის «ნაციონალური მოძრაობა» არ არის.**

**შესაძლებელია თუ არა რადიკალური რეფორმების, პირობითი „მესამე წელიწადის“ დაწყება მთავრობის დღევანდელი შემადგენლობით? — ალბათ, მაინც არა და ამას მთელი რიგი მიზეზები განაპირობებს. ნოდარ ხადური**, შესაძლოა, კარგად ერკვევა ფინანსებში, მაგრამ მისი იმიჯი უიმედოდ შელახულია და ამ ეტაპზე აღდგენას არ ექვემდებარება. **ალექსანდრე ჭიკაიძე** პირნათლად ასრულებს პრემიერის დავალებებს, ინარჩუნებს სტაბილურობას სისტემის შიგნით და შეძლებისამებრ ცდილობს, გააუმჯობესოს ის, მაგრამ იმ რეფორმისთვის, რომელსაც „ოცნების“ საარჩევნო პროგრამა ითვალისწინებს, უწყებას სხვა ხელმძღვანელი დასჭირდება – თამამი რეფორმატორი სტრატეგიული ხედვის უნარით, რომელიც ამ მანკიერ სისტემას არ აღუზრდია. მთელ რიგ ასპექტებში შსს კვლავინდებურად რჩება სააკაშვილის დროინდელ „ძალლობად“; ვითარება ზოგიერთ რეგიონში, გადაჭარბების გარეშე, ტრაგიკულია. იმას, რასაც ბოლო წლის განმავლობაში განათლებისა და კულტურის სამინისტროები აკეთებენ, ყველაზე ხშირად აღწერენ, როგორც „გაურკვევლობას“ ან „გაუგებრობას“. საუბარი ცალკეულ მინისტრებზე საკმაოდ დიდხანს შეიძლება, თუმცა მთავარი პრობლემა, ალბათ, **ირაკლი ღარიბაშვილშია** — რამდენადაც სასარგებლო იყო ის ბიძინა ივანიშვილისთვის მაშინ, როდესაც ახალი ხელისუფლება აძლიერებდა პოზიციებს აღმასრულებელ სტრუქტურებში, იმდენად უსარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ახალ ეტაპზე. ის, ასე თუ ისე, ეფექტიანად მოქმედებდა მაშინ, როდესაც საქმე „ნაციონალების“ გავლენის შეზღუდვას, „ვერტიკალის გამყარებას“ ეხებოდა (ზოგი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება), **მაგრამ დროთა განმავლობაში კომენტატორების დიდი ნაწილი მივიდა დასკვნამდე, რომ ღარიბაშვილი ზედმეტად ამბიციურია და რაღაც ეტაპზე ზრუნვამ საკუთარ რეიტინგზე მის მოქმედებაზე სერიოზული გავლენის მოხდენა დაიწყო** (შესაძლოა, აქედან მოდის გაბედული ნაბიჯების შიშიც, პრინციპით „სჯობს საერთოდ არ გავაკეთოთ, ვიდრე გავაფუჭოთ“; შესაბამისად, ჩნდება მთავრობის უმოქმედობის განცდა). **ამას ემატება საეჭვო საკადრო პოლიტიკა, რომელსაც ხშირად ახასიათებენ, როგორც ნეპოტისტურს, ხოლო პრემიერის ფავორიტებს კლანური მმართველობისთვის დამახასიათებელი ატმოსფეროსა და ელიტური კორუფციის დამკვიდრებაში ადანაშაულებენ.**

მარტივად რომ ვთქვათ, ძველი შენობის (ან რეჟიმის) დანგრევისთვის საჭიროა ერთი ბრიგადა შესაბამისი ტექნიკითა და კვალიფიკაციით, ხოლო ახლის აშენებისთვის სასურველია, გამოიყენო სხვა. **ღარიბაშვილის მთავრობის ცალკეული წარმომადგენლები დისკრედიტებულნი არიან, ხოლო თვით პრემიერმინისტრი, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის 100%-იან ერთგულებას ინარჩუნებს, სულ უფრო ხშირად ვერ უმკლავდება თავის ამბიციებს, აღქმის სტერეოტიპებსა თუ იმპულსურ ხასიათს.** საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ ახლო მომავალში (მაქსიმუმ 6 თვე) ივანიშვილი მას წასვლას ურჩევს, ხოლო მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას საფუძვლიანად გადაახალისებს.

სასურველია, ყურადღებით დავაკვირდეთ, ვინ ინიშნება ან უახლოეს პერიოდში ვინ დაინიშნება მეორე ეშელონის საკვანძო თანამდებობებზე (მოადგილეები, ზოგიერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და ა.შ.) და ვისთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ეს კადრები. სინამდვილეში (ზოგი აქ გამოიყენებდა სიტყვას „შესაძლოა“, თუმცა არა უშავს, ასე იყოს) პროცესი უკვე დაწყებულია და ეს ერთგვარი „საკადრო ავანგარდია“, რომელსაც სამინისტროებში ახალი მინისტრების მოსვლა მოჰყვება.

**რაც შეეხება პრემიერმინისტრის კანდიდატურას, კულუარული საუბრები ამ თემაზე, როგორც წესი, ასეთი დასკვნით სრულდება (მას პირობითად შეიძლება „ალბათობის რეიტინგი“ ვუწოდოთ): სერგეენკო - 40%, კვირიკაშვილი – 40%, სხვა — 10%, ღარიბაშვილის დარჩენა – 10%.** თუმცა, ვინაიდან ბიძინა ივანიშვილის მოტივები და გეგმები საკმაოდ ძნელი ამოსაცნობია (ამ კონტექსტში შეგვიძლია, მარგველაშვილთან დაკავშირებული ეპოპეა გავიხსენოთ) და მას არ უყვარს მსგავსი ტიპის წინმსწრები დისკუსიები, ექსპერტები და პოლიტიკოსები ამ თემაზე საჯარო საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

„მომეცით ოთხი წელი!“ — ხშირად ამბობდა 1933-ში ადოლფ ჰიტლერი; სწორედ აქედან წამოვიდა გერმანული ოთხწლედები და 1936-ში შექმნილი „ოთხწლიანი გეგმის სამმართველო“, რომელსაც სათავეში გერინგი ჩაუდგა. ის პოლიტიკოსები, რომლებიც ისტორიას კარგად იცნობენ, ერიდებიან საუბარს არა მხოლოდ ხუთწლიან (კომუნისტური ხუთწლედი), არამედ ოთხწლიან (ნაცისტური ოთხწლედი) პროგრამებზე, რადგან ეს შეიძლება უსიამოვნო ასოციაციებს დაუკავშირდეს. მაგრამ აქ მთავარია სხვა რამ: საქართველოს მოსახლეობა გადაიღალა „გადადებული ჯილდოს“ იდეაზე დაფუძნებული პროპაგანდისგან, რომელსაც სააკაშვილი ჰიტლერსა და მუსოლინიზე აქტიურად იყენებდა. **უმრავლესობა აღარ აპირებს, შეეგუოს გაჭირვებას და უსამართლობას იმის იმედით, რომ 4 თუ 14 წლის შემდეგ ამისთვის დასაჩუქრდება. ხალხს სურს, რეალური ცვლილებები იხილოს და ეს სავსებით ბუნებრივია.**

ნეპოტიზმი, კლანურობა, კორუფცია, სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურება, ჩინოვნიკების უმოქმედობა და გულგრილობა შეურაცხყოფს იმ ადამიანების ღირსებას, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბერს საღამოს მზად იყვნენ, შიშველი ხელებით დაეცვათ არჩევნების შედეგები სააკაშვილის შეიარაღებული ზონდერებისგან (სააკაშვილმა ეს იცოდა და სწორედ ამ ხალხის შემართების შეეშინდა). მათ არ უბრძოლიათ იმისთვის, რომ საქართველოში დღევანდელის მსგავსი სიტუაცია შექმნილიყო და ივანიშვილი ვალდებულია (და ამასთანავე — იძულებული) ეს განწყობა გაითვალისწინოს. **ასე რომ, მესამე წელიწადი ბიძინას წელთაღრიცხვით, დიდი ალბათობით, არცთუ დალხენილი, მაგრამ საინტერესო ცვლილებებით დატვირთული იქნება.**

**„ისეთი ინტელექტუალი, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, საქართველოს ილია ჭავჭავაძის მერე აღარ ჰყოლია!“ — განაცხადა თამაზ თამაზაშვილმა და იმ წამს „მაგრად“ დამაინტერესა, დაიჯერა თუ არა ეს წარმოუდგენელი სისულელე ბიძინა ივანიშვილმა.**



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზე-ქარხნები, ზე-კაცი და უმადური ქვე-ყანა



## ასე თუ გაგრძელდა, ბატონ მილიარდერს შორეული ქვეყნიდან პინგვინების ჩამოყვანა მალე აღარ დასჭირდება...

**ასეთი სათაური ამ კვირაში ტელევიზორიდან მოსმენილმა ორმა ზე-აზრმა შთამაგონა. მართალია, ამ აზრთაგან ერთ-ერთის ავტორი ამ ორიოდე წლის წინათ ამტკიცებდა, „ცოლის ნათესავი ნათესავად არ ითვლებაო“, მაგრამ ფაქტია, რომ აზრებში მეტ-ნაკლებად მაინც გვანან ერთმანეთს ისა და მისი სიმამრი.**

განსხვავება არის ის, რომ ერთი მათგანის აზრები უსულო საგნებს ეხება, ხოლო მეორისა — კონკრეტულ სულიერს, მაგრამ შინაარსობრივად რომელი რომელს ჩამოუვარდება ან აღემატება, ამის განსაზღვრა არ არის იოლი.

სიძესიმამრული ზე-ფრაზების ესტაფეტა პრემიერმინისტრმა გახსნა:

**„ჩვენ ავაშენეთ 80-ზე მეტი ახალი ქარხანა, ხოლო დანარჩენი აღვადგინეთ ან გადავაიარაღეთ. ამ პროგრამით ისარგებლა 500-ზე მეტმა ქარხანამ. მათში 10 ათასი ადამიანია დასაქმებული!“**

აი, ასე პირნათლად ჩააბარა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მოსახლეობას ანგარიში საარჩევნო დაპირებების შესრულების შესახებ — 100 შეგპირდით და 500 გავაკეთეთო!

აბა, რა! ქარხნები და მერე რა ქარხნები!.. ავ თვალს არ ენახვება, ალბათ! არა, პირადად არ მინახავს და არ დამითვალიერებია, მაგრამ ელემენტარული არითმეტიკაც დაგვეხმარება, რომ მივხვდეთ და გავიაზროთ, რაოდენ მნიშვნელოვან ქარხნებზე საუბრობდა პრემიერმინისტრი.

**500 ქარხანაში დასაქმებული 10 ათასი ადამიანი ხომ იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ამ „მძლავრ“, „ინდუსტრიულ“ ზე-ქარხანაში 20 (ოცი!) ადამიანი საქმიანობს!**

აი, აქ დარწმუნებული ვარ, კომპარტიის ყველა თაობის აქტივი ერთდროულად გადაბრუნდება მიწაში... კომუნისტების მმართველობის პერიოდში აშენებულ თითოეულ ქარხანაში ხომ ათასობით ადამიანი მუშაობდა და ზოგჯერ საჭირო ხდებოდა ამა თუ იმ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისთვის ცალკე დასახლებების აშენებაც კი.

აკი, დღემდე არის დედაქალაქშიც და სხვა, მეტ-ნაკლებად მოზრდილ ქალაქებში შემორჩენილი „ამ ქარხნის დასახლება“ „იმ ქარხნის დასახლება“...

ასეა, კომუნისტებს არც ამაში აღმოაჩნდათ „ნიჭი“, თორემ რა უშლიდათ ხელს? — ჩაეთვალათ ყოველი 20-კაციანი კოლექტივი ერთ ცალკეულ დამოუკიდებელ ქარხნად და, არათუ საბჭოთა კავშირის, არამედ საქართველოს მასშტაბითაც კი მილიონობით „ქარხანა“ გამოუვიდოდათ აშენებული!

**ამ დროს 20-კაციან კოლექტივს „ქარხნად“ კი არა, „ცეხად“, ანუ საამქროდაც კი არ მიიჩნევდნენ, იმხელა ამბიცია „ახრჩობდათ“!**

აი, ამ „უნიჭო და ამბიციური“ კომუნისტებისგან განსხვავებით, ჩვენი „ოცნების“ მთავრობა და პრემიერი მოკრძალებულად იქცევიან და, თუკი სადმე სამოთახიანი ბინის ხელა ფართობში ოციოდე ადამიანი შეყარა, ქარხანას უწოდებს!

და რა პრობლემაა? ვინ შეგედავება? ვინ დაადგინა, რომ აუცილებელია, მაინცადამაინც მარტენის ღუმელი ან მანქანათსამშენებლო დანადგარები? დაუდგი ერთი „ლახანკა“ იმ ოც ადამიანს, ჩააჭყლეტინე შიგნით პომიდორი და ჩამოასხმევინე მინის ბოთლებში! ანდა — ჩააყრევინე ცელოფნებში უცხოეთიდან შემოტანილი შაქარი და დააფასოებინე!.. ჰოდა, დადექი და უძახე მერე ამ ყველაფერს „ქარხანა“, მე შენ გეტყვი, ვინმე შემოგედავება!

აი, სწორედ „შემომდავებელთა“ სიმცირეს ან სულაც არარსებობას უნდა მივაწეროთ ბატონი სიმამრის მიერ სიძისგან უყოყმანოდ მიღებული ესტაფეტა „ზე-ფრაზების“ დაბერტყების მიმართულებით.

**„ისეთი ინტელექტუალი, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, საქართველოს ილია ჭავჭავაძის მერე აღარ ჰყოლია!“ — განაცხადა თამაზ თამაზაშვილმა და იმ წამს „მაგრად“ დამაინტერესა, დაიჯერა თუ არა ეს წარმოუდგენელი სისულელე ბიძინა ივანიშვილმა.**

მესმის და თან ძალიან კარგადაც, რომ რეჟიმისგან უსამართლოდ დაჩაგრული და მერე „ადამიანების გამტაცებლად“ მონათლული პატიმარი თამაზაშვილი დიდად მადლიერია ბატონი ბიძინასი, მაგრამ მადლიერებამ დათვურ სამსახურამდე არ უნდა მიიყვანოს.

ჩემს ცხოვრებაშიც არსებობს ორიოდე ადამიანი, რომელთა განსაკუთრებულად მადლლიერი ვარ და გამომიხატავს კიდეც ეს მადლიერება საჯაროდაც...

მაგრამ ჩემი მადლიერება გამოიხატებოდა სიტყვებით: კეთილი, სამართლიანი, ყურადღებიანი ან სხვა მსგავსი ეპითეტებით.

მაგრამ **ინტელექტუალი?** და თანაც — ილია ჭავჭავაძის შემდეგ რომ არ გვღირსებია ისეთი დონის?..

რა ვიცი, ილია ჭავჭავაძის შემდგომი თაობებიდან სამიოდე (არადა, სამასიოდეც შემეძლო) ადამიანიც რომ ვახსენო, მაგალითად, **ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მუსხელიშვილი და მერაბ მამარდაშვილი,** სავსებით საკმარისი იქნება ამ ფრაზის, როგორც ავტორის, ასევე ადრესატის მასხრად ასაგდებად.

კი, მაგრამ „ადრესატი“ რაღა შუაშიაო? — იკითხავთ... მართალიც იქნებით. ადრესატი, პრინციპში, არაფერ შუაშია, მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ **ასეთი „მეხუტბე“-მლიქვნელები ყოველთვის ცუდ საქმეს უკეთებენ „ხუტბის“ ობიექტს ან სულაც ღუპავენ მას!**

თუმცა სათქმელია ისიც, რომ, როგორც წესი, მსგავს დითირამბებს, ძირითადად, მაშინ წარმოთქვამენ, როდესაც ზუსტად იციან, რომ ადრესატს ეს საოცრად სიამოვნებს!

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ (აღარ ვლაპარაკობ, რა ხდებოდა ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული სამი წინამორბედი „ბელადის“ პირობებში) **ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს არ არის პირველი შემთხვევა ამ ახალი „ბელადის“ ასეთი განუზომელი და კომიკურობამდე არაადეკვატური ქებისა!**

არა, რა თქმა უნდა, სულაც არ ვცდილობ იმის მტკიცებას, რომ ივანიშვილი ინტელექტთან მწყრალად არის, გაუნათლებელია ან რამე მსგავსი... მე მხოლოდ გადაჭარბებულ, შეუფერებელ და, პირდაპირ ვიტყვი, ერთობ საშიშ ქების ფორმაზე გელაპარაკებით!

**„რაც უნდა თქვას ბატონმა ბიძინამ, ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ ეს აუცილებლად სწორი იქნება,“ — ნინელი ჭანკვეტაძის ამ გაუგებრად მონური სენტენციის შემდეგ მართლა არ მეგონა, თუ გამაკვირვებდა რამე და ვერ წარმომედგინა, „კერპის“ თაყვანისცემის უფრო „მაღალმხატვრულ“ ნიმუშს თუ წარმოთქვამდა ვინმე...**

მაგრამ, როგორც ხედავთ, თამაზ თამაზაშვილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და საქართველოში 25 წლის განმავლობაში ყველა „ბელადისადმი“ (გამონაკლისის გარეშე!) ერთგვარი „მესიანური“ მიდგომის გამომხატველი ფრაზები სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „მეხუტბეთა“ რიგი გრძელია, ხოლო ტენდენცია — აშკარად მზარდი, ამიტომ ერთიღა შემიძლია დავამატო: ასე თუ გაგრძელდა, ბატონ მილიარდერს შორეული ქვეყნიდან პინგვინების ჩამოყვანა მალე აღარ დასჭირდება...

**500 ქარხანაში დასაქმებული 10 ათასი ადამიანი ხომ იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ამ «მძლავრ», «ინდუსტრიულ» ზე-ქარხანაში 20 (ოცი!) ადამიანი საქმიანობს!**



რენარს კაუპერსი:

## ხალხმა ნდობა დაკარგა ქვეყნისადმი, რომელშიც ერთი ბავშვის გამოკვებაც კი რთული საქმეა!

**ლატვიის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს — სამი ვარსკვლავის — კავალერი, როკჯგუფ Brainstorm-ის ლიდერი რენარს კაუპერსი მწვავე პოლიტიკური განცხადებებით გამოვიდა. ხელისუფლების მიერ ყველაზე დაფასებულმა მუსიკოსმა განაცხადა, რომ წუხს სსრკ-ის დაშლის გამო.**

„1991 წლიდან ლატვიელებს შთააგონებდნენ, რომ საბჭოური ყველაფერი ცუდია. ვაღიარებ, მეც ასე ვფიქრობდი იქამდე, ვიდრე კულტურის მინისტრის მრჩევლის პოსტი არ დავიკავე. დავიწყე სასკოლო სახელმძღვანელოების გაცნობა და აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის წლებში ლატვიას არაფერი გამოუცია! ლატვიური ენისა და ლიტერატურის ყველა სახელმძღვანელო, ლექსიკონები — ყველაფერი საბჭოთა კავშირის პერიოდშია გამოცემული! როდესაც შევადარე საბჭოთა ლატვიის მემკვიდრეობას, დავინახე, რომ ჩვენი თანამედროვე ლინგვისტები, ფოლკლორისტები, კულტუროლოგები ახლოსაც ვერ მივლენ იმასთან, რასაც მათი საბჭოური კოლეგები აკეთებდნენ.

**დღეს ლატვიური კულტურა აღარ არსებობს, ის ევრო-ამერიკულით შეცვალეს,“** — განაცხადა ლატვიაში ყველაზე პოპულარულმა მუსიკოსმა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა რენარს კაუპერს სთხოვეს, ნათქვამი უარეყო, მაგრამ მან, როგორც ნამდვილმა როკერმა, სიმართლე ბოლომდე თქვა:

„40 წლის ვარ, საკმაოდ პოპულარული მუსიკოსი, და განვლილი ცხოვრების გამოცდილების გათვალისწინებით, ვიტყვი: ძალიან ცუდია, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს. დაკარგულის დაფასება დროთა განმავლობაში გამოცდილების მიღების შემდეგ იწყება და საკუთარი თვალით ხედავ, რა დაკარგე. ევროკავშირში შესვლის შემდეგ ათასობით ადამიანმა დატოვა ლატვია: მათ არც სახლი აქვთ, არც სამუშაო და არც მომავლის რწმენა. ჩვენი მცირერიცხოვანი ხალხისთვის ეს ტრაგედიაა. ოდესღაც ჩვენ კოსმოსში დავფრინავდით და ვმღეროდით სიმღერებს ლიგოზე (ლატვიური სახალხო დღესასწაული); ახლა კი ჭურჭელს ვრეცხავთ ლონდონში და ვფიქრობთ, შევძლებთ თუ არა ერთი ბავშვის გამოკვებას მაინც“.

„ექსპრეს გაზეტა“

მოკლედ

## ჯიჰადისტებმა ერთ თვეში 5042 ადამიანი მოკლეს

**2014 წლის ნოემბერში ჯიჰადისტებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 5042 ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე.**

ტელეარხ „ბი-ბი-სი“-სა და ლონდონის სამეფო კოლეჯის ერთობლივი კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე მეტი ადამიანი (2206 კაცი) დაიღუპა დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წევრების ხელით, „ბოკო ჰარამის“ წევრებმა 801 ადამიანი მოკლეს, თალიბებმა — 720.

ჯიჰადისტებმა ერაყში მოკლეს 1770 ადამიანი, ნიგერიაში — 786, ავღანეთში — 782 და სირიაში — 693. თავდასხმებს ყველაზე მეტი მსხვერპლი მოჰყვა მშვიდობიან მოსახლეობაში (2079), შემდეგ მოდიან სამხედროები, პოლიციელები და სახელმწიფო მოხელეები (1952).



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სუს-ი, კონტრდაზვერვა, კონტრტერორისტული ცენტრი, ანტიკორუფციული სააგენტო რამდენიმე ასეულ მილიონს ხარჯავენ სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე. ეს, ფაქტობრივად, წყალში გადაყრილი თანხაა, რადგან ამ სამსახურების მუშაობა უეფექტოა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას სხვა სპეცსამსახურზეც".**



# ბესიკ ალადაშვილი: საქართველოს სპეცსამსახურები არ ჰყავს!

**ფარული მოსმენების შესახებ კანონსა და სპეცსამსახურებში განსახორციელებელ რეფორმებზე გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის" თავმჯდომარე ბესიკ ალადაშვილი:**

— კანონი ფარული მოსმენების შესახებ სწრაფად მიიღეს, რამაც ამ კანონს თავისი დაღი დაასვა. ეს არ იყო საუკეთესო ვარიანტი. დისკუსია არაპროფესიონალურად წარიმართა როგორც ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. სამწუხაროდ, ყველაფერი დავიდა მხოლოდ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების, ოპერატორების მხრიდან ფარული მოსმენის პრობლემაზე. არადა, ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, ანუ, თუ ადამიანის მოსმენა გინდა, მას სხვა საშუალებითაც მოუსმენ, თუნდაც ბინაში დამონტაჟებული მოსასმენი მოწყობილობით და ა. შ. საკითხი ამით ამოწურეს, თითქოს პრობლემა მხოლოდ შს სამინისტროს მიერ განხორციელებული მოსმენები იყო. ფაქტია, რომ შს სამინისტროს პირდაპირი წვდომა აქვს ფიჭური კავშირგაბმულობის მობილურ ოპერატორებზე, ამიტომ, ვიდრე ეს კანონი არ ამოქმედდება და პირად მონაცემთა ინსპექტორს არ ექნება გარკვეული ბერკეტი, დღესაც თავისუფლად შეუძლიათ ყველას მოსმენა. თუ შს სამინისტროს სურდა ვიღაცის საუბრის მოსმენა და იყო ამის აუცილებლობა, სასამართლოს ნებართვის გარეშე აკეთებდა, შემდეგ კი იღებდა ნებართვას. ახლა მხოლოდ ერთ სფეროზეა საუბარი, რადგან **სერიოზული პრობლემაა ინტერნეტიც — ელექტრონული ფოსტა და სკაიპი.**

ეს ყველაფერი ამ კანონის მიღმაა დარჩენილი. ისევე, როგორც სპეცსამსახურები და სხვადასხვა სტრუქტურა, რომლებსაც შეუძლიათ, სასამართლოს ნებართვით განახორციელონ ფარული მოსმენები.

**— კონკრეტულად რომელ სამსახურებს გულისხმობთ?**

**— დაცვის სპეციალურ სამსახურს, დაზვერვის სამსახურს, სასჯელაღსრულების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, პროკურატურას — ამ სტრუქტურებს კვლავ აქვთ მოსმენის უფლება, თუმცა, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში და სასამართლოს ნებართვით.** სამწუხაროდ, ეს საკითხი შეეხო მხოლოდ ერთ უწყებას და ფარული მოსმენების მხოლოდ ერთ სახეობას — ფიჭურ კავშირგაბმულობას მისი ოპერატორების სახით.

**— ამ შემთხვევაში მაინც თუ არის კონტროლის მექანიზმი ჩადებული?**

— არა, რადგან კანონი ნაჩქარევად მიიღეს და მომავალში აუცილებლად უნდა გადამუშავდეს. არადა, პარლამენტმა ამ კანონის დასამუშავებლად მარტის ბოლომდე მოითხოვა ვადა, თუმცა პრეზიდენტმა ვეტო დაადო და ვადა მხოლოდ 1 დეკემბრამდე გააგრძელა, რის გამოც ასე სასწრაფოდ მიიღეს ეს კანონი. სამწუხაროდ, ამ საკითხშიც გამოვლინდა ქართული ხასიათი.

**— ანუ დღესაც კი ფარული მოსმენის თავიდან აცილებას მხოლოდ ტელეფონზე საუბრისგან თავის შეკავებით შევძლებთ?**

**— ტელეფონზე საუბრისგან თავის შეკავება თავდაცვის ერთგვარი საშუალებაა, მაგრამ არ ვართ დაზღვეული შინ, სამუშაო ადგილას თუ ოფისში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურისგან.** ასეთია ოპერატიული მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც ეწევა ყველა სპეცსამსახური და სამართალდამცავი სტრუქტურა. თუ გახსოვთ, ათასობით ფაილზე იყო მხოლოდ ფარული ვიდეოგადაღება და არც ერთი იყო მობილურ ტელეფონზე საუბრის ფარული ჩანაწერი, რადგან, როგორც მაკომპრომატებელი მასალა, ვიდეოჩანაწერი უფრო ეფექტიანია, ვიდრე აუდიო. თუმცა, **მოსმენები იმ დოზით, როგორითაც „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში ხორციელდებოდა, დღეს აღარ ხდება. არ არის ამის საჭიროება.**

**— რაც შეეხება ძალოვანი უწყებების რეფორმას...**

— ეს გადაწყვეტილებაც ძალიან სწრაფად იქნა მიღებული, რაც ისევ და ისევ ქართული ხასიათის ბრალია. ახლა მთელი მასმედია ამ თემაზე გადაერთო. გაირკვა, რომ თურმე არასამთავრობო ორგანიზაციები წლების განმავლობაში მუშაობდნენ ამ პროექტზე. ასეთ რაღაცებზე მეცინება, რადგან **ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა უნივერსალურ სტრუქტურად, რომელსაც ყველაფერზე გამზადებული აქვს პროექტი.** 20 წელია, სპეცსამსახურების საკითხებზე თეორიულადაც მიმუშავია და პრაქტიკულადაც. ბოლოს და ბოლოს, სპეცსამსახურების მუშაობაზე 7 წიგნი დავწერე და გამოვეცი. თანაც ისეთი რთული თემაა, რომ მასზე მსჯელობა ერთი ხელისმოსმით არ შეიძლება. მთავარია, რომ **შს სამინისტროდან უშიშროების სეგმენტის განცალკევება მექანიკურად არ მოხდეს.** ამ საკითხზე ზოგიერთი პოლიტიკოსი თუ ექსპერტი სასაცილო რაღაცებს ამბობს ხოლმე. მაგალითად, თქვეს, პრობლემაა, უშიშროებისთვის საჭირო შენობის ფული რომ არ არის ჩადებული 2015 წლის ბიუჯეტში. **თქვე კაი დედმამიშვილებო, დაგავიწყდათ, ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე შენობა და მოდულის შენობა უშიშროების სამინისტროს ქონება რომ იყო? დაუბრუნეთ და დამთავრდება ყველაფერი.** რეალურად ეს არც არის პრობლემა. **პრობლემა არის ის, რა უნდა ხელისუფლებას — პოლიტიკური ქულების მოპოვება არჩევნებისთვის თუ სერიოზული რეფორმის გატარება.** დღეს პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ **საქართველოს სპეცსამსახურები არ ჰყავს.** საჭიროა ამ სფეროს ინსტიტუციური ცვლილება. **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ხელახლა უნდა აიგოს,** რადგან ძველის გადმონაშთია ყველა მიმართულებით — კანონმდებლობით დაწყებული, ბიუჯეტით დამთავრებული. რამდენი წელია, გავიძახი, რომ სპეცსამსახურის ხელმძღვანელი პირდაპირ არ უნდა ექვემდებარებოდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას! ის, სულ მცირე, ორმაგ დაქვემდებარებაში უნდა იყოს. **სპეცსამსახურის ხელმძღვანელისადმი ნდობის ხარისხი მაღალი უნდა იყოს და მისი კანდიდატურა პარლამენტმა დაამტკიცოს გარკვეული პერიოდით, ანუ ხელისუფლების ცვლილებას არ უნდა მოჰყვებოდეს სპეცსამსახურის ხელმძღვანელის შეცვლა.** დააკვირდით, რა ხდება ქვეყანაში: რამდენჯერაც შეიცვალა ხელისუფლება, იმდენჯერ შეიცვალა სპეცსამსახურის ხელმძღვანელი — ზოგჯერ წელიწადში რამდენიმეჯერ. ეს არ არის კარგი. ადამიანი ამ თანამდებობაზე როცა ინიშნება, არ აქვს გარანტია, რომ დაიწყებს სერიოზული მუშაობას და 2-3 თვის შემდეგ არ მოხსნიან ან სხვა თანამდებობაზე არ გადაიყვანენ. მოკლედ, **უწინარესად, ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბდეს, რა უნდა, რა ფუნქციები უნდა დარჩეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს; ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზეა გადასაწყვეტი.** სერიოზული პრობლემაა **კადრების საკითხიც.** დღეს, სამწუხაროდ, სპეცსამსახურებისთვის კადრების შერჩევის ერთიანი სისტემა, მიდგომა არ არსებობს, არც მათი შემოწმების მიხედვით — ვინ სად ინიშნება, ვის რა წარსული აქვს, არიან თუ არა დაცული სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესებისგან... გასათვალისწინებელია პიროვნული თვისებები, კვალიფიკაცია, განათლება. ეს ყველაფერი მწყობრი სისტემა უნდა იყოს, ანუ **სახელმწიფოს უსაფრთხოების სფეროში ყველაფერი ნულიდან არის დასაწყები, კადრებიც კი ხელახლაა გასაზრდელი, რადგან ზოგიერთი, პროფესიონალობას რომ იბრალებს სპეცსამსახურებში, სამწუხაროდ, ისეთი გამოცდილების მქონე პროფესიონალია, როგორიც მსუბუქი ყოფაქცევის რძალი, რომელსაც თავმოყვარე დედამთილი შინ არ შეუშვებს.** ამიტომ უნდა შევეცადოთ, რომ ასეთ ადამიანებს არ ჩავაბაროთ ქვეყნის უსაფრთხოება. **გადასაწყვეტია დაფინანსების საკითხიც.** **დღესაც სპეცსამსახურები, მით უმეტეს, უშიშროება და დაზვერვა, ფინანსდება, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ანუ მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით.** ასე არ შეიძლება. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, რომ სპეცსამსახურის დაფინანსება უნდა მოხდეს კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში გაცილებით მეტია ფინანსების გაკონტროლების შესაძლებლობა. დღეს არ ვიცით, რა თანხას ხარჯავს შს სამინისტრო ამ ფუნქციებზე. **სუს-ი, კონტრდაზვერვა, კონტრტერორისტული ცენტრი, ანტიკორუფციული სააგენტო რამდენიმე ასეულ მილიონს ხარჯავენ სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე. ეს, ფაქტობრივად, წყალში გადაყრილი თანხაა, რადგან ამ სამსახურების მუშაობა უეფექტოა.** ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას სხვა სპეცსამსახურზეც. ავიღოთ, მაგალითად, დაზვერვის სამსახური, რომელიც ყოველწლიურად ფინანსდებოდა 8 მილიონი ლარით, მომავალი წლიდან კი 15 მილიონ ლარს მიიღებს. მაგრამ რა მიზნებისთვის იხარჯება ეს თანხა, შემოწმების არანაირი მექანიზმი არ გვაქვს. გარდა ამისა, **ძალიან დაბალია საპარლამენტო კონტროლი სპეცსამსახურებზე.** არადა, დასავლეთის ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა, რომ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი წყვეტს და კოორდინირებას უწევს სპეცსამსახურების მოქმედების თითქმის ყველა სფეროს, დაფინანსებიდან დაწყებული, საკადრო საკითხებით დამთავრებული. ჩვენთან კი **ერთადერთი, ვისაც სპეცსამსახურების საქმიანობაზე ხელი მიუწვდება, არის „ნდობის ჯგუფი", რომელიც სათანადოდ ვერ მუშაობს.** ასევე ცუდ მდგომარეობაშია ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხიც. ქვეყნის ეკონომიკა დაცული არ არის ბევრი პრობლემისგან და მათ აღმოფხვრაზე არც ერთი სტრუქტურა არ მუშაობს.

**— პროფესიონალიზმი არ ჰყოფნით თუ ამ ყველაფერს სპეციალურად აკეთებენ?**

— არც ერთია გამორიცხული და არც — მეორე... ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს გარე ძალების როლი ჩვენს ქვეყანაში. უცხო ქვეყნის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, დასაყრდენი, როგორც ღია, ასევე ფარული, ჰყავდეს საქართველოს ხელისუფლებაში. ასე ხდება ყველა სფეროში, მათ შორის, სპეცსამსახურებშიც, რადგან **ჩვენ არ გვყავს პატრიოტი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული კონტრდაზვერვის სამსახური, რომელიც აღკვეთს და გაანეიტრალებს უცხო ქვეყნების ინტერესებს ჩვენს ქვეყანაში.** ეს ფუნქცია უნდა გახდეს უმთავრესი ახალი უშიშროების სტრუქტურისთვის და გამოჩნდება, არის თუ არა მოწადინებული ამჟამინდელი ხელისუფლება, მართლაც ძლიერი და ეფექტიანი სპეცსამსახური შექმნას.

**«სახელმწიფოს უსაფრთხოების სფეროში ყველაფერი ნულიდან არის დასაწყები, კადრებიც კი ხელახლაა გასაზრდელი, რადგან ზოგიერთი, პროფესიონალობას რომ იბრალებს სპეცსამსახურებში, სამწუხაროდ, ისეთი გამოცდილების მქონე პროფესიონალია, როგორიც მსუბუქი ყოფაქცევის რძალი, რომელსაც თავმოყვარე დედამთილი შინ არ შეუშვებს»**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

## «კემერონი უნდა წავიდეს!» — ბრიტანელები პრემიერმინისტრის გადადგომას მოითხოვენ

**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის გვარ-სახელმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში" პოპულარობა მოიხვეჭა, თუმცა ამით დევიდ კემერონი გახარებული ნამდვილად არ იქნება.** „კემერონი უნდა წავიდეს!" — ეს განცხადება „ტვიტერის" მილიონზე მეტმა მომხმარებელმა მოიწონა.

10 დღის განმავლობაში მილიონზე მეტმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის — დევიდ კემერონის საქმიანობაზე და მას გადადგომისკენ მოუწოდა, რადგან გაერთიანებულ სამეფოს ბევრი პრობლემა შეექმნა სოციალური უზრუნველყოფისა და საბანკო სფეროებში, აგრეთვე, ევროკავშირთან ურთიერთობაში.



„სააკაშვილს სამშობლო არ აქვს და არც არასდროს ჰქონია! ამ ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ქართველი ხალხი მას და მის დანაშაულებრივ ხროვას აღარასოდეს მიიღებს. მათ იმდენი უბედურება დაატრიალეს ცხრა წლის განმავლობაში, დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა თითოეული მათგანი პასუხს აგებს“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ არიან უკრაინაში წასვლის მსურველი ქართველი ოფიცრები და რა დაჯგუფების შექმნას ცდილობს სააკაშვილი?

**მართლმსაჯულებისთვის თავის ასარიდებლად დასავლეთში ვირთხასავით გაქცეულმა სააკაშვილმა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში შეკრებილ აზერბაიჯანელ სტუდენტებთან ვარშავიდან სკაიპით ჩართვისას პროვოკაციული განცხადება გააკეთა:**
**„იმ დროს, როდესაც ივანიშვილი გაიქცევა საქართველოდან, მე არ ვაპირებ ვინმეს დასჯას, საქართველოს არ ექნება შურისძიების დრო.**
**დავსჯი ერთ ადამიანს, რომელიც იბარებს პროკურორებს და გასცემს დავალებებს. ეს დრო დადგება ძალიან მალე და ეს მომენტი უნდა დადგეს იმაზე მალე, ვიდრე ივანიშვილს ჰგონია“.**
**მიაქციეთ ყურადღება სიტყვას დავსჯი. სააკაშვილს შეეძლო ეთქვა, რომ დამნაშავეები კანონით დაისჯებიან ან პასუხს აგებენ კანონის წინაშე (ფორმულირება ბევრნაირად შეიძლებოდა), მაგრამ — არა, მისი რიტორიკა კვლავინდებურად დიქტატორული იყო. ეს კი ცხადყოფს: როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, პირსისხლიან სააკაშვილსაც ვერავინ და ვერაფერი გამოასწორებს.**
**ეს — ერთი. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი განცხადება „ნაცების ბელადმა“ მოგვიანებით გაავრცელა: „უკრაინის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის ქართველი ოფიცრები, რომლებიც გადაწყვეტენ უკრაინის არმიაში მოღვაწეობას, მიიღებენ უკრაინის მოქალაქეობას. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრს დაუნიშნეს მოადგილე ბურჯანაძის პარტიიდან, ვფიქრობ, ბევრ ქართველ ოფიცერს სხვა გამოსავალს არ უტოვებენ, თუ არა წავიდნენ და გააგრძელონ სამსახური მეგობარ უკრაინაში, რომელიც იბრძვის იმ ომში, რომელიც საქართველოს მტრებთან ომია“.**
**ვინ არიან ის ქართველი ოფიცრები, რომლებიც საქართველოში უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე და უკრაინაში მიდიან? საქმე სააკაშვილის ყოფილ ზონდერებსა და ციხის ჯალათებთან ხომ არ გვაქვს?! თუ ასე არ არის და მართლა სამხედროები არიან, ამაზეა ნათქვამი, — „ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“! სხვა, აბა, თუ რამის თავი ჰქონდათ, ომი არ იყო 2008 წლის აგვისტოში, იარაღს რომ ყრიდნენ და უკანმოუხედავად გარბოდნენ?!**
**ჩანს, ამერიკელები ახლა ელექტორატს უკოწიწებენ სააკაშვილს. ამ ელექტორატში, ცხადია, პირველები მისი ჯალათები უნდა იყვნენ და მათი თავმოყრა ერთ ადგილას, ამ შემთხვევაში უკრაინის შეიარაღებულ ძალებში, ხდება. მომავალში კი, კაცმა არ იცის, რა მიზნით გამოიყენებს ვაშინგტონი ამ ძალებს და კიდევ რა უბედურებას დაატეხს თავს საქართველოს. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილი შურისძიებას და, როგორც ხალხზე, ისე პოლიტიკურ ოპონენტებზე ჯავრის ამოყრას რომ შეეცდება, წყალი არ გაუვა.**
**ვინ არიან უკრაინაში სამხედრო სამსახურის მსურველი ქართველი ოფიცრები, რა მიზნით გამოიყენებენ მათ პროდასავლური ძალები და როგორ აისახება ეს ყველაფერი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე? — ამ და სხვა საკითხებზე საქართველოს გენერალთა კლუბის პრეზიდენტი კობა კობალაძე გვესაუბრება.**



## კობა კობალაძე: ვილაცების წინაშე კუდის ქიცინს თავი უნდა დავანებოთ!..

**— ბატონო კობა, სანდოა სააკაშვილის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქართველი ოფიცრები საქართველოდან მიდიან და უკრაინის არმიაში იწყებენ სამხედრო სამსახურს?**

— რა გითხრათ, სააკაშვილის ლაქლაქს კიდევ ვინმე აქცევს ყურადღებას? ყველამ ვიცით, რომ ეგ სუბიექტი გამოირჩევა უპასუხისმგებლო, როყიო განცხადებებით და, აბა, რა შეფასება უნდა გავაკეთო?! ჩვენთვის ნათელია, რომ მისთვის სამშობლო ფასეულობას არ წარმოადგენს.

**— ესე იგი, ფიქრობთ, რომ მისი განცხადება უსაფუძვლოა?**

— ფაქტია: ეს ადამიანი პროვოკაციებს თავს არ ანებებს. მას სხვანაირად არ შეუძლია, მისთვის ეს არის ყველაფერი — პოლიტიკაც, სტრატეგიაც და კიდევ რაც გინდათ, დაარქვით.

რაც შეეხება სამხედროებს, თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს აქვს ვალდებულება თავისი ქვეყნის წინაშე, რომელიც იკვრება ფიცით და, აქედან გამომდინარე, ცალკეულმა პირებმა რა გადაწყვიტეს, მათი პრობლემაა. ისე, **კარგი იქნებოდა, გადაწყვეტილების მიღებამდე ცოტა მეტს თუ იფიქრებდნენ და შემდეგ გადადგამდნენ კონკრეტულ ნაბიჯებს.** საქართველოს დღეს ნამდვილად არ აქვს იმის ფუფუნება, რომ კვალიფიციური სამხედროები გაგზავნოს სხვის ომში. დანარჩენი, კიდევ ვიმეორებ, ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს და სად წავა, მათი პირადი საქმეა და ისტორია განსჯის, სწორი იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ოფიცრები სწორედ ის სამხედრო მოსამსახურეები არიან, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილის პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდნენ?**

— არ ვიცი, რამდენი კაცია იქ წასვლის მსურველი და ვინ არიან ეს ადამიანები, მაგრამ ტელეეკრანზე რამდენიმე ვიცანი... რეალურად ისინი თავიანთი ადგილის საპოვნელად მიდიან და კიდევ ვიმეორებ, ეს მათი გადაწყვეტილებაა. საერთოდ, სააკაშვილს აქვს ნიჭი, თვითონაც აირიოს თავგზა და სხვასაც აურიოს. დანარჩენი, აბა, რა გითხრათ, ჩემთვის **მამლუქობა მიუღებელია** შესაძლებლობების გამოვლენის მხრივ.

**— სააკაშვილმა ისიც განაცხადა, ქართველ ოფიცრებს სხვა გზას არ უტოვებენ, მეგობარ სახელმწიფოში წასვლისა და იქ სამხედრო სამსახურის დაწყების გარდაო.**

— ჩვენ ახლა კვლავ ვსაუბრობთ სააკაშვილის უპასუხისმგებლო განცხადებაზე. სააკაშვილის ნათქვამს ჩემთვის ფასი არ აქვს. მის აზრებსა და შეფასებებს არ ვთვლი ყურადღების ღირსად იმიტომ, რომ ამ კაცის „მოღვაწეობა“ მიმართულია ქვეყნის დასუსტებისკენ. საერთოდ, **„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპზე: „ჩემ შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩება!“. აი, ეს იყო და არის მათი „ფილოსოფია“.** ასე რომ, სააკაშვილის განცხადებებზე ყურადღების გამახვილება დღეს არასერიოზულია.

**— ფაქტია, რომ სააკაშვილს დაუსჯელობის სინდრომი სულ უფრო თამამი განცხადებებისკენ უბიძგებს. მაგალითად, წინა კვირას სტუდენტებთან სკაიპით ჩართვისას განაცხადა, — ივანიშვილის გაქცევის შემდეგ ერთ ადამიანს დავსჯი, რომელიც იბარებს პროკურორებს და დავალებებს გასცემსო. ბევრს ცუდად ენიშნა ეს განცხადება, მით უფრო, რომ ისიც დასძინა, ეს იმაზე მალე მოხდება, ვიდრე ივანიშვილს ჰგონიაო.**

— **სააკაშვილს სამშობლო არ აქვს და არც არასდროს ჰქონია! ამ ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ქართველი ხალხი მას და მის დანაშაულებრივ ხროვას აღარასოდეს მიიღებს.** მათ იმდენი უბედურება დაატრიალეს ცხრა წლის განმავლობაში, დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა თითოეული მათგანი პასუხს აგებს.

**— პასუხისმგებლობა ახსენეთ და, როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში მოხერხდება სააკაშვილის მიმართ სამართლებრივი პროცედურების განხორციელება?**

— ეს უნდა გააკეთონ სამართალდამცავმა ორგანოებმა. რაც შეეხება ხელისუფლებას, მას არ უნდა დაავიწყდეს, რომ ხალხმა სწორედ სამართლიანობის აღდგენის იმედით მისცა ხმა. დღემდე ეს არის საზოგადოების მთავარი მოთხოვნა და ლაპარაკიც არ უნდა იყოს იმაზე, მოხერხდება თუ არა რომელიმე დამნაშავის დასჯა. **დამნაშავე დაუსჯელი არ უნდა დარჩეს და, თუ დარჩება, ძალიან ცუდად შეუბრუნდება თვითონ ხელისუფლებას...**

**— თქვით, რომ სააკაშვილის განცხადებებს ყურადღების ღირსად არ თვლით. მაგრამ ფაქტია, რომ ამ განცხადებებით ის საქართველოს დისკრედიტაციას ეწევა საერთაშორისო ასპარეზზე. არ მიგაჩნიათ, რომ ამით გარკვეული საფრთხე ექმნება ჩვენს სახელმწიფოს?**

— სააკაშვილს ყველგან იცნობენ, როგორც „კლოუნს“, და მის განცხადებებს არსად აღიქვამენ სერიოზულად. სააკაშვილი არის საერთაშორისო მასხარა, რომელიც დადის სახელმწიფოდან სახელმწიფოში, კაბინეტიდან კაბინეტში და ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ საქართველო „ნაცმოძრაობის“ გარეშე წინ ვერ მიდის, ქვეყანა ინგრევა და ჩანაგდებაო. არ მიმაჩნია, რომ ამით საქართველოს საფრთხე ექმნება და **ჩვენც ვილაცების წინაშე კუდის ქიცინს თავი უნდა დავანებოთ...**

**— უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად „ნაციონალების“ წარმომადგენელი ალექსანდრე კვიტაშვილი დაინიშნა.**

— ეს არის უკრაინელების გადაწყვეტილება და შედეგებზე მათ უნდა იდარდონ. რაც შეეხება თვითონ კვიტაშვილს, გადახედეთ მის ბიოგრაფიას: მოღვაწეობდა სხვაგან, ჩამოვიდა, ფუფუნებაში გაატარა რამდენიმე წელი, ახლა წავიდა სხვა ქვეყანაში და კვლავ ფუფუნებაში ცხოვრობს. მორჩა! ჩემთვის არც მისი მოქალაქეობა ნიშნავდა რამეს და არც მისი მოქალაქეობის დაკარგვა იყო ტრაგედია. კვიტაშვილს, როგორ ჩანს, არ აქვს იმის განცდა, რომ საქართველო მისი სამშობლოა. ასეთი ხალხისთვის სულერთია, სად იმოღვაწებენ, როგორ იმოღვაწებენ და რა კვალს დატოვებს მათი გაკეთებული საქმე. ასეთი ადამიანებისთვის მთავარია ფუფუნება და ეს ფუფუნება მათ ნამდვილად არ აკლიათ.

**— უკრაინაში ქართველი სამხედროების გამოჩენა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?**

— კიდევ ვიმეორებ: ორმა და სამმა ოფიცერმა რა გადაწყვეტილება მიიღო, ეს მათი პრობლემაა და ნუ წარმოვაჩენთ, თითქოს სახელმწიფოს პოზიციაა ასეთი. ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაზე და, საერთოდ, საგარეო-პოლიტიკურ ვექტორზე. ამის გარშემო აჟიოტაჟის ატეხვა ხელს აძლევს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილსა და მის გარემოცვას.

**— შესაძლებლად მიგაჩნიათ, ეს ოფიცრები მომავალში უკან რომ დაბრუნდნენ და სააკაშვილის მითითებით დესტაბილიზაციის გამოწვევას შეეცადონ?**

— ზოგს ვიცნობ და არა მგონია, ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევაზე დათანხმდნენ, მაგრამ ბევრს, შეიძლება, მართლაც აქვს იმედი, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიარაღებული კოლონით დაბრუნდება ქვეყანაში. ეს უკვე მომავლის საკითხია და, თუ ამ მხრივ რამე საფრთხეა მოსალოდნელი, შესაბამისი სამსახურები იმისთვის არსებობენ, რომ ეს საფრთხეები აღკვეთონ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო



## კერი მოქნილობას ითხოვს

**„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ამერიკის სამხედრო ძალების გამოყენებაზე კონგრესის მიერ გაცემული ნებისმიერი სანქცია მოქნილი უნდა იყოს და მხოლოდ ერაყსა და სირიაში ფრენების დაშვებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.** აღნიშნულის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა. „ასევე, ნებართვა არ უნდა ზღუდავდეს პრეზიდენტ ბარაკ ობამას, განალაგოს სახმელეთო ძალები, თუ ამის აუცილებლობა იქნება“, — განაცხადა კერიმ აშშ-ის სენატში გამოსვლისას. „ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ სამხედრო ძალების გამოყენებაზე ნებართვა (AUMF) გეოგრაფიულ შეზღუდვებს უნდა ითვალისწინებდეს. არ ვგეგმავთ, სირიისა და ერაყის გარდა, სხვა ქვეყნებში ოპერაციის წარმოებას, თუმცა „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან საფრთხის გამო არ გვინდა, რომ ეს სანქცია ზღუდავდეს ჩვენს შესაძლებლობას, ვიმოქმედოთ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სხვა ქვეყნებშიც“.



ჩეკლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პრობლემა არც ასეთი კლიპის გადაღებაა და არც ის, რომ ვიღაც ლესბოსელია... პრობლემა არის ის, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი ტელევიზია, თანაც ტელევიზია, რომელსაც პრეტენზია აქვს „სერიოზულობაზე“, „პრესტიჟულობაზე“, „სოლიდურობაზე“ და ქვეყანაში ამინდის შექმნაზე, ლესბოპროპაგანდას ასე თავხედურად ეწევა ღია ეთერში! თავი რომც დავანებოთ სასაცილო სულელურ ტექსტს, უგანალურეს მუსიკას და „რუსული პაპსას“ დონის უგემოვნო კლიპს... მოკლედ, ფაქტია — ასეთ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს და ასეთ სახელმწიფოს მომავალი არ გააჩნია.**

# ტყ-აპუნი, ტყ-უილი და სხვა ტყ-ები ქართულ მედიაში



**სხვანაირად არაფერი გაიგოთ-მეთქი, მინდოდა, დამეწერა, მაგრამ სხვანაირად რაღა უნდა გაიგოთ, როდესაც უკვე თითქმის ყველა ქართული ტელევიზია წალეკა ტყ-ტყ-ტყ-ტყ-ს ძახილმა და გაბადრულმა სახეებმა — „ნახეთ, რა თავისუფალი ვარ, ეთერში რა სიტყვებს ვამბობო“.**

ისიც ვიცი, ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ ე. წ. ლიბერალებს რა კომენტარები ექნებათ. აი, დაახლოებით ასეთი: „ვაიმე, რა გოიმობაა, სიტყვა **სექსის** თქმა გერიდებათ? რომელი საუკუნეა?“ „ვაიმე, ადამიანებმა სიტყვა **სექსი** ახსენეს ეთერში და ამიტომ ჯიჯგნით? აუ, რა სიბნელეააა“...

ჰოდა, ასეთი ტუტუცური კომენტარებისგან თავის დასაზღვევად აგერ, აქვე, სტატიის დასაწყისშივე ხმამაღლა ვამბობ — **ს ე ქ ს ი!**

**აბა, კიდევ გსურთ, რამე „ტაბუდადებული“ სიტყვა წარმოვთქვათ? არა, ნუ, ეს „ტაბუდადებული,“ საერთოდ, „მაგარ“ მოდურ სიტყვად იქცა... რა სისულელეზეც უნდა გააკეთოს რომელიმე „სკანდალურმა“ ტელეწამყვანმა უტვინო შოუ, იქ წამოჭრილ თემებს „საქართველოში ტაბუდადებულად“ ასაღებს და ცდილობს, ამით გაუსვას ხაზი თავის „განსაკუთრებულობას“...**

არადა, სიტყვა „ტაბუ“ ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს და „ტაბუდადებულიც“ ხომ ის არის, რაზეც არავინ ლაპარაკობს?! საქართველოში კი გაზეთებშიც, ტელევიზიებშიც, 20 წელიწადია, სწორედ ამ „სექსზე“ „ჰომოსექსუალებზე“ „გენდერზე“ „ტრანსექსუალზე“ და მსგავს თემებზე საუბრობენ გამუდმებით. მიპასუხოს ვინმემ, რაღანაირად არის ეს თემები ტაბუდადებული?!

**ტაბუდადებული კი არა, საქართველოში მთელი ეს „ბალაგანი“ აღვირახსნილია და არც არავინ ცდილობს მის გაკონტროლებას!**

ვიცი, ახლა რომელიმე „მოლიბერასტო“ ელემენტი ისევ გამომიხტება და სიტყვა „თავისუფლებით“ სპეკულირებას დაიწყებს... კი, ბატონო, პიროვნულ თავისუფლებას ყველამ პატივი უნდა ვცეთ! მაგრამ ხაზს ვუსვამ — **პ ი რ ო ვ ნ უ ლ ს,** რაც იმას ნიშნავს, რომ შინ არავინ უნდა შემოგივარდეს და შენი ზნეობა და მორალი არ უნდა აკონტროლოს; **რაც შეეხება საზოგადოებრივ ზნეობასა და მორალს, აქ თავისუფლება არც არასოდეს ყოფილა და არც უნდა იყოს, თუკი ჩვენ გვსურს, რომ შემდგარ ქვეყნად, სახელმწიფოდ ვიქცეთ და არა უზნეო, უტვინო მასად, რომელსაც სიტყვა „თავისუფლება“ უაზროდ აუჩემებია.**

ყოველივე ამის უთვალსაჩინოესი მაგალითი იყო „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პროფილში“ გასული ლესბოსურ-მუსიკალური კლიპი ნინა წკრიალაშვილისა და შორენა ბეგაშვილის მონაწილეობით.

არა, **პრობლემა არც ასეთი კლიპის გადაღებაა და არც ის, რომ ვიღაც ლესბოსელია... პრობლემა არის ის, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი ტელევიზია, თანაც ტელევიზია, რომელსაც პრეტენზია აქვს „სერიოზულობაზე“, „პრესტიჟულობაზე“, „სოლიდურობაზე“ და ქვეყანაში ამინდის შექმნაზე, ლესბოპროპაგანდას ასე თავხედურად ეწევა ღია ეთერში!**

**თავი რომც დავანებოთ სასაცილო სულელურ ტექსტს, უგანალურეს მუსიკას და უგემოვნო კლიპს... მოკლედ, ფაქტია — ასეთ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს და ასეთ სახელმწიფოს მომავალი არ გააჩნია.**

ასეთ მძიმე დასკვნას არ გამოვიტანდი, ეს პირველი შემთხვევა რომ ყოფილიყო დამოუკიდებელი საქართველოს ტელევიზიების ისტორიაში. იმ ცხრაწლიან წარსულშიც რომ არ გადავხტეთ, როდესაც ტელეკომპანია „იმედს“ („ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მისი მისაკუთრების შემდეგ, 2008 წლიდან) „სექსფლაგმანის“ როლი ჰქონდა აღებული და ეთერში ლამის პორნოს უშვებდა, სამწუხაროდ, არც უახლეს წარსულში გვაკლია მსგავსი „ტელე-სექს-ხულიგნობის“ მაგალითები.

**ჯერ მხოლოდ არჩევნებში ახალგამარჯვებული ბიძინა ივანიშვილის ოჯახის ტელევიზიის — „ჯი-დი-ეს“-ის ეთერში ჩადენილი უამრავი სისულელე რად ღირს: გოგონას შიშველ უკანალში ჩაჭედებული „სტეპლერებიდან“ დაწყებული, სტუდიაში ორი ქალის შიშველ უკანალებზე ხელების ტყაპუნით დამთავრებული!**

**ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ ამ ტელეკომპანიაში ჯგუფ „ბანის“ დრამერის მიერ ქალების ტრაკებზე დაკრულ ქართულ მუსიკას.**

მთავარი კი ის არის, რომ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ, ბოდიშის მოხდის ნაცვლად, ეს ტყაპუნი მოგვიანებით „ევროპული“ ტყუილით გაამართლა: „მსგავსი მუსიკალური ნომერი ევროპაში მრავალჯერ არის გაკეთებული და რას გვერჩის ეს ბნელი ქართული საზოგადოებაო!“...

**აი, სიტყვა „ევროპის“ არადანიშნულებისამებრ გამოყენების კიდევ ერთი ქართული მაგალითი, რადგან ეს მუსიკალური ნომერი (შიშველ უკანალებზე ტყაპუნი) მხოლოდ და მხოლოდ ინტერნეტსივრცეში იყო განთავსებული რომელიღაც ევროპელი მუსიკოსის შესრულებით და არც ერთ პრესტიჟულ ევროპულ არხს მისი ეთერში გაშვება არც კი უფიქრია...**

ჩვენი ტელეარხების ძირითადი პრობლემაც ხომ სწორედ ეგ არის, რომ **არათუ რიგით ჟურნალისტად, არამედ ტელევიზიის დირექტორად და მთავარ მენეჯერად მუშაობენ სრულიად შეუფერებელი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის არმქონე ადამიანები, რომლებიც სრულიად გულწრფელად სვამენ კითხვას: „მერე რა? ინტერენტით გაავრცელებ თუ სატელევიზიო ეთერში გაუშვებ, რა მნიშვნელობა აქვს?“**

> **არათუ რიგით ჟურნალისტად, არამედ ტელევიზიის დირექტორად და მთავარ მენეჯერად მუშაობენ სრულიად შეუფერებელი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის არმქონე ადამიანები, რომლებიც სრულიად გულწრფელად სვამენ კითხვას: «მერე რა? ინტერენტით გაავრცელებ თუ სატელევიზიო ეთერში გაუშვებ, რა მნიშვნელობა აქვს?»**

რა თქმა უნდა, ვრცელი ლექციის ჩატარება მომიწევს მათთვის ან კიდევ მკითხველისთვის იმის ასახსნელად, რატომ არ უნდა ინიშნებოდნენ ტელეკომპანიების ხელმძღვანელებად ასეთი მძიმე სისულელით დაავადებული პერსონები.

ტრაგედია არის ის, რომ **ასეთი ლექცია და ახსნა-განმარტებითი მასტერ-კლასი თვითონ ტელეკომპანიების დამფუძნებელ-მფლობელებს ესაჭიროებათ.**

და, ვიდრე ზოგიერთი „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“ საკუთარი „სამოქალაქო სექტორიდან“ ჟურნალისტების „დატრენინგებას“ და მათთვის ჭკუის დარიგებას გადაწყვეტს, სჯობს, იმას მიაქციოს ყურადღება, თავის ტელევიზიაში ვის ნიშნავს პასუხისმგებელ თანამდებობებზე და აქვთ თუ არა იმ ადამიანებს შესაბამისი შეგნება! ვინაიდან მაუწყებლობა ის სფეროა, რომელშიც ცოდნასა და პროფესიონალიზმზე მეტად საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და ელემენტარული ზნეობრივი ნორმების დაცვა ფასობს.

**თუ არადა, ისევ ისეთი „წარმატებით“ გაგრძელდება ჩვენს ტელევიზიებში ტყ-აპუნიც, ტყ-უილიც და კიდევ სხვა ტყ-ები და ასეთი პროპაგანდისტული მანქანის შემყურე ქვეყანა და სახელმწიფო ვერაფერს მიიღებს სახარბიელოს.**

აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ **ტელეკომპანია „იმედი“ ზემოხსენებული „ცხრაწლიანი პერიოდის“ დასრულების შემდეგაც არანაკლები მონდომებით განაგრძობს „ნაციონალი“ მმართველების მიერ დამკვიდრებულ ერთგვარ უზნეო ტრადიციას. ამის დასტური ამ ტელევიზიის ეთერში ახლახან გამოჩენილი „გიორგი ჯაჯანიძის შოუა“, რომელმაც პირველი ქულები რეიტინგში ერეკლე დეისაძის „მუსიკალური“ კლიპის — „შენ გავხარ მამას, შენს ახვარ მამას“ — გაშვებით, მისი ავტორის სტუდიაში განუსაზღვრელი დოზით ტლიკინის უფლების მიცემით ჩაიწერა...**

პრობლემა აქაც ანალოგიურია — არავის აინტერსებს, რას ფიქრობს ეს გატუტუცებული „ხელოვანი“ ერეკლე დეისაძე საკუთარ მამაზე — „ახვრად“ მიაჩნია თუ „წუპაკ მამაძაღლად“, მაგრამ **ღია ეთერში საკუთარი მშობლების დამამცირებელი სიუჟეტის გაშვება „თავისუფალი ევროპის“ არც ერთი თავმოყვარე ტელევიზიის ისტორიას არ ახსოვს!**

**მეტიც — ეს აკრძალულია ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით!**

როგორც ჩემთვის ცნობილია, **საქართველოს კანონებშიც მოიპოვება მსგავსი ჩანაწერი, რომელიც ბავშვებისთვის მშობლების უპატივცემულობისკენ მოწოდების შემცველი შინაარსის გადაცემის ეთერში გაშვებას კრძალავს, მაგრამ, აბა, ჩვენი სანაქებო ე. წ. ქართული ლიბერალიზმი ხომ არაფრად დაგიდევთ არც ქართულ, არც ევროპულ, არც მსოფლიო და არც სამყაროსეულ კანონებს, ნორმებს, საზღვრებს, ჯებირებს და მიისწრაფვის უსასრულო თავისუფლებისკენ, აღვირახსნილობისკენ, შეუზღუდაობისა და, როგორც ბიძია-ბაბუა ქრისტეფორე მგალობლიშვილი იტყოდა, „შეცნობილი აუცილებლობისკენ!“...**

სწორედ რომ შეცნობილ პროპაგანდას ჰგავს ეს ყველაფერი და მომავალი თაობის ცნობიერებაზე უხეშ ტყაპუნს...

ამიტომ, **იქნებ დროა, დავფიქრდეთ და ამ ქართული მედიატყ-ების შეჩერება რამენაირად შევძლოთ, რათა მერე, ძალიან გვიან აზრზე მოსული ტრიფონიასავით არ მოგვიწიოს კითხვის დასმა: „დაიცა, ახლა რა გამოდის: ამ ერთმა მათხოვარმა ჩემი ცოლი უნდა შეირთოს და ეს მეორე მათხოვარი ჩემი მძახალი უნდა გახდეს?!“.**

მერე, დამიჯერეთ, აღარ გვიშველის „კარტოფილით სავსე ტომრების“ აქეთ-იქით უაზრო სროლა...

**ბაკურ სვანიძე**

მსოფლიო

## ვენესუელის პრეზიდენტი: აშშ-ის ჩარევა ვენესუელის საშინაო საქმეებში აუტანელია

**„ვენესუელის საშინაო საქმეებში ბარაკ ობამას მთავრობის ჩარევის ფონზე, ჩვენ ვაანალიზებთ დამოკიდებულებას აშშ-ის მიმართ,“ — განაცხადა ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ.** „აშშ-ის საელჩოს ჩარევა ვენესუელის საშინაო საქმეებში აუტანელია, სამწუხაროა, რომ ობამა უფლებას აძლევს თავის საელჩოს ვენესუელაში, ასეთი მანერით იმოქმედოს. ქვეყნის საშინაო საქმეებში აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობის ჩარევის შესახებ საკმარისი ინფორმაცია გვაქვს,“ — განაცხადა ვენესუელის ლიდერმა, რომელიც ტელეარხ Telesur-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკელი პოლიციელების მიერ ახალგაზრდა აფროამერიკელების დახოცვით გამოწვეულ ვნებათაღელვასაც შეეხო. „ის, რაც ამჟამად აშშ-ში ხდება, დრამატული მოვლენაა, ამ ახალგაზრდა აფროამერიკელების ასე მხეცურად დახოცვა, რასიზმს აღრმავებს“, — განაცხადა მადურომ აშშ-ში მიმდინარე საპროტესტო აქციების კომენტირებისას.

შეგახსენებთ: ნიუ იორკის საოლქო სასამართლოს ნაფიცმა მსაჯულებმა პასუხისმგებლობა არ დააკისრეს პოლიციელ დენიელ პანტალეოს, რომელმაც ახალგაზრდა აფროამერიკელი ერიკ გარნერი დაკავებისას დაახრჩო. სასამართლოს გადაწყვეტილებამ აშშ-ში დიდი მღელვარება გამოიწვია.



**„ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის გამოკლებით, 4 მილიონ ხუთასი ათას ადამიანს შეადგენს. მაგრამ, დემოგრაფთა მიერ პროცესების გაანალიზების შედეგების მიხედვით, ეს მონაცემი 3 მილიონ რვაასი ათასს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან საქართველოში მოსახლეობის აღწერა არასწორად ხდებოდა“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანზორ თოთაძე:

# შეიძლება, ერთ დღეს გავიღვიძოთ და ვნახოთ, რომ საქართველოში გაცილებით მეტი სხვა ეროვნების ბავშვი იბადება, ვიდრე ქართველი

**ახლახან საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა და შედეგების გამოქვეყნებას ბევრი ელოდება. რა მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში და რა პრობლემების წინაშე ვდგავართ — ამ საკითხებზე „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ანზორ თოთაძე გვესაუბრება:**



— საყოველთაო აღწერის შედეგები, კერძოდ, რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა მომავალი წლის აპრილში გასაჯაროვდება. ხოლო გასაჯაროება მთელი რიგი საკითხებისა, მაგალითად, რამდენი სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანი ცხოვრობს ქვეყანაში, რამდენი ქართველია უცხოელზე დაქორწინებული და სხვ., 2016 წლისთვის არის გათვალისწინებული. ამჟამად, **ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამოკლებით, 4 მილიონ ხუთასი ათას ადამიანს შეადგენს. მაგრამ, დემოგრაფთა მიერ პროცესების გაანალიზების შედეგების მიხედვით, ეს მონაცემი 3 მილიონ რვაასი ათასს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან საქართველოში მოსახლეობის აღწერა არასწორად ხდებოდა.** ამას აკეთებდა საჯარო რეესტრი გიორგი ვაშაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც დაამახინჯა მონაცემები, რაც მთავარია, მიგრაციის პროცესები ზუსტად არ აღწერეს. მოგეხსენებათ, ჩვენი მოსახლეობის შემცირება, პირველ რიგში, მიგრაციულმა პროცესებმა გამოიწვია, რომელიც დღემდე გრძელდება, და შემდეგ — რეგიონებში შობადობის შემცირებამ, რაც შიგა მიგრაციის ბრალია. **სამწუხაროდ, კიდევ უფრო დამძიმდება დემოგრაფიული მდგომარეობა 2020 წელს.**

**— რას გულისხმობთ?**

— 1980-იან წლებში საქართველოში დაიბადა 455 ათასი გოგონა. დღეს სწორედ ეს გოგონები გახდნენ დედები, ბოლო ათი წლის განმავლობაში დაიბადა 236 ათასი გოგონა, რაც ნიშნავს იმას, რომ, **თუ რადიკალურ ზომებს არ მივიღებთ, არ განვახორციელებთ ეფექტიან დემოგრაფიულ პოლიტიკას და შობადობას არ გავზრდით, როდესაც ეს 236 ათასი გოგონა 20-30 წელს მიაღწევს, შობადობა კვლავ განახევრდება და უარეს მდგომარეობაში ჩავცვივდებით.**

**— როგორ უნდა გატარდეს ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკა?**

— ახალმა ხელისუფლებამ საამისოდ ნაბიჯები უკვე გადადგა და ამის დაუნახაობა არ შეიძლება. **იმ რეგიონებში, რომლებიც ქართველებითაა დასახლებული, მოსახლეობის საგანგაშო კლება აღინიშნება. კერძოდ, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში ორი ათეული წელია, მოსახლეობა თითქმის არ მრავლდება,** რადგან უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. შობადობის თვალსაზრისით, უკეთესი ვითარებაა საქართველოს სამ ქალაქში — თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში. მაინც დიდი ქალაქებია, არსებობს სხვადასხვა ფინანსური დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებლები და, ვინაიდან ამ ქალაქებში ეკონომიკის დონე, სხვა რეგიონებთან შედარებით, მაღალია, შობადობაც, ასე თუ ისე, ნორმალურია. სავალალო მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმში. რაჭაში 1966-1967 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 8200-ს. დღეს კი ონის რაიონში სულ 8200 ადამიანი ცხოვრობს. გარე მიგრაციასთან ერთად, შობადობა შიგა მიგრაციამაც შეაფერხა — რაიონებიდან დიდ ქალაქებში გადმოდიან საცხოვრებლად, უმრავლესობას ეკონომიკურად უჭირს, ქირით ცხოვრობს და ბავშვის გაჩენისგან თავს იკავებს.

**— დღევანდელი მონაცემებით, დაახლოებით რამდენი ადამიანია ემიგრაციაში?**

— ადრე ემიგრაციული ნაკადი რუსეთისკენ მიედინებოდა, ბოლო ხანს კი — დასავლეთ ევროპისა და ამერიკისკენ. მათგან ბევრი, ათ წელზე მეტია, საქართველოში აღარ ცხოვრობს და ჩვენს მოქალაქედ აღარც ითვლება. ბევრმა უცხოეთში შექმნა ოჯახი და, სამწუხაროდ, მათი დაბრუნების ალბათობა ძალიან მცირეა. ასე რომ, **ჩვენი მოსახლეობის შემცირება კვლავ გრძელდება, რაც სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს.**

**— რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ?**

— მთავრობამ გარკვეული ღონისძიება გაატარა და იმ 6 რეგიონში, რომლებიც ქართველებითაა დასახლებული, თუ მესამე და შემდეგ ბავშვს გააჩენენ, ყოველთვიურად 150 ლარს მიიღებენ, მაღალმთიან რაიონში კი — 200 ლარს.

**— კი მაგრამ, 150-200 ლარით ბავშვის გაზრდა შესაძლებელია?**

— ეს თანხა სოფლად არც ისე მცირეა, რადგან დღეს ქართულ სოფლებში ყველაზე მდიდარი ადამიანი პენსიონერია. **წარმოიდგინეთ, როგორი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა ქვეყანაში, სადაც პენსიონერი მდიდარ კაცად ითვლება.** გარდა ამისა, **მშობიარობა გახდა უფასო, რაც სახელმწიფოს 50 მილიონი ლარი უჯდება. დეკრეტული შვებულება 4-დან 6 თვემდე გაიზარდა, ხოლო ანაზღაურება დეკრეტული შვებულებაში ყოფნის პერიოდში — 600-დან 1000 ლარამდე,** ანუ პრობლემების მოსაგვარებლად ნაბიჯები კი გადაიდგა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან **ქვეყანაში ისეთი უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა, რომ ხელისუფლება ვალდებულია, ბევრი და ხანგრძლივი ღონისძიება გაატაროს.** მაგალითად, საფრანგეთმა 1920-იანი წლებიდან დაიწყო ხანგრძლივი დემოგრაფიული პროგრამა, რომლის შედეგადაც დღეს ეს ქვეყანა ევროპაში ყველაზე უკეთესი დემოგრაფიული მაჩვენებლებით გამოირჩევა.

> **«1960-1989 წლებში ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 55 ათას კაცს შეადგენდა. ბოლო 24 წლის განმავლობაში, 1990-2013 წლებში კი წლიურმა ბუნებრივმა მატებამ მხოლოდ 9377 კაცი შეადგინა. ეს არის სავალალო რეალობა და, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს სრულად ვერ ვაანალიზებთ»**

**— მაინც რა არის საჭირო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად?**

— საქართველოში დემოგრაფიული პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია კონცეფცია-პროგრამის შედგენა. წლების წინათ აზერბაიჯანმა, რომელიც დემოგრაფიული პრობლემის წინაშე არ იდგა, მაინც შეადგინა დემოგრაფიული კონცეფცია და ოთხ ტომად გამოსცა. საქართველოს კი ასეთი კონცეფცია არ აქვს. ამიტომ აუცილებელია, ჩვენმა ხელისუფლებამაც შეიმუშავოს მსგავსი კონცეფცია და გამოაქვეყნოს წინასწარი შედეგები — როგორი იქნება ქართველთა გამრავლების მდგომარეობა 2030 წელს, 2045 წელს და ა.შ. **უნდა შეიქმნას სპეციალური პროგრამა, როგორ გავამრავლოთ ერი. ეს პროგრამა თითქმის ყველა ქვეყანას აქვს, ჩვენ გარდა. სახელმწიფო ვალდებულია, შეადგინოს და დააფინანსოს ქართველების გამრავლების პროგრამა; ამ საკითხში ჩართოს სპეციალისტები და გაწეროს რიგი ღონისძიებებისა ახლო და შორეულ პერსპექტივაში.**

გამრავლების მხრივ, ყველაზე საშინელი მდგომარეობაა სოფლებში, სადაც ბოლო ათი წლის განმავლობაში შობადობა სამჯერ შემცირდა. **გურჯაანის მუნიციპალიტეტში ბოლო ათ წელიწადში მოსახლეობა შემცირდა 4500 კაცით. არადა, კახეთის იმ რაიონებში, რომლებშიც ცხოვრობენ მაჰმადიანები, მოსახლეობის მატებაა.** დააკვირდით, გურჯაანის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 69 მაჰმადიანი ცხოვრობს, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ ქართველებით არის დასახლებული, თუმცა მოსახლეობა შემცირებულია. **ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონებში კი, რომლებშიც მაჰმადიანი მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ დიდია, ბუნებრივი მატება აღინიშნება, რაც საგანგაშოა.**

ქვეყანაში ტიტულოვანი ერის გამრავლებაზე უნდა ხდებოდეს ზრუნვა. წარმოიდგინეთ, შექსპირიც კი თავის თითქმის ყველა სონეტში დემოგრაფიულ პრობლემებს უსვამს ხაზს. ამბობს კიდეც, რად არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენებაო. ჩვენც უნდა გვაფიქრებდეს ჩვენი მოდგმის გადაშენება.

**მას შემდეგ, რაც პასპორტიდან ამოიღეს გრაფა „ეროვნება“, არ ვიცით, რამდენი ქართველი ცხოვრობს საქართველოში, რამდენი დაიბადა და რამდენი გარდაიცვალა, თუმცა 2014 წლის აღწერის მიმდინარეობისას ეს შეკითხვა დაისვა და აწი გვეცოდინება, რამდენი ქართველი ცხოვრობს საქართველოში.** შობადობასა და მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე მოქმედებს ბევრი ფაქტორი, რომლებიც ზოგჯერ წინააღმდეგობრივია. მაგალითად, ურბანიზაციის პროცესი, ერთი მხრივ, აუარესებს ძირითად დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ცივილიზაციის მაჩვენებლია. **არსებული დემოგრაფიული ვითარების პირობებში სტრატეგიულ მიმართულებად მიგვაჩნია ურბანიზაციის უარყოფითი გავლენის შესუსტება შობადობაზე. ამ მიზნით აუცილებელია, შეიზღუდოს დიდი ქალაქების, უპირველესად, ქვეყნის დედაქალაქის მოსახლეობის ხელოვნური ზრდა და ყურადღება დაეთმოს საშუალო და მცირე ქალაქების და, რაც მთავარია, სოფლების განვითარებას.** ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სიმცირის პირობებში, ცხოვრების წესის შენარჩუნების თვალსაზრისით, ამ ღონისძიების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 2013 წელს საქარველოს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 9325 კაცი შეადგინა: 7178 — ქალაქში და 2147 — სოფელში, რაც ნიშნავს, რომ ბუნებრივი მატების 77 პროცენტი ქალაქებზე მოდიოდა, ძირითადად, ოთხ ქალაქზე — თბილისზე, ბათუმზე, ქუთაისსა და რუსთავზე. ეს ყველაფერი იმის უტყუარი ფაქტია, რომ **სოფლად შობადობის დონე კატასტროფულად შემცირდა.** მეტიც, თუ ასე გაგრძელდა, დემოგრაფიულ კატასრტოფას ვერ ავცდებით. **1960-1989 წლებში ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 55 ათას კაცს შეადგენდა. ბოლო 24 წლის განმავლობაში, 1990-2013 წლებში კი, წლიურმა ბუნებრივმა მატებამ მხოლოდ 9377 კაცი შეადგინა. ეს არის სავალალო რეალობა და, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს სრულად ვერ ვაანალიზებთ.** შეიძლება, ერთ დღეს გავიღვიძოთ და ვნახოთ, რომ საქართველოში გაცილებით მეტი იბადება სხვა ეროვნების ბავშვი, ვიდრე ქართველი. მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება; მაგალითად, 2013 წელს 59 მუნიციპალიტეტიდან 55-ში მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღინიშნა. თანაც ეს კლება მოხდა ქართველებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, რაც წლებია, გრძელდება და დღეს კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

---

მსოფლიო



## მექსიკის ყურეში «მკვდარი ზონა» ჩამოყალიბდა

**მექსიკის ყურის ფსკერზე ჩამოყალიბდა ე. წ. მკვდარი ზონა, რომლის ფართობმაც 13 ათას კვადრატულ კილომეტრს მიაღწია. ამ ზონაში ჟანგბადის დონე ზღვის ბინადრებისთვისაც ძალიან დაბალია.** „მკვდარი ზონის“ ჩამოყალიბების მთავარი მიზეზია ზოგიერთი სახეობის ზღვის მცენარეების ჭარბი გამრავლება, რომლებიც ბევრ ჟანგბადს შთანთქავენ. მეცნიერების განცხადებით, მცენარეების სწრაფი გამრავლების მიზეზი მდინარე მისისიპის ნაპირზე არსებული სასოფლო მეურნეობაა, რომლის გამოც ბევრი ქიმიური შენაერთი ხვდება ზღვაში. ეს არის სიდიდით მეორე „მკვდარი ზონა“ მსოფლიოში. პირველ ადგილს ბალტიის ზღვა იკავებს. მეცნიერების განცხადებით, „მკვდარი ზონების“ რაოდენობა მსოფლიოში სწრაფად იზრდება.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს მოსახლეობა მთლიანობაში საკმაოდ სკეპტიკურად აფასებს ნატოსა და შეერთებულ შტატებთან საქართველოს თანამშრომლობას. ამ დღეებში (2014 წლის ბოლოს) რომ ტარდებოდეს პლებისციტი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში საქართველოს შესვლას, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლები მისცემდა ხმას.**

# ხელისუფლებისგან განსხვავებით, ხალხი ხვდება, რომ არც ნატოა ჩვენი მშველელი და არც ამერიკა — მეგობარი!

**აწ უკვე მოხსნილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ კარის გაჯახუნება საქართველოს საგარეო ვექტორის შეცვლის საბაბით დააპირა და განაცხადა, რომ ვერავინ შეცვლის ქართველი ერის ისტორიულ არჩევანს. მთავრობაში დარჩენილებმაც არ დაუთმეს დასავლური ორიენტაცია „უჭკუო და ამბიციურ" ყოფილ კოლეგას და მონდომებით დაადასტურეს „ისტორიული არჩევანის" ერთგულება. საერთოდ, ამ თემით სპეკულირებამ უკვე სასაცილო ხასიათი მიიღო; ჩვენ გამუდმებით გვპირდებიან საქართველოს „ევროპაში დაბრუნებას", ანუ, სადაც არასდროს ყოფილა, იქ გვაბრუნებენ.**

არ მთავრდება რეფერენდუმის ხსენებაც, რომელიც, ასევე, სულაც არ ყოფილა რეფერენდუმი — პლებისციტი იყო და თანაც — ისევე გაყალბებული, როგორც სააკაშვილის პრეზიდენტობისთვის მიწერილი პროცენტები. იმჟამინდელი ნაყალბევით დღეს ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთნაირად ყელყელაობენ და ნატოში შესვლის მათეულ სურვილს ქართველ ხალხს მიაწერენ. **პლებისციტის შედეგები მაშინ თითქმის 80 პროცენტამდე აქაჩეს, ვიდრე იმჟამინდელი ოპოზიცია საკუთარ ხმებს ითვლიდა და ბოლოს ისევე „გააპრავეს", როგორც სააკაშვილის პირველივე ტურში გამარჯვება.**

ევრაზიის ინსტიტუტმა ამ საკითხზე სოციოლოგიური გამოკვლევა ორჯერ ჩაატარა — 2012 წლის არჩევნების წინ და სულ ახლახან — 2014 წლის 10-დან 17 ნოემბრამდე. მთელი საქართველოს მასშტაბით, 1718 რესპონდენტი გამოიკითხა. თუ პირველი გამოკითხვა საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავდა და არჩევნების წინ პოლიტიკური პარტიების რეიტინგებსაც აჩვენებდა, ამჯერად მკვლევარებმა ყურადღება მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ასპექტებზე გაამახვილეს, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (ნატო) ინტეგრაციისადმი და საკუთრივ ამ ორგანიზაციისადმი, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატებისადმი.

**გამოკითხვა ჩატარდა ქალაქებსა და სოფლებში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მკვლევარებმა სრულიად შეგნებულად, მეთოდოლოგიური მოსაზრებით აუარეს გვერდი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს — ქვემო ქართლსა და ჯავახეთს.**

გამოკითხვის გეოგრაფია:

**თბილისი (საბურთალო, დიდი დიღომი, ვერე, ჩუღურეთი, დიდუბე) — 482 რესპონდენტი (გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 28,1%); გორი — 262 (15,3%); ბათუმი — 296 (17,2%); ზუგდიდი — 151 (8,8%); ზუგდიდის რაიონის სოფლები — 100 (5,8%); საგარეჯოს რაიონი — 160 (9,3%); მცხეთის რაიონი — 48 (2,8%); დუშეთის რაიონი — 73 (4,2%); ლტოლვილები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან (დასახლებულნი მცხეთის რაიონში) — 146 (8,5%).**

რესპონდენტთა 48,5% მამაკაცია(825), 51,5% — ქალბატონი(875). გამოკითხულთა სოციალური სტატუსი: თვითდასაქმებულები — 22,8%, სახელმწიფო მოხელეები — 11,2%, ბიზნესმენები — 2.9%, უმუშევრები — 35.2%, პენსიონერები — 17,3%, სტუდენტები — 8,2%, დაქირავებული მუშაკები — 2,5%.

გამოკითხულთა ასაკობრივი დიაპაზონი ასევე დაბალანსებულია: 18-25 წელი — 14,5%, 26-35 წელი — 16,0%, 36-45 წელი — 20,9%, 46-55 წელი — 19,7%, 56-65 წელი — 14,7%, 65 წელზე ზევით — 14,1%.

გამოკითხვის ორგანიზატორები მიუთითებენ, რომ მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში. „განსხვავებით 2012 წლის აგვისტო-სექტემბრისგან, აშკარაა ხალხის მეტი გაბედულება, გამოხატოს საკუთარი აზრი; ძალიან ცოტა იყვნენ ისინი, ვინც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე ან ცალკეულ შეკითხვებს პასუხი არ გასცეს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამჟამინდელი გამოკითხვა მხოლოდ საგარეო პოლიტიკას შეეხებოდა".

**საინტერესოა, რომ ყველაზე „პრონატოური" და „პროამერიკული" რეგიონი აღმოჩნდა ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის რაიონი (სადაც ყველაზე პრონატოელმა და პროამერიკელმა ირაკლი ალასანიამ საპარლამენტო არჩევნები პირწმინდად წააგო როლანდ ახალაიასთან), ხოლო ყველაზე „ანტინატოური" და „ანტიამერიკული" შედეგები მცხეთისა და დუშეთის რაიონებში, დევნილების ჩათვლით, აგრეთვე, ქალაქ ბათუმში დაიდო.** დევნილების ამგვარი პოზიცია გასაკვირი არც არის, არც ბათუმის დამოკიდებულებაა უცნაური — ისინი ხომ ნატოს სახით თურქეთის გამალებული ექსპანსიის მსხვერპლად აღიქვამენ თავს.




## კითხვაზე — ნატო, თქვენი აზრით, არის თავდაცვითი სამხედრო ბლოკი? — დადებით პასუხს იძლევა 51%; 28% თვლის, რომ აგრესიული სამხედრო ბლოკია; პასუხის გაცემა უჭირს — 21%-ს



## კითხვაზე — ემთხვევა თუ არა შეერთებული შტატებისა და ნატოს მიზნები და ინტერესები საქართველოს მიზნებსა და ინტერესებს? — 52% თვლის, რომ არ ემთხვევა, 29% ამბობს, რომ ემთხვევა, ხოლო 13%-ს პასუხის გაცემა უჭირს

კითხვაზე — **ნატო, თქვენი აზრით, არის თავდაცვითი სამხედრო ბლოკი?** — დადებით პასუხს იძლევა **51%**; **28%** თვლის, რომ აგრესიული სამხედრო ბლოკია; პასუხის გაცემა უჭირს — **21%**-ს.

**თქვენი შეფასებით, ნატო საკმარისად ეხმარება თუ არა საქართველოს?** პასუხები ასე განაწილდა: დიახ — **20%**; არა — **66%**; მიჭირს პასუხის გაცემა — **13%.**

კითხვაზე — **ემთხვევა თუ არა შეერთებული შტატებისა და ნატოს მიზნები და ინტერესები საქართველოს მიზნებსა და ინტერესებს?** — **52%** თვლის, რომ არ ემთხვევა, **29%** ამბობს, რომ ემთხვევა, ხოლო **13%**-ს პასუხის გაცემა უჭირს.

**თანახმა იქნებით თუ არა, რომ ახლო მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზები განთავსდეს?** თანახმა იქნება **20%,** წინააღმდეგი — **55%,** ნეიტრალურ პოზიციას იკავებს — **18%.** თუ არ ჩავთვლით გამოკითხულთა 7%-ს, რომელსაც უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, **გამოდის, რომ ნატოს ბაზების საქართველოში განთავსებას უმცირესობა უჭერს მხარს.**

სამაგიეროდ, გამოკითხულთა უმრავლესობა (62%) უარყოფითად აფასებს საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას, გააგზავნოს სამხედრო კონტინგენტები აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ოპერაციების ზონებში. ამის მომხრეა მხოლოდ 16%, ნეიტრალურად აფასებს 18% და ისევ 7%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

კარდინალურად არის შეცვლილი დამოკიდებულება აშშ-ისადმი. კითხვაზე — **თქვენი აზრით, რას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსათვის?** — პასუხები ასე დალაგდა: 29% მიიჩნევს, რომ აშშ არის მეგობარი, მოკავშირე; 17% ამბობს, რომ აშშ არის მოწინააღმდეგე, გამოუცხადებელი მტერი; პასუხის გაცემა უჭირს 11%-ს; ხოლო 44% იზიარებს აზრს, რომ აშშ არც ერთია და არც მეორე, არამედ სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ახორციელებს.

ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხზე პლებისციტი რომ ხვალ იმართებოდეს, მხარს დაუჭერს გამოკითხულთა 32%, არ დაუჭერს — 40%, არ წავიდოდა ხმის მისაცემად 16%, უჭირს პასუხის გაცემა 12%-ს.

**გამოკითხულთა უმრავლესობას — 64%-ს მიაჩნია, რომ, თუკი საქართველო ნატოში გაწევრიანების კურსს განაგრძობს, ურთიერთობები მეზობელ რუსეთთან გაუარესდება, გაუმჯობესების იმედი აქვს უმცირესობას — 8%-ს, 18%-ს ჰგონია, რომ ურთიერთობები რუსეთთან არ შეიცვლება. 10%-ს პასუხის გაცემა უჭირს.**

მკვლევართა ძირითადი დასკვნა ასეთია: **საქართველოს მოსახლეობა მთლიანობაში საკმაოდ სკეპტიკურად აფასებს ნატოსა და შეერთებულ შტატებთან საქართველოს თანამშრომლობას. ამ დღეებში (2014 წლის ბოლოს) რომ ტარდებოდეს პლებისციტი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში საქართველოს შესვლას, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლები მისცემდა ხმას** (32% „დადებითად ვუყრიდი კენჭს" + 12%, ვისაც პასუხის გაცემა გაუჭირდა + 4% მაქსიმალურად დასაშვები სტატისტიკური ხარვეზი, ესეც ნატოს მომხრეთა სასარგებლოდ ჩავთვალოთ = 48%).

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა საგანგებოდ მიუთითებს: „მოსალოდნელია, რომ დასავლეთის საელჩოების მიერ დაფინანსებული ანგაჟირებული ორგანიზაციები ჩვენი გამოკითხვის შედეგებს საკამათოდ გახდიან და ჩვენს „ევრაზიულ" დასახელებაზე გაამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, წარმოვადგინოთ ყველა შევსებული ანკეტა-კითხვარი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ ორგანიზაციების წარმომადგენ- ▶

„ვისაც ჰგონია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დიდი წარმატება იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ძალიან ცდება! საბჭოთა კავშირი კი დაიშალა, მაგრამ საქართველო ნანგრევებში მოჰყვა. თუ დავაკვირდებით სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკების მდგომარეობას, ყველამ მეტ-ნაკლებად რაღაცას მიაღწია, ნახა გამოსავალი და დამოუკიდებელი ქვეყნის სახელს ამართლებს, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა რით გამოიხატება, ახლაც ვერ გამიგია! “

პრეზენტაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლებთან ერთად ჩავატაროთ განმეორებითი გამოკითხვა“.

ეს დათქმა არსებითია, რადგან საქართველოში იმდენი წელია, **სოციოლოგიური კვლევები პოლიტიკური მანიპულაციებისთვის გამოიყენება, რომ უკვე ბავშვმაც კი იცის, თუ რაიმეს ან ვინმეს ჯიუტად „ამარჯვებინებენ“ კვლევებში, საქართველოს არც ის რაიმე წაადგება და არც ის ვინმე.** ჩვენი პოლიტიკოსები მარტო იმიტომ კი არ დაშორდნენ ხალხს, რომ საკუთარ ამომრჩეველს თვალით არ ენახვებიან(!), არც იმიტომ, რომ პენსიონერს 10 ლარის მომატებას აყვედრიან, თვითონ კი სად ჩაიკუჭონ ფულები, აღარ იციან; არც იმიტომ, რომ ტელეფონის აღებას აღარ კადრულობენ; არც იმიტომ, რომ უცებ სუქდებიან; არამედ იმიტომ, რომ საერთოდ მოწყვეტილი არიან ხალხს და მის გასაჭირს. მათ — **პოლიტიკოსებს — ნატოში ინტეგრაცია დიახაც რომ აძლევთ ხელს, იქ დაზეპირებული ინგლისურით და 2-ათასსიტყვიანი ლექსიკონით კარგად გრძნობენ თავს!** აბა, ვინ იკამათებს, რომ ბრიუსელსა და ვაშინგტონში აპარტამენტებში ცხოვრება და მაღალი დონის შეხვედრები უფრო კომფორტულია, ვიდრე ფოცხოვნებსა და წეროვანში დევნილებთან ყოფნა?!

თურქმენეთში ვიზიტად მყოფ პრეზიდენტ მარგველაშვილს პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუხამედოვმა მადლობა გადაუხადა ნეიტრალიტეტის მხარდაჭერისთვის. **12 დეკემბერი თურქმენეთის ნეიტრალიტეტის დღეა და მარგველაშვილმაც მიულოცა კოლეგას. თუ ასეთი ცუდია ეს ნეიტრალიტეტი, რას ულოცავდა; ან პირიქით — თუ ასეთი კარგია, საკუთარი ქვეყნისთვის რატომ არ ემეტება?!** ბერდიმუხამედოვიც მიესალმა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებას და დააყოლა, ჩვენი სატრანსპორტო დერეფნითა და საქართველოს გავლით ჩვენც ვიხეირებთ ევროკავშირისგანო! დაახლოებით იგივე თქვა სომხეთის პრეზიდენტმაც ასოცირების შეთანხმებაზე ჩვენი ხელმოწერის შემდეგ — თქვენი გავლით ევროკავშირის ბაზარზე ჩვენი, სომხური, პროდუქციაც გავაო! თვითონ კი გატრიალდა და საბაჟო კავშირში შესვლაზე მოაწერა ხელი! **როდის აქეთაა, ვაჭრობაში სომხებს ვჯობდით? თქვე კაი დედმამიშვილებო, სულ ჩვენ როგორ უნდა გავრბოდეთ ყველაზე წინ სამგლე გოჭივით და სულ სხვა ხეირობდეს ჩვენს ხარჯზე?!**

ხელისუფლებისგან განსხვავებით, ხალხი ხვდება, რომ არც ნატოა ჩვენი მშველელი და არც ამერიკა — მეგობარი! **იმასაც ხვდება, რომ რუსეთი არ დაუშვებს საკუთარ საზღვრებთან ნატოს სამხედრო ბაზებს. ისიც კარგად იცის, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რამე რომ იყოს, გაასწრებენ საქართველოდან** (ჯერაც არ უქნიათ თუ რა — სად არიან ახლა სააკაშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი და სხვები?), **ფულსაც წაიღებენ და დევნილებისთვის აშენებულ გეტოებს დააყვედრიან კიდევ!**

ამ დილემიდან გამოსავალი არსებობს: **ჩვენი საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა სულ რომ გადაიკარგოს საქართველოდან, მოსახლეობა ამას არათუ იდარდებს, შეიძლება, ვერც კი შეამჩნიოს! ამიტომ წადით, ბატონო, და შედით იმ თქვენს სანატრელ ნატოში, ამერიკაში გადაბარგდით, როგორც სააკაშვილი, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში არ ჩამოესვლება და შორიდან წამლავს აქაურობას! წადით და „ცრუსთავი 2“-იც თან წაიყოლეთ, აბა, სადმე ხომ უნდა დაუჯდეთ ერთმანეთს ტელედებატებში „ნაციონალების“ სრული გამარჯვების გარანტიით?**

2012 წლის 9 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს შეხვდა. ხალხი სულგანაბული ელოდა ამ შეხვედრის დასრულებას. ივანიშვილი გამოვიდა და განაცხადა: „თანხვედრაში მოდის ის საგარეო პოლიტიკა, რაც ჩვენ, ორივე მხარეს, გაცხადებული გვქონდა, რომ ევროპა და ევროატლანტიკური სივრცე ჩვენი სტრატეგიაა, გაგრძელდება, ამ მიმართულებით, წინა ხელისუფლების პოლიტიკა. ჩვენი სწრაფვა იქნება განუხრელად ევროპისაკენ და აუცილებლად საქართველო მოახერხებს უახლოეს ხანში გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა“.

უახლოეს ხანში კი თვითონ ბიძინა ივანიშვილი წავიდა პრემიერმინისტრის პოსტიდან.

2011 წელს მიხეილ სააკაშვილი მასპინძლობდა ნატოს გენერალურ მდივანს და მანაც განაცხადა: „ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არასდროს ასე ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე არ ვყოფილვართ ჩვენ ჩვენს ევროპულ სახლთან, ევროატლანტიკურ სივრცესთან, ამ შემთხვევაში, ჩვენს საუკუნოვან ოცნებასთან, ქართველი ხალხის საუკუნოვან მისწრაფებასთან“.

ისიც ერთ წელიწადში წავიდა.

სხვათა შორის, იმხანად სააკაშვილმა ხუმრობით უთხრა რასმუსენს, რომ მას შეეძლო, ქოლგა თუ არა, ნატოს ქურთუკი მაინც ჩამოეტანა. მან თავისი ჰალსტუხი დაანახვა და უთხრა რასმუსენს, რომ ეს ნატოს ჰალსტუხი მას რასმუსენის წინამორბედმა, იააპ დე ჰოოპ სხეფერმა უსახსოვრა საქართველოში ვიზიტის დროს.

„იმედი მქონდა, რომ ნატოს ქურთუკს მაინც ჩამომიტანდით, რათა სიცივეში ნატოს ქურთუკის გარეშე არ დავრჩენილიყავით; ნატოს ქოლგას ჯერ არ ვითხოვთ, მაგრამ ქურთუკი კარგი იქნებოდა“.

**პალტოებზე, ქურთუკებსა და პიჯაკებზე ნუ ვილაპარაკებთ — ეს მტკივნეული თემაა არა იმდენად სააკაშვილისთვის, რამდენადაც ჩვენი ძილ-ბურანში მყოფი პროკურატურისთვის; ზედა ტანსაცმელსა და ქოლგას არც სხეფერი გვაძლევდა, არც რასმუსენი და არც სტოლტენბერგი მოიკლავს თავს.**

ჰალსტუხი კი... როგორც ჩანს, იმიტომ აჩუქა ნატოს გენერალურმა მდივანმა მიშიკოს, რომ შეეხსენებინა, რით იყო დაკავებული 2008 წლის აგვისტოში!

**თამარ დავითულიანი**

# «სიკეთე მაინც მოდის»



**15 დეკემბერს ტელეკომპანია „ქართული ტელევიზიის“ ოფისში გაიმართა პირველი სერიის პრემიერა დოკუმენტური მრავალსერიანი მხატვრული ფილმისა „სიკეთე მაინც მოდის“. ფილმს ჯუმბერ პატიაშვილის წიგნის („23 წლის შემდეგ“) მიხედვით იღებენ. პირველი სერიის ჩვენების შემდეგ ბატონმა ჯუმბერმა ჩვენს შეკითხვებს უპასუხა:**

## ჯუმბერ პატიაშვილი:

## როცა საუბარია დამოუკიდებლობაზე, თუ საქართველო მართლა დამოუკიდებელი ქვეყანაა, მითხრას ვინმემ, რომელი სფერო გვაქვს დამოუკიდებელი? ერთი სფერო მაინც დამისახელონ! სამწუხაროდ, მთელი საქართველო დამოკიდებულია დასავლეთზე, ამერიკაზე...

— ერთი წლის წინათ გამოიცა ჩემი წიგნი სახელწოდებით „23 წლის შემდეგ“, რომელშიც ავსახე ჩემ მიერ განვლილი წლები და ბოლო ხანს განვითარებული მოვლენები. ეს ყველაფერი დოკუმენტურად და შეძლებისდაგვარად ობიექტურად გადმოვეცი. სათაური — „23 წლის შემდეგ“ — განაპირობა იმანაც, რომ 23 წელი ველოდი — მავანი, ჩემი კოლეგა იქნებოდა თუ ახლობელი პოლიტიკურ სარბიელზე, გადმოსცემდა თავის დამოკიდებულებას იმ პროცესებისადმი, რომლებიც განვითარდა საქართველოში და რომლებშიც ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მეც ჩემი პასუხისმგებლობა მეკისრება, რომელსაც არ გავურბივარ. თუმცა მთავარი არის ის, რომ იმ ადამიანებმა, რომელთაც კონკრეტულად შეეხო ჩემი წიგნი, წაუყრუეს და სხვა პოზიცია დაიკავეს.

**— ვინ არიან ეს ადამიანები?**

— ყოფილი პარტიული ფუნქციონერები, რომლებიც იყვნენ ბიუროს წევრები, თბილისის ხელმძღვანელობისა და „ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენლები. გვარების ჩამოთვლას არ დავიწყებ, რადგან შორს წავალთ; თანაც, ბევრი აღარც არის ცოცხალი. სხვათა შორის, ზოგიერთი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემთვის გაცილებით იოლი იქნებოდა ამა თუ იმ თემაზე საუბარი, მაგრამ, როცა ამქვეყნად აღარ არის პიროვნება, რომლის მიმართაც პრეტენზიის გამოხატვა მსურს და თავის დროზე მათაც შეიძლებოდა, ჩემ მიმართ პრეტენზია ჰქონოდათ, ამ თემაზე საუბარი ლამაზი არ არის. თუმცა ისტორია გრძელდება, ქვეყანას თავისი მომავალი აქვს და ამ მომავალს სჭირდება განსაზღვრა; რა მოხდა წარსულში, როგორი საფუძველი უნდა ჩავუყაროთ ახალ საზოგადოებას, რომელსაც ვქმნით. ჩვენს ქვეყანას რომ არაფერი ეშველა, ამას ყველა ნორმალური ადამიანი ხედავს. **ვისაც ჰგონია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დიდი წარმატება იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ძალიან ცდება! საბჭოთა კავშირი კი დაიშალა, მაგრამ საქართველო ნანგრევებში მოჰყვა. თუ დავაკვირდებით სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკების მდგომარეობას, ყველამ მეტ-ნაკლებად რაღაცას მიაღწია, ნახა გამოსავალი და დამოუკიდებლი ქვეყნის სახელს ამართლებს, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა რით გამოიხატება, ახლაც ვერ გამიგია!** ვითარება საქართველოში, სადაც 500 ათასამდე ლტოლვილია, ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი კი წართმეული გვაქვს, ეკონომიკა და დანგრეულია და ა.შ., მძიმე ტვირთად აწევს რიგით ადამიანებს, რომლებიც იღვწოდნენ, იბრძოდნენ, შრომობდნენ და ქართველობდნენ. ქართველებმა რატომღაც შეფასებაში აჩქარება ვიცით ხოლმე. თუ პატარა წარმატებას მივაღწევთ, ასმაგად ვაზვიადებთ, თუ მარცხის წინაშე აღმოვჩნდებით, სხვას ვაბრალებთ. საკუთარ თავზე არაფრის დაკისრება არ გვიყვარს, რაც ქართული ხასიათის მაჩვენებელია.

სამწუხაროდ, 20-30 წლის ახალგაზრდებმა არ იციან საქართველოს ნამდვილი წარსული, ანუ იმ პერიოდისა, რომელშიც ჩვენ ვმოღვაწეობდით. ამ ახალგაზრდებს მწირი ინფორმაცია აქვთ ამ ყველაფერის შესახებ და არასწორ შეფასებებსაც ამიტომ აკეთებენ, რითაც ბევრს ვკარგავთ. **როცა საუბარია დამოუკიდებლობაზე, თუ საქართველო მართლა დამოუკიდებელი ქვეყანაა, მითხრას ვინმემ, რომელი სფერო გვაქვს დამოუკიდებელი? ერთი სფერო მაინც დამისახელონ! სამწუხაროდ, მთელი საქართველო დამოკიდებულია დასავლეთზე, ამერიკაზე...**

**— ბატონო ჯუმბერ, თქვენი წიგნის მიხედვით დოკუმენტური სერიალის გადაღება ვისი იდეა იყო?**

— იმ ადამიანების, რომლებმაც გულდასმით წაიკითხეს ჩემი წიგნი და რომლებიც ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ. **შეიქმნა ახალი ტელევიზია სახელწოდებით „ქართული ტელევიზია“, რომლის დამფუძნებელიც გახლავთ დიდი ქართველი რეჟისორი რეზო ჩხეიძე და მასთან ერთად მეც ვთანამშრომლობ. გადაწყდა, რომ ამ წიგნის მიხედვით გაკეთდეს მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი. უკვე 12 სერიაა გადაღებული. ბატონი რეზო კონსულტაციას უწევს. რეჟისორი კი გახლავთ ზალიკო ნემსაძე.** ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ ამ ტელეარხზე მხოლოდ საქართველოს შესახებ გავა გადაცემები, დოკუმენტური ფილმები და ისტორიული მასალები.

**— თქვენი წიგნი დოკუმენტურთან ერთად ავტობიოგრაფიულიცაა, თავიდანვე დათანხმით ამ წიგნის მიხედვით ფილმის გადაღებაზე?**

— სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, თავი შევიკავე, მაგრამ დავფიქრდი და მივხვდი, რომ წიგნს, სამწუხაროდ, ყველა არ კითხულობს, ზოგს საშუალება არ აქვს, შეიძინოს. თანაც ესა თუ ის მოვლენა ფილმში უფრო გაშლილია და უამრავ შეკითხვაზე იძლევა სწორ პასუხს. ყველას კარგად გვახსოვს 9 აპრილის ტრაგედია, შემდეგ — თბილისის ნგრევა, ქართველი ქართველის რომ კლავდა, აფხაზეთში ომი დავიწყეთ და დავკარგეთ, სამაჩაბლო დავკარგეთ და ამ ყველაფერზე შეფასება არავის გაუკეთებია. სწორედ ამ პროცესების შეუფასებლობამ მოგვცა შედეგი, რისი მომსწრენიც დღეს ვართ.

**— როდის იხილავს მაყურებელი ფილმს ტელეეკრანებზე?**

— 2015 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან მაყურებელი ამ ფილმს „ქართული ტელევიზიის“ სიხშირეზე იხილავს. რაც მთავარია, მაყურებელს საშუალება ექნება, დასვას ნებისმიერი შეკითხვა, მათ შორის, ჩემი მისამართით. ნებისმიერ შეკითხვაზე, ვალდებული ვარ, პასუხი გავცე. რადგან პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. ჩემი მიზანია, საზოგადოებამ სწორად გაიგოს, რა მოხდა რეალურად საქართველოში და რა გველის მომავალში, თუ უახლესი ისტორია სწორად არ შევაფასეთ.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

## დააკავეს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი



**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თავდაცვის სამინისტროს სსიპ „გიორგი აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტლის“ სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი ბახვა სურმანიძე დააკავა.** „ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებული იქნა ბახვა სურმანიძე. გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა სსიპ „სამხედრო ჰოსპიტლის“ მიერ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ერთ-ერთ მეწარმე სუბიექტს გაუწია დახმარება, კერძოდ, მოახდინა ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა მეწარმე სუბიექტისთვის სასურველი პირობით, რომლის სანაცვლოდაც ქრთამად აიღო 400 ლარი. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თავისუფლების 6-დან 11 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს“, — ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბელარუსში ქალებისთვის საპენსიო ასაკი 55 წელია, მამაკაცებისთვის — 60. საშუალო პენსია შეადგენს 241 დოლარს, ხოლო საშუალო პენსია ასაკის მიხედვით — 250 დოლარს. მუშაობის სტაჟის, დამსახურების, ჯილდოების გათვალისწინებით, პენსიონერები იღებენ 300 - 400 დოლარს. ეს არ ეხება სამხედროებს, რომელთა პენსია გაცილებით აღემატება სამოქალაქო პირების პენსიას.“**

# «ბატკას» ფენომენი!

## ანუ რატომ უყვართ ბელარუსებს თავიანთი პრეზიდენტი

**პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: პირველი შთაბეჭდილება ბელარუსზე ისეთია, თითქოს, დაბრუნდით საბჭოთა კავშირში: ლენინისა და სსრკ-ის სხვა მოღვაწეთა ძეგლები, ქუჩები ძველი დასახელებით, საბჭოთა სიმბოლიკა ისევე, როგორც უწინ, დღესაც ხელუხლებელია! ბელარუსში ძეგლებს არ ებრძვიან! ამავე ბელარუსში, ბელოვეჟის ტყის სასახლე-ქოხში, 1991 წლის ბოლოს, "დიდმა სამეულმა" (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი) ხელი მოაწერა ოდესღაც დიდი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის „უდროო გარდაცვალებას“. რაც მოხდა შემდეგ, ყველასათვის ცნობილია: შუღლი ეროვნულ ნიადაგზე, სისხლიანი სამხედრო კონფლიქტები, უამრავი ტანჯვა რომ მოუტანა ყოფილი საბჭოეთის მოსახლეობას. ამ ყველაფერმა სასწაულებრივად აუარა გვერდი ბელარუსს, ქვეყანას, რომელსაც, აი, უკვე, 20 წელია, სათავეში უდგას ალექსანდრე ლუკაშენკო. და თუ მას ადრე მწვავედ აკრიტიკებდნენ, ორი ათეული წლის შემდეგ, ბელარუსის მოსახლეობის გადამწყვეტი უმრავლესობა მხარს უჭერს და სიყვარულით „ბატიას“, ანუ „მამას“ უწოდებს. ბელარუსიდან ახლახან დაბრუნდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ლევან დოლიძე. ბატონი ლევანი ბელარუსის ხშირი სტუმარია და მშვენივრად გათვითცნობიერებულია, რა ვითარებაა ამ ქვეყანაში. გთავაზობთ მის მონაყოლს:**



**«ბელარუსის მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურება, როგორც პოლიკლინიკებში, ისე საავადმყოფოებში უფასოა!»**

### ბელარუსი გუშინ და დღეს

ვეცდები, მიუკერძოებლად განვიხილო ბელარუსის დღევანდელი ცხოვრება, — **მიყვება ბატონი ლევანი.** — საბჭოთა პერიოდში საქართველო ბევრი მაჩვენებლით უსწრებდა ბელარუსს! ამას ვამბობ გადაუჭარბებლად. მართლაც, ბელარუსი ვერ დაიკვეხნის კოლოსალური ბუნებრივი რესურსებით, მას არ აქვს საზღვაო პორტები, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ბელარუსი ითვლებოდა სსრკ-ის „საამწყობო საამქროდ“. მისი ეკონომიკა, მრეწველობა იყო კოოპერირებული უზარმაზარი ქვეყნის ასობით საწარმოსთან. უმძიმესი ვითარება, ბელარუსს რომ უქადდა სახალხო მეურნეობის სრულ მოშლას, გააცნობიერა **ალექსანდრე ლუკაშენკომ**, რომელიც ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდა; მისი ბრძნული ხელმძღვანელობის წყალობით, ბელარუსს ასცდა ის საშინელებები, რომლებიც სხვა პოსტსაბჭოურმა რესპუბლიკამ იგემეს. **ბელარუსში კი, მინსკიდან დაწყებული, პატარა სოფლით დამთავრებული, სუფევს მშვიდობა, აღმშენებლობა და იმედი! დღეს ბელარუსი შემდგარი სახელმწიფოა! ალექსანდრე ლუკაშენკომ შეძლო ბელარუსებში, ამ, ლამის მორჩილ საბჭოთა ადამიანებში, აემაღლებინა ეროვნული სული და ეროვნული ღირსება!** მან კარგად იცის, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ძალა მის ხალხშია! ხალხი ამაყობს თავისი ქვეყნით და თავისი პრეზიდენტით! კეთილდღეობა, სოციალური პოლიტიკის წარმატებები, გონიერი ტოლერანტობა და კონფესიათაშორისი მშვიდობა ბელარუსის სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილებია; აქ არის გაწვრთნილი, არაკორუფცირებული სახელმწიფო ძალაუფლების სტრუქტურა, ასევე, შრომისუნარიანი ბიუროკრატიული აპარატი. ბელარუსში ლიკვიდირებულია ორგანიზებული დანაშაული! **ბელარუსში სახელმწიფო მოხელეები ნაკლებად „კარგად ლაპარაკობენ“ და ბევრს მუშაობენ!**

### გზები და ქუჩები. მინსკი

ბელარუსში ჩასული ადამიანის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს გზები, სისუფთავე, სიმწვანე და სუფთა ჰაერი! აქ გზები მართლაც შესანიშნავია! ყველა გზა და ტრასა შენდება და რემონტდება სრული პროგრამით. ეს არა მხოლოდ ბრწყინვალედ დაგებული ასფალტია, არამედ ყველა აუცილებელი ატრიბუტი ხარისხიანი, თანამედროვე გზისა: მონიშვნები და ნიშნები, ბორდიურები, გაჩერების და დასასვენებელი ადგილები, ნაგვის ბუნკერები; ხოლო, ტრასებზე — საპირფარეშოები, ფანჩატურები და ა.შ.

**გზებისა და ტრასების სისუფთავე, ბელარუსის ქალაქების, დაბებისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობა გააოცებს ჩვენს თანამემამულეს, რომელიც საქართველოს მთავარ ქუჩაზე — რუსთაველის გამზირზე, ყოველ ნაბიჯზე ხედავს ნაგავს! ასეთ არასახარბიელო სურათს ბელარუსში თქვენ ვერ ნახავთ და, მაინც, თუ იხილავთ, ჩათვალეთ, ეს ან ჩვენი თანამემამულეების, ან ჩვენი მეზობლების ჩადენილია.**

მინსკი, ისევე როგორც მთელი ბელარუსი, სიმწვანეშია ჩაფლული. აქ იმდენი ლამაზი ყვავილნარია, რომ მინსკს თამამად უწოდებ ქალაქ-ბაღს! დილაადრიან ასობით მანქანა, ლამაზ მწვანე სპეცტანსაცმელში გამოწყობილი „მინსკმწვანმშენის“ ათასობით მუშაკი ძალებს არ იშურებენ, დედაქალაქის გასალამაზებლად. ამ სილამაზის შემყურე კარგ განწყობაზე დგები!

მინსკის ცენტრში განლაგებულია „კომაროვსკი“ — დედაქალაქის ერთ-ერთი სასურსათო ბაზარი, რომელიც უფრო სპორტის სასახლეს ჰგავს. აქ სიმპათიური გამყიდველი ქალები გახამებულ თეთრ ხალათებსა და ქუდებში ქარხნულ სასწორებზე ზუსტად აგიწონიან ნაყიდ პროდუქტს. ფასებიც მისაღებია და მომსვლელებიც — საკმარისზე მეტი. აქ, ბაზარში, თითქმის სტერილური სისუფთავის გარემოში, სურსათის ასორტიმენტი მკაცრადაა რეგლამენტირებული. პროდუქტი, საფასურთან ერთად, აკურატულად დევს ვიტრინის სუფთა მინის ქვეშ. მთელი ბაზარი განლაგებულია ქუჩის დონეზე, რაც მოსახერხებელია ნებისმიერი ასაკის მყიდველისთვის, განსაკუთრებით — ინვალიდებისთვის. სულ კი მინსკში 27 სასურსათო ბაზარია.

სხვათა შორის, ბელარუსში ბოლო წლების განმავლობაში წარმატებით ფართოვდება უმსხვილესი მაღაზიების — „ევროოპტის“ ქსელი, რომელშიც წარმოდგენილია სურსათ-სანოვაგისა და პირველი მოხმარების საქონლის ფართო ასორტიმენტი. აქ ფასები, დაახლოებით, 18-21% უფრო მცირეა, ვიდრე სხვაგან და, ამიტომ, ბელარუსები, ეკონომიის მიზნით, ძირითადად, „ევროოპტის“ მომსახურებით სარგებლობენ.

ბელარუსში არსებობს პროდუქტების ხარისხის კონტროლის განსაკუთრებული სისტემა. ვადაგასულ ან უხარისხო სურსათის გამსაღებლებს უმკაცრესი სანქციები ელოდებათ; და მყიდველები, რომლებიც გრძნობენ ხელისუფლების სიძლიერეს, გულგრილად არ ჩაუვლიან ასეთ ფაქტებს! სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ ბელარუსში არის მაღაზიათა ქსელი სახელწოდებით **„კონფისკატი“**, აქ გასაყიდად მოაქვთ ე.წ. ლევი საქონელი, ან ისეთი პროდუქცია, რომელსაც არა აქვს სათანადო საბუთები, ან ისეთი საქონელი, რომელიც არ შეესაბამება სახსტანდარტს. მოაქვთ, ასევე, საბაჟოზე ჩამორთმეული საქონელი და ა.შ. "კონფისკატის" მაღაზიებში ამ პროდუქციას ყიდიან ძალიან მცირე ფასებში.

ბელარუსის ქალაქებისა და სოფლების კიდევ ერთ თავისებურებაზე გესაუბრებით: ძალიანაც რომ მოინდომოთ, აქ ვერ ნახავთ პოლიეთილენის გადაგდებულ პარკს, რომლითაც მოფენილია ჩვენი ქალაქების, განსაკუთრებით, თბილისის ქუჩები. მყიდველები ხშირად იყენებენ უკვე ნაყიდ პაკეტებს, რადგან ბელარუსის მაღაზიებში საერთოდ არ არის უფასო ერთჯერადი პოლიეთილენის პაკეტები! აი, უბრალო მაგალითი იმისა, როგორ უნდა გადაწყდეს საქართველოში ეს "გადაუწყვეტელი" პრობლემა!

სუპერმარკეტებისა და მაღაზიების დახლებზე ადგილობრივი წარმოების საქონლის სიუხვეა. ბელარუსის მთავრობა ყურადღებით ადევნებს თვალს ადგილობრივი წარმოების განვითარებას, სამამულო საქონლისა და სურსათ-სანოვაგის გამოშვებას, და რეგულარულად ამცირებს საიმპორტო ნაკადს.

### სოფლის მეურნეობა

ამ ქვეყანაში რძის, ძეხვის, ხორცის, პურ-ფუნთუშეულობისა და სხვა სურსათის ხარისხი უმაღლესია! ფაქტია, რომ ბელარუსიდან ტურისტებს შინ მიაქვთ არა მხოლოდ ადგილობრივი ხარისხიანი საქონელი — ფეხსაცმელი, ქალის თეთრეული, კოსმეტიკა, არამედ ზემოთ ჩამოთვლილი სურსათიც. ძეხვი რომ გერმანელებისთვის, ლამის, ეროვნული კერძია, კარგადაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, ბელარუსში ჩასული გერმანელი ტურისტები „ღალატობენ“ პატრიოტულ გრძნობებს და სიამოვნებით ყიდულობენ ბელარუსულ ძეხვს. საკუთარ „არაპატრიოტიზმს“ ისინი ამგვარად ხსნიან: **„გერმანიაში ჩვენ, კარგა ხანია, დაგვავიწყეს ნამდვილი ძეხვის გემო, აქ კი ვიხსენებთ მას, მით უმეტეს, ადგილობრივი ძეხვი ეკოლოგიურად უსაფრთხოა და გერმანულზე ორჯერ-სამჯერ იაფი!“**

მინსკის სუპერმარკეტებში პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის არომატისა და სიუხვისგან თავბრუ დაგეხვევა!

რა თქმა უნდა, ეს ხარისხი და სიუხვე ციდან არ ეშვება. ბელარუსის მთავრობა ყოველდღიურად შრომობს სოფლის მეურნეობის — ქვეყნის მთავარი მასაზრდოებელი სფეროს განვითარებისთვის. სოფლის მეურნეობის წინსვლისთვის აქ ყველა პირობაა: უზარმაზარი მდელოები და საძოვრები, მინდვრები, წყალსატევები, ტბები და მდინარეები. არის მძლავრი აგროტექნიკა, "ბელარუსკალიუმის" მაღალხარისხიანი ბუნებრივი სასუქები, კვალიფიციური კადრები, აშენებულია აგროკომპლექსების ფართო ქსელი, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს ბელარუსის მოთხოვნებს. რძის და ხორცის პროდუქცია დიდი რაოდენობით მიდის საექსპორტოდაც.

წლეულს კარგი მოსავალია კარტოფილის, ჭარხლის, კომბოსტოს, სტაფილოს, ხახვის, ნივრისა და ა.შ., ხოლო 2014 წლის ხორბლის მოსავალმა ყველა რეკორდი მოხსნა — რჩეული ხორბლის 9 მილიონი (!) ტონა მოთავსდა ბელარუსის ბეღელში!

### ეკონომიკა

ბელარუსის ეკონომიკა ორიენტირებულია ექსპორტზე. ქვეყანა საზღვარგარეთ ყიდის წარმოებული პროდუქციის 75-80%-ს.

ახლახან, ერთ-ერთ თათბირზე გამოსვლისას, პრეზიდენტმა ლუკაშენკომ აღნიშნა: „ბოლო 4 წლის განმავლობაში ბელარუსის რესპუბლიკამ, თავისი სახალხო მეურნეობის მოდერნიზაციაში ჩადო 30 (ოცდაათი!) მილიარდი დოლარი. 20 წლის წინ ჩვენთან გაჩერებული იყო პრაქტიკულად ყველა საწარმო, არ გვქონდა სურსათი, დღეს კი ვაწარმოებთ პროდუქციის ექსპორტს 7 (შვიდ!) მილიარდ დოლარზე“.

ეს პროდუქცია არის მსოფლიოში განთქმული გიგანტური თვითსაცლელი სატვირთო მანქანები — „ბელაზები“, „მაზები“, ტრაქტორები, კომბაინები, ტროლეიბუსები, ავტობუსები, ვაგონები, მძიმე მოწყობილობები და სხვ. ამასთანავე, და ეს ბუნებრივია, არსებობს რეალიზაციის სირთულეებიც — მრავალი საწარმოს საწყობები გადაჭედილია მზა პროდუქციით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუშათა კლასი, მშრომელები მუშაობენ, იღებენ ხელფასს; საწარ-

▶

**„მაშ, ვინ არის გერმანიის ნამდვილი მეგობარი და ვინ — მტერი? რუსეთი ჩაციკლული არ არის ძველ ჭრილობებზე და ეს მან დაამტკიცა გერმანიის გაერთიანების პროცესში. იმ პერიოდში რუსეთმა დაამტკიცა თავისი სიდიადე და არამხოლოდ ტერიტორიულ საკითხში. რა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ძია სემის მიმართ? ყველაზე უკეთესია, მისგან დისტანცირებული ვიყოთ გარკვეულ მანძილზე, რადგან, როგორც ვიცით, უსაფრთხო დისტანცია მეგობრობის შენარჩუნების უებარი საშუალებაა“.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოების ხელმძღვანელები მთავრობასთან ერთად ეძებენ საწყობების განტვირთვის გზებს, ხან ბარტერის მეშვეობით, ხან საქონელზე ფასის შემცირებით და მასზე შემდგომი გადახდით.

უკვე გითხარით, რომ ბელარუსში შექმნილი პროდუქციის 75-80% მიდის ექსპორტზე; და თუ უწინ ბელარუსის საქონლის ძირითადი მომხმარებელი იყო რუსეთი, დღეს ამ სახელმწიფოს მზერა მიპყრობილია კუბაზე, ნიკარაგუაზე, ეკვადორზე, ბრაზილიაზე, ვენესუელაზე. ბელარუსებმა დაიწყეს აფრიკის ბაზრის ათვისებაც. ურთიერთობენ, აგრეთვე, სირიასთან, ერაყთან, ირანთან და, განსაკუთრებით — ჩინეთთან. ბელარუსში მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა. 2015 წელს აქ დაგეგმილია 5 მლნ კვ.მ საცხოვრებელი ფართობის მშენებლობა! მინსკში და სხვა ქალაქებში იგება თავისი არქიტექტურით და ნოვატორული გამბედაობით გამაოგნებელი შენობები, მაგალითად, ევროპაში უდიდესი ეროვნული ბიბლიოთეკა! ეს მინის, ბეტონისა და ლითონკონსტრუქციების უზარმაზარი კუბი ბელარუსების სიამაყე და მინსკის სავიზიტო ბარათია.

## არის თუ არა ბელარუსში უმუშევრობა?

ბელარუსში ყველა არის საქმით დაკავებული. აი, „ბელსტატის“ ოფიციალური სტატისტიკა დათარიღებული 2014 წლის 27 აგვისტოთი: ეკონომიკაში დაკავებულია 4 მლნ. 491,2 ათასი ადამიანი. უმუშევართა რაოდენობაა 21,2 ათასი ადამიანი, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 0,5%. როგორც ხედავთ, ბელარუსში ფაქტიურად უმუშევრობა არ არსებობს. ყველგან დიდი მოთხოვნაა კადრებზე და არა მხოლოდ მუშებზე — მშენებლებზე, ტექნიკოსებსა და ოსტატებზე, არამედ ინჟინრებზე, ბუღალტრებზე, განსაკუთრებით — ექიმებზე. მაგალითად, მინსკში კადრებზე მოთხოვნა ყოველწლიურად 15-18 პროცენტით იზრდება.

## ჯანდაცვა

**ბელარუსის მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურება, როგორც პოლიკლინიკებში, ისე საავადმყოფოებში უფასოა!** შემდეგ: ჯანდაცვა ბელორუსში მაღალ საორგანიზაციო და პროფესიონალურ დონეზე დგას. მარტო მინსკის საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებს, დისპანსერებს და მედცენტრებს აკითხავს 30 ათასზე მეტი უცხოელი მსოფლიოს თითქმის 40 ქვეყნიდან, მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულეებიც. წელს, უცხოელების მკურნალობამ მარტო მინსკის სამედიცინო დაწესებულებებს 10 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა!

ბელარუსში არის სანატორიული მკურნალობის ფართო ქსელი. სანატორიუმების რაოდენობა 120 აღემატება.

## დემოგრაფიული ვითარება

პრეზიდენტ ლუკაშენკოს მითითებით, ქვეყნის მთავრობამ შეიმუშავა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების პაკეტი. შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა ბავშვთა შემწეობები. **პირველი ბავშვის დაბადებაზე გასცემენ 1 254 დოლარს, მეორე და მომდევნო ბავშვის დაბადებაზე — 1 815 დოლარს. სამ წლამდე ბავშვის მოვლისთვის: 1 ბავშვზე გაიცემა — 203 დოლარი, მეორეზე და მომდევნოზე — 232 დოლარი; ბავშვ-ინვალიდზე —261 დოლარი!**

## როგორ ცხოვრობენ ბელარუსი პენსიონერები?

აქ ქალებისთვის საპენსიო ასაკი 55 წელია, მამაკაცებისთვის — 60. საშუალო პენსია შეადგენს 241 დოლარს, ხოლო საშუალო პენსია ასაკის მიხედვით — 250 დოლარს. მუშაობის სტაჟის, დამსახურების, ჯილდოების გათვალისწინებით, პენსიონერები იღებენ 300 - 400 დოლარს. ეს არ ეხება სამხედროებს, რომელთა პენსია გაცილებით აღემატება სამოქალაქო პირების პენსიას.

## ხელფასები

დედაქალაქის მაცხოვრებლის საშუალო ხელფასი აღემატება 700 დოლარს, სხვა ქალაქებში — 400-დან 600-მდეა. გავითვალისწინოთ, რომ ბელარუსში საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მცირეა, ხოლო, ბაგა-ბაღები, სკოლები — უფასო. უმაღლესი განათლება ნაწილობრივ უფასოა, ნაწილობრივ — ფასიანი. ზაფხულის თვეებში სკოლის მოსწავლეებისთვის იქმნება გამაჯანსაღებელი ბანაკები. მაგალითად, წელს მხოლოდ მინსკიდან ამ ბანაკებში უფასოდ დაისვენა 65 ათასმა ბავშვმა. ზაფხულის პერიოდში ბელარუსის მთელს ტერიტორიაზე გახსნილია სტუდენტური საერთაშორისო ბანაკები. სკოლებში ბავშვებს, რა თქმა უნდა, მათი მშობლების თანხმობით, იღებენ “ოქტომბრელებისა” და “პიონერების” რიგებში. საზოგადოებრივ საწყისზე ფუნქციონირებს ბელარუსული რესპუბლიკური ახალგაზრდების კავშირი.

## ომის ვეტერანები

სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს ომის ვეტერანებს. ბელარუსის თითოეული მცხოვრები სოციალურად დაცულია, ვეტერანები კი — განსაკუთრებულად! აქ ფაშისტურ გერმანიასთან ომის თემა წმინდაა! ყვავილებშია ჩაფლული საძმო საფლავები, რომლის ობელისკებზეც ბევრ ქართულ გვარს წაიკითხავთ. ქართველი მეომრების სახელები მინიჭებული აქვს ბელარუსის ქალაქების მრავალ ქუჩას, მოედანს, სკოლას. ომის პერიოდში ბელარუსში ფაშისტებმა უმოწყალოდ გაანადგურეს 2 მლნ 357 ათასი მშვიდობიანი მოსახლე...

## დამოკიდებულება ქართველებისადმი

ბელარუსი ხალხი, მისი მთავრობა და პირადად ალექსანდრე ლუკაშენკო საქართველოსა და ქართველებისადმი დიდი სიმპათიით არიან განწყობილნი და ყოველთვის მზად არიან გამოგვიწოდონ მეგობრობის ხელი!

ჩაიწერა
**გიორგი კორძაძე**

# არის თუ არა გერმანია ამერიკის ვასალი?

**დოქტორ ალფონს პრობსტის საავტორო პროგრამა ტელეარხ „გერმანიის ხმაზე“ ფართო აუდიტორიის მოწონებით სარგებლობს. თემების აქტუალურობით გამორჩეული მისი რეპლიკები, გამსჭვალული ცინცხალი იუმორითა და მწარე სარკაზმით, ყოველთვის მიზანში ხვდება.**

**მასალა, რომელსაც გთავაზობთ, სწორედ ტელეარხ „გერმანიის ხმის“ ეთერში ცოტა ხნის წინათ გასულ გადაცემას ეხება.**




— ბევრი რამ ჩვენს რეალობაში ისე გვთრგუნავს, — **იწყებს საუბარს საავტორო პროგრამის ავტორი,** — რომ მხოლოდ იუმორით თუ შევებრძოლებით.

**და განაგრძობს:**

— გასულ უქმეებზე ამერიკელებმა პირველად აღიარეს, რომ აიძულეს ევროკავშირი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიეღო სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ ობამამ დაჟინებით მოსთხოვა ევროკავშირს, ეკისრა სანქციებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება და ამით დაეშინებინა პუტინი. კიდევ ერთხელ და ფოლადზე უმტკიცესად დადასტურდა, რომ, **როგორც კი დაუსტვენს ძია სემი, ანგელა და ევროპელი ხელის ბიჭები სასწრაფოდ მუხლებზე წამოუსკუპდებიან ოკეანისგაღმელ პატრონს და მზად არიან, არა მხოლოდ მიაფურთხონ სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე დადებულ ერთგულების ფიცს, არამედ სერიოზულად დააზარალონ ერთიცა და მეორეც.**

ახალი რომი უწოდეს დღეს ვაშინგტონს, რომელმაც ევროკავშირი თავის ვასალად აქცია...

ბაიდენის განცხადება გერმანიის გაერთიანების 25 წლის იუბილეს დაემთხვა. ეს მოვლენა შეიძლებოდა ძალიან კარგი ზეიმით აღნიშნულიყო, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა: არც გერმანული დროშები აფრიალებულა მანქანებზე, არც ფოიერვერკები ყოფილა და არც — სიმღერები. გერმანელთა შეუგნებელმა ბრბომ ამ უქმე დღეებში განვადებით ნაყიდი ავტომანქანებით ბუნების წიაღში დროსტარება არჩია, მაგრამ, როგორც ამბობენ, სულელისთვის ყველა დღე დღესასწაულია.

თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, საზეიმო არაფერი ჰქონდათ.

**ფაქტია, რომ გაერთიანების რთული პროცესის შემდეგ გერმანია დღემდე ვერ გახდა სუვერენული სახელმწიფო.** ჭკვიანი მოქალაქეები, დიდი ხანია, მიხვდნენ, რომ ასეა და ამიტომაც არ სუფევდა დოიჩლანდში საზეიმო განწყობილება ქვეყნის გაერთიანების საიუბილეო დღეს.

გერმანელმა მსახიობებმა, რომლებიც პოლიტიკოსების როლს სერიოზულად თამაშობენ, დიდი ხანია, სახალხოდ განაცხადეს, რომ, რაც ახლა ვთქვი, სრული ჭეშმარიტებაა.

ამჟამინდელმა ფინანსთა მინისტრმა **ვოლფგანგ შოიბლემ,** მაგალითად, ტელეეკრანიდან გვითხრა, რომ 1945 წლიდან მოყოლებული, არც ერთ წამს, გერმანია სუვერენული სახელმწიფო არ ყოფილა. შეიძლება იფიქროთ, რომ ამ გლეხუჭამ არ უწყის, რას ყბედობს, მაგრამ დამიჯერეთ, ზუსტად იცის, რასაც ამბობს.

გერმანიის ვიცეკანცლერი **გაბრიელიც** „მწვანეთა“ პარტიის მეთაურ **იურგენ ტრიგესთან** უნისონში მთელი გერმანიის გასაგონად ყვიროდა, რომ ჩვენ საერთოდ არ გვყავს მთავრობა და მერკელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არაკომერციული ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორია.

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა რომ კომერციული ორგანიზაციაა, ბევრმა არ იცის. მაგრამ მართლა ასეა — იურიდიულ პირად წარმოგვიდგება. ყოველ შემთხვევაში, ასეა ჩაწერილი ფრანკფურტის სავაჭრო რეესტრში: გფრ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომერციული სავაჭრო ორგანიზაცია. ზუსტადაა მიზანში მორტყმული: ამიტომაც არიან გერმანელი პოლიტიკოსები შეზღუდული პასუხისმგებლობის მოღვაწენი.**

პრეზიდენტმა ობამამაც კი განაცხადა ერთხელ, რომ გერმანია ოკუპირებული ქვეყანაა და ამის გამგონე ანგელა მერკელი ტაშს უკრავდა. უცნაური არ არის, ბატონებო?!

მართლა თუ სჯერათ, რომ გერმანია სუვერენული სახელმწიფოა, მაშინ მოკავშირეებმა რატომ არ დადეს სამშვიდობო ხელშეკრულება მასთან?! ეს ხელშეკრულება აქამდე არ არსებობს. ასეთ ვითარებაში შეგვიძლია, მშვიდად დავიძინოთ, მაგრამ ცხოვრება ძნელი.

**იცით კი, რომ გაეროს წესდებაში გერმანია ოფიციალურად მოხსენიებულია, როგორც მტრული სახელმწიფო? რომისთვის, ანუ ვაშინგტონისთვის ასე უფრო პრაქტიკულია!**

მტრული სახელმწიფოს შესახებ ეს პარაგრაფი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებს დიდ უფლებებს აძლევს. მაგალითად, გერმანიის მოსახლეობისთვის მასობრივად მიყურადების ან გერმანიის სპეცსამსახურების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების შეუზღუდავ უფლებას.

ბატონებო, მოდით, ვაღიაროთ: გამარჯვებულების საოკუპაციო სამართალი ჯერ კიდევ მოქმედებს. 1945 წლიდან გერმანია ოკუპირებულ ქვეყნად რჩება. აშშ-ს არ სურდა, დაეკარგა გამარჯვებული სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება და ამიტომ დადო საიდუმლო ხელშეკრულებები, რომლებიც გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებით არ გაუუქმებიათ. საიდუმლო ხელშეკრულებები, როგორიც, მაგალითად, ავბედითი კანცლერაქტი, საიდუმლო დოკუმენტი, რომელსაც გერმანიის ყველა ახალმა გენერალურმა დირექტორმა... ბოდიში, გფრ-ის კანცლერმა აუცილებლად ხელი უნდა მოაწეროს მოვალეობის აღსრულების დაწყების წინ.

**ეგონ ბარისგან,** ყოფილი მინისტრისგან, ვიცით, რომ კანცლერი ვილი ბრანდტი ერთხანს უარს ამბობდა ხელმოწერაზე, მაგრამ ძია სემმა შეახსენა: **„ჩემო ძვირფასო, ხელს თუ არ მოაწერ, ვერ გახდები გფრ-ის გენერალური დირექტორი“...**

ყველაფერი მარტივადაა!

ჰოდა, ვილი ბრანდტმა ბოლოს და ბოლოს მოაწერა ხელი.

**გერმანია აშშ-ის სამხედრო კოლონიაა. გაერთიანებული გერმანია იმაზე ნაკლებად სუვერენულია, ვიდრე ძველი გფრ იყო. ყოველ შემთხვევაში, იმხანად გერმანიას არ ავალებდნენ, გაეგზავნა თავისი ჯარისკაცები ვიეტნამში აშშ-ის ინტერესებისთვის საბრძოლველად. ამჟამად კი ბუნდესვერის ჯარისკაცები ამერიკისთვის ომობენ ავღანეთშიც, ერაყშიც, აფრიკაშიც. სულ მალე რუსული დათვის სახლის წინკარშიც გამოჩნდებიან — უკრაინაში.**

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან თითქმის 70 წლის შემდეგ გერმანიაში კვლავ 50 ათასზე მეტი ჯარისკაცია, ასობით ტანკი დგას და უამრავი სამხედრო ბაზაა მთელ ფატერლანდში. დაუმატეთ ამას ამერიკული ბირთვული იარაღი გერმანიის მიწაზე.

გერმანიის მოსახლეობა ყოველწლიურად მილიარდობით ევროს იხდის საკუთარ ოკუპაციაში. ამ თანხით გერმანელები აფინანსებენ აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავებით წარმოებულ ანტიადამიანურ ომებს სასიკვდილო განაჩენით დაღდასმული სახელმწიფოების წინააღმდეგ. აშშ-ის ეს უპილოტო თვითმფრინავები კი იმართება გერმანიაში განლაგებული სამხედრო ბაზებიდან.

ასეთია ჩვენი ცივილიზებული საზოგადოება...

მერკელის ამჟამინდელი მთავრობა გერმანიის ყველაზე მეტად ინფორმირებული მოსახლეობის ნაწილზე ნერვების მომშლელად მოქმედებს.

ვისაც ნამდვილი მეგობრობა სურს, იმან უნდა დაივიწყოს მლიქვნელობა და ფეხქვეშ გაგება, ხოლო ყველა საიდუმლო ხელშეკრულება უნდა გამოქვეყნდეს და შესწავლილ იქნას.

**გამარჯვებული ქვეყნების გავლენა გერმანიაზე მათი განსაკუთრებული უფლება გახდა. ყველა ეს განსაკუთრებული უფლება დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს და ამაზე პუტინს საწინააღმდეგო არაფერი ექნება, ხელს არ შეგვიშლის.**

**მაშ, ვინ არის გერმანიის ნამდვილი მეგობარი და ვინ — მტერი? რუსეთი ჩაციკლული არ არის ძველ ჭრილობებზე და ეს მან დაამტკიცა გერმანიის გაერთიანების პროცესში. იმ პერიოდში რუსეთმა დაამტკიცა თავისი სიდიადე და არამხოლოდ ტერიტორიულ საკითხში.**

რა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ძია სემის მიმართ? ყველაზე უკეთესია, მისგან დისტანცირებული ვიყოთ გარკვეულ მანძილზე, რადგან, როგორც ვიცით, უსაფრთხო დისტანცია მეგობრობის შენარჩუნების უებარი საშუალებაა.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

ალტერნატივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ კონფლიქტში აშშ მთავარ როლს თამაშობს. უკრაინაში ამ კონფლიქტის წარმოქმნაში დამნაშავე დასავლეთის ქვეყნები არიან. ეს დოკუმენტურადაა დასაბუთებული.“**

# ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

**ავსტრიული ტელეარხის — PULS-4-ის პროგრამა PRO/CONTRA-ს მონაწილე ექსპერტებს პრორუსულად მოაზროვნეებს ვერ დაარქმევ, მაგრამ მათ მიერ გამოთქმული პოზიციები ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს. ეს პროგრამა 24 ნოემბერს გავიდა ეთერში. გთავაზობთ მის საგაზეთო ვარიანტს. თემები: ევროპასა და რუსეთს შორის ბოლო ხანს დამდგარი „გამყინვარების“ პერიოდის მიზეზები; სამოქალაქო ომი უკრაინაში; არის თუ არა ევროპა ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტი, რომელსაც ისე ათამაშებენ „გარე ძალები“, როგორც მოესურვებათ. შეუძლია თუ არა ევროპას პუტინის ექსპანსიური პოლიტიკის შეჩერება? და ა.შ.**




## რუსეთის უსაფუძვლოდ ლანძღვის გამო ავსტრიელმა ექსპერტებმა კოლეგას «გაულაწუნეს»

თოქშოუ მიჰყავდა ჟურნალისტ **კორინა მილბორნს.**

მონაწილეობდნენ: **ვოლფგანგ პეტრიჩი,** ავსტრიელი მაღალი რანგის დიპლომატი; **ერიკ ფრაი,** გაზეთების Der Standard-ის (ავსტრია), Financial Times და The Economist (ინგლისი) ჟურნალისტი, სწავლობდა აშშ-ში, როგორც პროფესორი, ასწავლიდა ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში; **დირკ მიულერი,** მწერალი და ბირჟის საკითხების ექსპერტი; **იოჰანეს ფოგენგრუბერი,** ევროპარლამენტის ყოფილი დეპუტატი „მწვანეთა“ პარტიიდან.

პროგრამის წამყვანის — კორინა მილბორნის შეთავაზებას — ექსპერტებს გამოეთქვათ თავიანთი თვალსაზრისი ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, პირველი **დირკ მიულერი** გამოეხმაურა:


დირკ მიულერი

— რა თქმა უნდა, რუსეთს სურს თავისი გავლენის სფეროს გაფართოება. ეს საკამათო არ არის. რუსეთს სურს, დაიბრუნოს გავლენა ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე. გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ რუსეთს აქვს პრეტენზია მსოფლიო ბატონობაზე, როგორც სუპერსახელმწიფოს, ეს სხვა საკითხია. **რეგიონული ძალაუფლების ხელში ჩაგდება რუსეთს, რა თქმა უნდა, სურს. იგივე ინტერესი აქვს ამერიკასაც და ამიტომ, უკრაინის კონფლიქტის განხილვისას, შეძლებისდაგვარად უნდა დავრჩეთ ნეიტრალურები და ყველგან არ ვეძებოთ ბოროტი ივანი, რომელსაც მსოფლიოს ხელში ჩაგდება სურს.** რუსეთი, რასაკვირველია, აშშ-ზე ნაკლები სუპერსახელმწიფოა, რომელიც ცდილობს, უკრაინაში თავისი გავლენის სფეროს გაფართოებას, თანაც ძალიან აგრესიული საშუალებების დახმარებით. იღბალმა რალაცნაირად გვიმტყუნა, რადგან იგი (რუსეთი) ამას ჩვენს ტერიტორიაზე აკეთებს — ომის წარმოების საშუალებებს ჩვენს ტერიტორიაზე იყენებს.

**ამერიკელებიც ჩვენთან, ევროპაში, განახორციელებენ თავიანთ, ხანგრძლივ დროზე გათვლილ გეოსტრატეგიულ გეგმას, რომელიც მრავალი წელია, არსებობს და ამჟამად უკრაინაში ინერგება და რომლის განჭვრეტაც კარგა ხნით ადრე შეიძლებოდა.**

**წამყვანი: — ბატონო ფრაი, ავსტრიელებს ისეთი განცდა გვაქვს, თითქოს აშშ-ის თოკზე გამობმულები ვიყოთ და გვაიძულებენ, მკაცრი სანქციები შემოვიღოთ რუსეთის წინააღმდეგ და პუტინზე დაუნდობელი რეაგირებით დავიცვათ არა ჩვენი, არამედ ამერიკის ინტერესები.**


ერიკ ფრაი

**ერიკ ფრაი:** — აშშ ამ კონფლიქტში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ეს არის კონფლიქტი ევროპასა და რუსეთს შორის. ეს არის ჩვენ შორის კონფლიქტი უკრაინის გამო. **როცა უკრაინელებმა შეხედეს რუსეთს აღმოსავლეთში და პოლონეთს — დასავლეთში, გადაწყვიტეს, რომ სურთ, იყვნენ ევროპა.** უკრაინელებმა ეს განაცხადეს ქაოსური სახალხო აჯანყების დროს მაიდანზე, რომელსაც შემდეგ დემოკრატიული არჩევნები მოჰყვა. როცა უკრაინელებმა თქვეს, რომ ევროპა სურთ, მაშინ რუსეთმა, რომელიც უარყოფს ღია, დემოკრატიულ, ლიბერალურ ევროპას მისი თავისუფალი ბაზრით, რადგან პუტინი ასეთი ევროპის მხრიდან თავისი ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეს ხედავს, გამოიყენა სამხედრო საშუალებები და მოახდინა მთელი ოლქების ოკუპირება. ამით პუტინი ანგრევს არა მარტო უკრაინას, არამედ ევროპასაც... *(ამ ტირადის დროს კადრში აჩვენებენ დირკ მიულერს, რომელსაც სახეზე ეტყობა, რომ არ ეთანხმება კოლეგას)* ვროკავშირსაც მთელი თავისი ფასეულობებითა და პოზიტიური მხარეებით. ამიტომ ევროპა ვალდებულია, რეაგირება მოახდინოს... აშშ-ს არ აქვს ინტერესები უკრაინაში.

*(ამ წინადადებას რომ მოისმენს, დირკ მიულერი თავს ვერ შეიკავებს და გადაიხარხარებს).*

ბატონო მიულერ, — **განაგრძობს ერიკ ფრაი,** — აშშ-ს არ აქვს მნიშვნელოვანი ინტერესები უკრაინაში. ეს არის მხოლოდ ევროპული კონფლიქტი, რომელიც ევროპამ უნდა მოაგვაროს.

**დირკ მიულერი: — თქვენ ასეთი დახვეწილი იუმორი გაქვთ, თუ მართლა მიგაჩნიათ, რომ აშშ არაფერ შუაშია?!**

**ერიკ ფრაი:** — დიახ, მე სერიოზულად ვლაპარაკობ.

თქვენ შეგიძლიათ იხუმროთ, რამდენიც გსურთ. აშშ არავითარ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს უკრაინაში. უკრაინა არ აპირებს, გახდეს აშშ-ის 51-ე შტატი...

*(კადრში ჩანს დირკ მიულერი, აშკარად დამცინავი გამომეტყველებით).*

... უკრაინას ყველაზე მეტად ევროკავშირის წევრობა სურს, რაც იოლი საქმე არ იქნება, მაგრამ უკრაინელები სახით შებრუნდნენ ევროპისკენ, რადგან უკრაინა არ არის ისეთი ერთპიროვნულად მართული, ნაციონალისტური, აგრესიული ქვეყანა, როგორიც რუსეთია, რომელსაც უკრაინელებზე ზემოქმედების ბერკეტები უპყრია. **ევროპა უკრაინას სთავაზობს აყვავებას, უშიშროებას და უკრაინელებს სწორედ იქ სურთ შესვლა.**

ხოლო ის, რასაც თქვენ აქ ლაპარაკობთ, რუსული პროპაგანდაა.

**დირკ მიულერი:** — თქვენ კი რასაც ლაპარაკობთ, ამერიკული პროპაგანდაა. მე რუსულ პროპაგანდას არ ვეწევი, ვცდილობ, შევადარო...

**ერიკ ფრაი:** — თქვენ ერთიერთზე გადაიღეთ რუსული პროპაგანდა და ცდილობთ, მისგან არგუმენტების მსგავსი რამ შექმნათ.

**დირკ მიულერი:** — სხვებსაც მიეცით საშუალება, გამოთქვან თავიანთი აზრი, რომელიც თქვენ სკანდალურად მიგაჩნიათ.

მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ორივე მხარეს თავთავისი არგუმენტები გააჩნია და არავითარ რუსულ პროპაგანდას არ ვეწევი. პუტინი საერთოდ არ მიმაჩნია ჩემს მეგობრად.

**ერიკ ფრაი:** — თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელსაც პუტინის ესმის.

**დირკ მიულერი:** — შეიძლება, აზრი გამოვთქვა? გმადლობთ.

ჩვენ არ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, როგორი საქმეების მოკვარახჭინება სურს პუტინს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ნეიტრა- ▶

**„ბჟეზინსკი წერს, რომ ევროპის კონტინენტი ამერიკის ვასალებითა და ხარკის გადამხდელი ქვეყნებითაა სავსე. ვასალებით, რომლებიც ხარკს იხდიან. სწორედ ასე ვიქცევით ჩვენ — ევროპელები. ჩვენ არ ვაწარმოებთ ღია, სამშვიდობო, დემოკრატიულ, პატიოსან საგარეო პოლიტიკას, ამის ნაცვლად განვახორციელებთ აშშ-ის გლობალურ გეოპოლიტიკურ სტრატეგიას“**

მსოფლიო

## ჩინეთი აღშფოთებულია აშშ-ის კანონპროექტით ტაივანისთვის სამხედრო ხომალდების მიყიდვის თაობაზე

**აშშ-ის კონგრესმა განსახილველად მიიღო კანონპროექტი, რომელიც ტაივანისთვის სამხედრო ხომალდების მიყიდვას ითვალისწინებს. ეს ინიციატივა ჩინეთმა თავის საშინაო საქმეებში ჩარევად შეაფასა.**

„ჩინეთი წინააღმდეგია კანონპროექტის, რომელიც აშშ-ის მიერ ტაივანისთვის სამხედრო ხომალდების მიყიდვას ითვალისწინებს, ჩვენ უკვე გამოვხატეთ ოფიციალური პროტესტი აშშ-ის მიმართ, რადგან ეს ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევაა. ვიმედოვნებთ, რომ აშშ-ის კონგრესი შეაჩერებს ან კანონპროექტის განხილვას“, — განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ხუნ ლეიმ.

კუნძული ტაივანი, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაა, მაგრამ 1949 წლიდან მას მართავს ადმინისტრაცია, რომელიც პეკინის იურისდიქციას არ აღიარებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავისი სუვერენიტეტის აღსადგენად ტაივანზე სამხედრო ძალის გამოყენების უფლებას იტოვებს.



ალტერნატივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ახლანდელმა პრემიერმა იაცენიუკმა რამდენიმე წლის წინათ დააარსა ამერიკულ-უკრაინული ფონდი. წლების განმავლობაში ამ ფონდის სპონსორები არიან ნატო, „ჩეტენჰაუზი“ და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. ჩვენ ვხედავთ, ათწლეულების განმავლობაში რა გავლენა ჰქონდა აშშ-ს აღნიშნულ რეგიონზე.“

◀ ლურად შევაფასოთ არსებული მდგომარეობა. ეს კი ნიშნავს, რომ **იმას, რასაც პუტინი აკეთებს, მე კრიტიკულად აღვიქვამ. მაგრამ ასევე კრიტიკულად ვაფასებ იმას, რასაც ჩვენი, დასავლური მხარე აკეთებს.** თქვენ ამბობთ, რომ ამერიკელებს უკრაინაში ინტერესები არ აქვთ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელმა **ვიქტორია ნულანდმა** ამერიკული ნავთობკონცერნების წარმომადგენლების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, აშშ-მა რამდენიმე მილიარდი დოლარით დააფინანსა პუტჩი უკრაინაშიო. ამ ვიდეოს ნახვა ნებისმიერს შეუძლია ინტერნეტში. ჩვენ ვიცით, რომ **ახლანდელმა პრემიერმა იაცენიუკმა რამდენიმე წლის წინათ დააარსა ამერიკულ-უკრაინული ფონდი. წლების განმავლობაში ამ ფონდის სპონსორები არიან ნატო, „ჩეტენჰაუზი“ და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. ჩვენ ვხედავთ, ათწლეულების განმავლობაში რა გავლენა ჰქონდა აშშ-ს აღნიშნულ რეგიონზე.** თქვენ უთუოდ იცით, ვინ არის ბჟეზინსკი. ვიმედოვნებ, წაკითხული გაქვთ მისი „დიდი საჭადრაკო დაფა“. ბჟეზინსკი აშშ-ის პრეზიდენტების ერთ-ერთი სანდო მრჩეველი იყო კარტერიდან მოყოლებული.

**ერიკ ფრაი:** — ბატონო მიულერ, როგორაა ეს დაკავშირებული უკრაინასთან? უკრაინელების სურვილთან — საით სურთ წასვლა?!

**დირკ მიულერი:** — ძალიანაც დაკავშირებულია. ბჟეზინსკიმ დაწერა ამერიკის გეოსტრატეგიული გეგმა.

**ერიკ ფრაი:** — თქვენ აქ გამოიგონეთ რაღაც გეოსტრატეგიული ზღაპარი, რათა აბუჩად აიგდოთ ევროპელი ხალხის ნება-სურვილი, რადგან ეს არ მოგწონთ.

**დირკ მიულერი:** — ასეთი რამ არასოდეს მითქვამს. იმედი მაქვს, რომ წაკითხული გაქვთ ბჟეზინსკი.

**წამყვანი: — ბატონო მიულერ, ჩვენს მაყურებლებს შეიძლება არ წაუკითხავთ ბჟეზინსკი, მაგრამ თქვენი აზრი გასაგებია.**

**ბატონო ფროგენგრუბერ, ბატონი ფრაი ლაპარაკობს ევროპულ ფასეულობებსა და დემოკრატიაზე, ერთი მხრივ; მეორე მხარეს კი ტოტალიტარული რუსეთის მცდელობაა.**

**ერიკ ფრაი:** — ტოტალიტარიზმი ფაშიზმის ერთგვარი ახალი ფორმაა, ევროპული ფაშიზმის ახალი მიმდინარეობა, რომელიც წარმოდგენილია რუსეთის სახით, თავისი ნაციონალიზმით, რეპრესიებითა და ულტრაკონსერვატიული რეაქციული შეხედულებებით. ასეთი რუსეთი განახორციელებს აგრესიულ პოლიტიკას თავისი მეზობლების მიმართ.

*(ერიკ ფრაი, ბოლოს და ბოლოს, დაშოშმინდება და იოჰანეს ფოგენგრუბერს აზრის გამოთქმის საშუალება მიეცემა).*


იოჰანეს ფოგენგრუბერი

**იოჰანეს ფოგენგრუბერი:** — ევროპამ ყველგან უნდა დაიცვას თავისი ფასეულობები. ბატონი ფრაი ამ ფასეულობებს ოდნავ მაინც რომ იზიარებდეს, მაშინ ჩვენ არ მოგვიწევდა ნატოს პროპაგანდის მისეული ვერსიის მოსმენა.

ჩვენ ისტორიის აშკარა ფალსიფიცირების მოწმენი ვართ. ყველას, ვინც სერიოზულად და ნეიტრალურად შეისწავლა ეს კონფლიქტი, მისეული განსჯა უცნაურად მოეჩვენება. **აშშ ამ კონფლიქტში მთავარ როლს თამაშობს. უკრაინაში ამ კონფლიქტის წარმოქმნაში დამნაშავე დასავლეთის ქვეყნები არიან. ეს დოკუმენტურადაა დასაბუთებული.**

1815 წლის ვენის კონგრესის შემდეგ ევროპაში აღარ ფიქრობდნენ გეოპოლიტიკურ კატეგორიაზე. პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ წესრიგსა და გეოპოლიტიკას აყალიბებდნენ რუსეთი და აშშ. გეოპოლიტიკის შესწავლის არავითარი ტრადიცია ევროპაში არ არსებობს. ამ მეცნიერებას არ ასწავლიან. ამერიკაში კი გეოპოლიტიკას საჯაროდ განიხილავენ. ის, რასაც ბატონი ფრაი აქ უარყოფს, ამერიკაში საერთო ცოდნის საშუალო დონედ ითვლება...

ბჟეზინსკი, რომელიც ჩემმა კოლეგამ ახსენა, ამერიკის მთავრობის მრჩეველია გეოპოლიტიკის საკითხებში, პრეზიდენტ კარტერიდან მოყოლებული პრეზიდენტ ობამამდე.

კისინჯერმა დაწერა წიგნი „ახალი მსოფლიო წესრიგი“. ეს ყველაფერი შეგიძლიათ, წაიკითხოთ. კერძოდ, ის, რომ **მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკამ თავი გამარჯვებულად გამოაცხადა. მას მიაჩნია, რომ უფლება აქვს, დაიმორჩილოს სრულად პოსტსაბჭოთა სივრცე, რადგან „ცივ ომში“ გაიმარჯვა. ბრიუსელშიც იმავეს აცხადებენ, ოდნავ განსხვავებული ვარიაციით, მაგრამ სავსებით ღიად — ინტეგრაციის კონკურენციაზე მიუთითებენ. ლაპარაკია ორი სახელმწიფოს გაბატონებაზე.**

რუსეთისა და უკრაინის შესახებ გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ პუტჩამდე უკრაინაში მშვიდობა იყო. რუსეთი უპირობოდ აღიარებდა უკრაინის ერთიანობას ყირიმის ჩათვლით. რუსეთი ამას აკეთებდა იქამდე, ვიდრე კიევში მოხდა პუტჩი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ. აი, ნაქები ევროპული ღირებულებები! პუტჩის შემდეგ შეეცადნენ უკრაინაში რუსული ენის აკრძალვას და სევასტოპოლში რუსული ბაზების შესახებ ხელშეკრულების გაუქმებას.

მთავრობაში იყვნენ მემარჯვენე რადიკალები — ნაცისტები.

ამ პუტჩამდე რუსეთი საკუთარ თავს უკრაინის წინააღმდეგ მტრული გამოხდომის უფლებას არ აძლევდა.

ბჟეზინსკის წიგნში არის ერთი აბზაცი, რომელიც უაღრესად საინტერესოდ მეჩვენება და მოხარული ვიქნები, თუ ჩვენი მასმედია გააცნობს მას ფართო საზოგადოებრიობას. **ბჟეზინსკი წერს, რომ ევროპის კონტინენტი ამერიკის ვასალებითა და ხარკის გადამხდელი ქვეყნებითაა სავსე. ვასალებით, რომლებიც ხარკს იხდიან. სწორედ ასე ვიქცევით ჩვენ — ევროპელები.**

**ჩვენ არ ვაწარმოებთ ღია, სამშვიდობო, დემოკრატიულ, პატიოსან საგარეო პოლიტიკას, ამის ნაცვლად განვახორციელებთ აშშ-ის გლობალურ გეოპოლიტიკურ სტრატეგიას.**

**წამყვანი: — მართალია, რომ ევროპა ისე იქცევა, როგორც აშშ-ის ვასალი?**


ვოლფგანგ პეტრიჩი

**ვოლფგანგ პეტრიჩი:** — ამ საკითხს ასე დრამატულად არ აღვიქვამდი. ვფიქრობ, რომ ევროპამ ძალიან დიდი შეცდომები დაუშვა 1991 წელს. მაშინ ჩვენ ვერ გამოვიყენეთ რუსეთთან ერთად უშიშროების საერთოევროპული სისტემის შექმნის უნიკალური შანსი. იმაში, ამ გზით რომ არ წავედით, თავისი როლი ითამაშა ამერიკისა და, როგორც ჩანს, ბრიტანულმა ინტერესებმაც.

**ერიკ ფრაი:** — მაიდანზე იყო სახალხო აჯანყება პუტჩის ზოგიერთი ასპექტით. ეს ასეა, მაგრამ მას შემდეგ უკრაინაში ორჯერ გაიმართა დემოკრატიული არჩევნები, როცა უკრაინელებმა დიდი უმრავლესობით აირჩიეს ისეთი პარტიები და პოლიტიკური ძალები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ არიან აშშ-ის მარიონეტები. პირიქით, ამ პარტიებს სურთ, იყვნენ ევროპის შემადგენლობაში. ბატონი პოროშენკოც და არჩეული პარტიებიც არიან უკრაინელი ხალხის ლეგიტიმური წარმომადგენლები. ამიტომ მინდა, რომ თქვენ, ევროპის ყოფილმა დეპუტატმა, პატივი სცეთ უკრაინელი ხალხის დემოკრატიულ არჩევანს და ერთი ხელის აქნევით არ უარყოთ ყველაფერი, განაცხადოთ, რომ ეს ყველაფერი ამერიკის მოწყობილია. ეს ხალხის აბუჩად აგდებაა, ბატონო ფოგენგრუბერ...



> **«როცა ამტკიცებთ, რომ ბოროტი ივანე პროპაგანდას ეწევა, ხოლო კეთილი დასავლეთი დემოკრატიისა და უცოდველი წმინდანის განსახიერებაა, სადაც მედია სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა არ ღაღადებს, არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ მკითხველები და მაყურებლები მასობრივად უარს ამბობენ დიდ მედიაზე და ალტერნატიულ მედიაზე გადადიან. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი თავს მოტყუებულად გრძნობენ, თქვენი მედიის აღარ სჯერათ»**

**იოჰანეს ფოგენგრუბერი:** — ეს თავხედობაა! მსგავსი არაფერი მითქვამს. ვინ მოგცათ ასეთი ტონით ლაპარაკის უფლება?! თუ თქვენ ამბობთ, რომ ეს იყო სახალხო აჯანყება პუტჩის ასპექტებით, მაშინ (თქვენს ნათქვამს გავიმეორებ), რუსეთთან ყირიმის კვლავ შეერთება მოხდა საერთაშორისო სამართლის დარღვევის ასპექტებით. ეს ხომ ბოდვითი ფორმულირებებია!

**ერიკ ფრაი:** — მოდით, პირდაპირ ვთქვათ: ეს იყო მშვიდობის პირველი დარღვევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

**იოჰანეს ფოგენგრუბერი:** — არა. მანამდე კოსოვოში მოხდა. **გერმანიის ყოფილმა კანცლერმა შრიოდერმა ახლახან აღიარა, რომ კოსოვოში ჩვენ პირველად დავარღვიეთ საერთაშორისო სამართალი ისე, რომ გაეროს არავითარი მანდატი არ გვქონია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ცოტათი მაინც აგიმაღლოთ ისტორიის ცოდნის დონე.**

**წამყვანი: — თვალში საცემია, რომ თქვენ, ევროპის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ასე გააფთრებით იცავთ რუსეთის ინტერესებს.**

**იოჰანეს ფოგენგრუბერი:** — გეტყვით, რატომაც. ჩვენ აღვიზარდეთ რწმენით, რომ დემოკრატიული ქვეყნები არავის წინააღმდეგ არ ომობენ. ახლა კი ვცხოვრობთ ისეთ ვითარებაში, როცა დემოკრატიული ქვეყნები ომისკენ გვიბიძგებენ. ევროპა დემოკრატიული ქვეყნებისგან შედგება. ბრიუსელშიც დემოკრატიაა. და ეს ხდება მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომის დაწყების 100 წლის იუბილეს აღვნიშნავთ. 100 წლისწინანდელი მისტიკური სცენარი მეორდება.

**რაც შეეხება ჩვენი მასმედიის თავისუფლებას, შესანიშნავად ვიცით, რას ნიშნავს ეს თავისუფლება. ახლახან წამყვანი ჟურნალისტები ჩრდილოატლანტიკურ ქვეყნებთან კავშირში იყვნენ მხილებულნი.**

ბატონმა პლაცეკმა — გერმანიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეფმა, გაბედა და თქვა, რომ ჩვენ, დემოკრატიულმა ქვეყნებმა, უნდა ვიკისროთ პასუხისმგებლობა და დავამტკიცოთ, რომ არავის ვეომებით. ამის თქმა იყო და მყისიერად თავს დაესხნენ რუსეთ-გერმანიის პეტერბურგის ფორუმს, დიალოგს, სადაც იგია თავმჯდომარე, რათა მისგან გათავისუფლებულიყვნენ. ამას უწოდებთ თქვენ თავისუფალ სამყაროს?! ეს ხომ აბსურდია!

**დირკ მიულერი:** — გულახდილად გეტყვით, **როცა ვხედავ, რომ ჩვენი წამყვანი მედია აცხობს და ამახინჯებს ახალ ამბებს, ვიდეოს ისე ამონტაჟებენ, როგორც სურთ და მოსწონთ, როგორ ატრიალებენ ფაქტებს და აგრესიულ პროპაგანდას ეწევიან, რაც ბარიკადების ორივე მხარეს ხდება, ჩვენ ორივე მხარე უნდა გავაკრიტიკოთ.**

**როცა ამტკიცებთ, რომ ბოროტი ივანე პროპაგანდას ეწევა, ხოლო კეთილი დასავლეთი დემოკრატიისა და უცოდველი წმინდანის განსახიერებაა, სადაც მედია სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა არ ღაღადებს, არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ მკითხველები და მაყურებლები მასობრივად უარს ამბობენ დიდ მედიაზე და ალტერნატიულ მედიაზე გადადიან. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი თავს მოტყუებულად გრძნობენ, თქვენი მედიის აღარ სჯერათ.**

რუბრუკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

## დიკ ჩეინიმ სენატის მიერ მომზადებულ ანგარიშს სრული სისულელე უწოდა

**„აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი სრულად იყო ინფორმირებული ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ დაკითხვისას გამოყენებული მეთოდების თაობაზე, რომელსაც სენატი გმობს“, — განაცხადა აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ.**

დიკ ჩეინიმ ტელეარხ „ფოქს ნიუსისთვის“ მოცემულ ინტერვიუში სენატის მიერ მომზადებულ ანგარიშს სრული სისულელე უწოდა და აღნიშნა, რომ ჯორჯ ბუშმა იცოდა ყველაფერი, რისი ცოდნაც სჭირდებოდა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მუშაობამ კი ქვეყანა მომავალი თავდასხმებისგან იხსნა.

რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლები ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკითხვისას წამების მეთოდებს იყენებდნენ. ეჭვმიტანილთა სასტიკი წამებით დაკითხვა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაინერგა, ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთი ერთი სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილად დანაწევრებისა და მიღებული ფრაგმენტებისგან სხვა სახელმწიფოს შექმნის გამოცდილების ნაკლებობას არ უჩივის. საინტერესოა: კიევში მართლა გამორიცხავენ, რომ დასავლეთს აქვს უკრაინის ტერიტორიაზე ამ ქვეყნისვე რესურსის გამოყენებით ახალი სახელმწიფო კონსტრუქციის შექმნის გეგმა თუ მხოლოდ თავს იკატუნებენ, რომ ამ გეგმას ვერ ხედავენ?**

# გერმანულის გაკვეთილები უკრაინისთვის და არამხოლოდ მისთვის (ნაწილი პირველი)

**ხელისუფლების სათავეში სახელმწიფო გადატრიალებით მოსული კიევის რეჟიმისადმი მხარდაჭერას დასავლეთის ქვეყნები იმით ხსნიან, რომ სურთ, რუსეთს ხელი შეუშალონ უკრაინის, როგორც მთლიანი სახელმწიფოს, ლიკვიდირებაში; მაგრამ უამრავი მტკიცებულება არსებობს, რომ, სახელდობრ, ვაშინგტონი, ბრიუსელი, ბონი და, მათ უკან, ვარშავა ამზადებენ ნიადაგს უკრაინის დასანაწევრებლად.**

პოლონეთის პარლამენტის სპიკერმა **რადოსლავ სიკორსკიმ** ცოტა ხნის წინათ საინფორმაციო ქსელში სატყუარა ჩაუშვა — განაცხადა, რომ 2008 წელს პოლონეთის იმჟამინდელ პრემიერს, დონალდ ტუსკს, რფ-ის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინის გაყოფაზე დაფიქრება შესთავაზა. მაგრამ, როგორც კი ტუსკმა ამ ოდიოზური ინფორმაციისგან დისტანცირება დაიწყო, სიკორსკიმ განაცხადა, რომ მისი ნათქვამი სწორად ვერ გაიგეს. ეს მანევრი პოლონელებს დასჭირდათ იმის გასაგებად, რა დამოკიდებულება ექნებოდათ ევროპის პოლიტიკური წრეებში იმაზე, როგორ სურს, დაინახოს ვარშავამ უკრაინის მომავალი.

**უკრაინელი პატრიოტებისთვის სასარგებლო იქნება გახსენება იმისა, რომ დასავლეთს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გაცილებით ძლიერი სახელმწიფოს გახლეჩის მდიდარი გამოცდილება აქვს. ეს არის გერმანია.** ამ გამოცდილების გაკვეთილებით მდიდარია თვითონ ბერლინიც, რომელიც უკრაინის საკითხში აშშ-ის ხაზის გამტარებლად გამოდის. რატომ არ არის გერმანიის მონაწილეობა უკრაინის გახლეჩვის დაგეგმვაში 1945 წელს დამარცხებისთვის რევანში, თუნდაც მცირე მასშტაბის?

**როდესაც 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში, თეირანის კონფერენციაზე, პირველად დაისვა გერმანიის მომავლის საკითხი, საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა სტალინმა ჰიტლერიზმზე გამარჯვების შემდეგ გერმანიის ერთიან სახელმწიფოდ შენარჩუნებას დაუჭირა მხარი.**

1945 წლის თებერვალში, ყირიმის კონფერენციაზე, სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურები ომისშემდგომი გერმანიის სტატუსზე მსჯელობისას მივიდნენ დასკვნამდე, რომ **„მომავალში მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელია გერმანიის განიარაღება, დემილიტარიზაცია და გახლეჩა“.** ამის მიუხედავად, თვით პოტსდამის კონფერენციაზეც კი (1945 წლის ივლის-აგვისტო) გერმანიის დანაწევრება საბოლოოდ არ იყო გადაწყვეტილი. გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიის მიზნით, მოკავშირეები ოთხმხრივ საოკუპაციო სისტემაზე შეთანხმდნენ. ამასთანავე, გადაწყდა, რომ **„ოკუპაციის პერიოდში გერმანია განხილული იქნებოდა, როგორც ეკონომიკურად მთლიანი“. განზრახული იყო, რომ ოკუპაციის პერიოდში უზენაესი ხელისუფლების ფუნქციებს შეასრულებდნენ სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლები, თითოეული თავის საოკუპაციო ზონაში. ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც სრულიად გერმანიას შეეხებოდა, მათ ერთობლივად უნდა ემოქმედათ საკონტროლო საბჭოს წევრების რანგში.**

ალსანიშნავია, რომ საკონტროლო საბჭო, როგორც მოკავშირეთა მოქმედების კოორდინირების სახელისუფლო ორგანო, ომისშემდგომი გერმანიისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლეოდა.

საკონტროლო საბჭოს უფლებამოსილებები თითქმის შეუზღუდავი იყო — ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე გამოსცემდა კანონებს, ბრძანებებს, დირექტივებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განსაზღვრავდა მოკავშირეთა მიერ ოკუპირებული ზონების ადმინისტრაციების მოღვაწეობასა და მოსახლეობის ცხოვრების რეგლამენტს.

თუმცა **ეს ყველაფერი შესაძლებელი იყო უკლებლივ ყველა მოკავშირის კეთილი ნებით, საერთო თვალსაზრისით, ომში დამარცხებული, მაგრამ განვითარების პერსპექტივის მქონე ქვეყნის მომავალზე. ამას ითვალისწინებდა პოტსდამში შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმიც — გადაწყვეტილება მიღებულად ითვლებოდა მხოლოდ ოთხივე სახელმწიფოს ერთობლივი მხარდაჭერის შემთხვევაში.**

1945 წლის ბოლოს საკონტროლო საბჭოს ანგარიშზე აღმოჩნდა რამდენიმე პრინციპული გადაწყვეტილება, რომლებიც განსაზღვრავდა ომისშემდგომი გერმანიის განვითარების მიმართულებებს. მაგალითად, ამოქმედდა კანონები ნაცისტური კანონმდებლობის გაუქმების, სასამართლოს, აგრეთვე, იუსტიციის აპარატის დენაციფიკაციისა და დემოკრატიზაციის, გერმანიის დემილიტარიზაციის, სამხედრო ან კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენი პირების დასჯის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებებზე შეთანხმება რთულად მიიღწეოდა, საკონტროლო საბჭოსა და სხვა ადმინისტრაციული, სამართლებრივი და სამეურნეო ორგანოების მუშაობა იმედს იძლეოდა, რომ გერმანიის ერთობლივი მართვა წარმატებით განხორციელდებოდა.



პოტსდამის (ბერლინის) კონფერენციაზე. 1945 წლის 17 ივლისი — 2 აგვისტო

**როდესაც 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში თეირანის კონფერენციაზე პირველად დაისვა გერმანიის მომავლის საკითხი, საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა სტალინმა ჰიტლერიზმზე გამარჯვების შემდეგ გერმანიის ერთიან სახელმწიფოდ შენარჩუნებას დაუჭირა მხარი**




საოკუპაციო ზონები, რომლებიც 4 სახელწიფოს მიერ იმართებოდა

მაგრამ გერმანიის მოწყობაზე ერთსულოვნება არ ჩანდა. საკონტროლო საბჭოს წევრი სსრკ-დან, საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მეთაური, სსრკ-ის მარშალი **გიორგი ჟუკოვი** იხსენებდა: **„საკონტროლო საბჭოს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციები, თითქოს უბრძანესო, ყველა საკითხზე სულ უფრო ნაკლებად დასაყოლიებელნი ხდებოდნენ. სულ უფრო რთული იყო საკამათო საკითხების მოგვარების შესაძლებლობის პოვნა, განსაკუთრებით, როდესაც მთავარი პრობლემები იხილებოდა. მათ მიეკუთვნებოდა გერმანული მილიტარიზმის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ლიკვიდაცია, სამხედრო ნაწილების განიარაღება, ფაშიზმის ძირფესვიანად ამოძირკვა და ინგლისისა და აშშ-ის ზონებში ყველა ნაცისტური ორგანიზაციის განადგურება“.**

მარშალმა აღნიშნა მთავარი: საბჭოთა კავშირი და დასავლელი მოკავშირეები საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ. სსრკ, რომელმაც ყველა ქვეყანაზე მეტად იწვნია მესამე რეიხის ნაცისტური პოლიტიკის დამანგრეველი ძალა, ცდილობდა, თავისი ზონის მმართველობაში სამუდამოდ ამოეძირკვა მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინების პირობები და ყველაფერი ეღონა, გერმანიის მოსახლეობას მშვიდობისმოყვარე და ეკონომიკურად მდგრადი სახელმწიფო რომ აეშენებინა. დასავლეთის ქვეყნების ინტერესები კი სხვა იყო. **მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ, ერთი მხრივ, გააჩინა პერსპექტივა მისი, როგორც კონკურენტის ჩამოშორებისა, მეორე მხრივ, აშშ თავიდანვე განიხილავდა ამ ქვეყანას, როგორც გიგანტურ ბაზარს ამერიკული კაპიტალისთვის.**

მარშალ ჟუკოვს თავის მოგონებებში მოჰყავს ასეთი დეტალი: გერმანიას თავისი საჭიროებისთვის მხოლოდ 5 მლნ ტონა ფოლადის გამოდნობა სჭირდებოდა, მოკავშირეები კი ამ კვოტის ორჯერ გაზრდას მოითხოვდნენ. მრავალდღიანი მოლაპარაკების შემდეგ 8-9 მლნ ტონაზე შეთანხმდნენ. **„ეს ყველაფერი გამოწვეული იყო არა გერმანელ ხალხზე ზრუნვით, არამედ გერმანიის დასავლეთ რაიონებში სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნების სურვილით...“** ასეთი პოლიტიკა ცინიკურ ელფერს იძენდა იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილი — საბჭოეთის საოკუპაციო ზონა, სადაც მეტი ფოლადი მზადდებოდა, ნანგრევებად იყო ქცეული.

ამავე მიზანს — **გერმანიის დასავლეთში მდებარე საოკუპაციო ზონების სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას — ემსახურებოდა სსრკ-ის ყოფილი მოკავშირეების მცდელობა, დაემალათ და არ აღერიცხათ სამრეწველო ობიექტები, რომლებიც, პოსტდამის შეთანხმების მიხედვით, რეპარა-** ▶

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2004 წლიდან, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, იუშჩენკო სააკაშვილს ამარაგებდა ტანკებით, ვერტმფრენებით, საარტილერიო სისტემებით, საიერიშო მობილური სისტემა „შკვალით“, სარაკეტო სისტემა „ბუკ-M1“-ით, ნაღმტყორცნებით, ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. უზენაესი რადას კომისიამ, დეპუტატ ვალერი კონოვალიუკის ხელმძღვანელობით, დაადგინა, რომ იუშჩენკომ შეიარაღება 3-7-ჯერ ნაკლებ ფასად მიჰყიდა საქართველოს.**



ბრუს ჯექსონი და მიხეილ სააკაშვილი თბილისში ოფიციალურ მიღებაზე. კადრი დოკუმენტური ფილმიდან „რევოლუცია.COM. აშშ: აღმოსავლეთის დაპყრობა“



სააკაშვილი და იუშჩენკო — მოკავშირეები ამერიკული დემოკრატიისთვის ბრძოლაში



გიგა ბოკერია ვაშინგტონში, ბრუს ჯექსონის ოფისში, „კმარას“ მაისურებს წარადგენს. ამ სიმბოლოს — შემართულ მუშტს — სერბეთში ახალგაზრდული მოძრაობა „ოტპორი“ იყენებდა; უფრო ადრე, 30 წლის წინათ კი — „ანტიბოლშევიკური ბლოკი“. კადრი დოკუმენტური ფილმიდან „რევოლუცია.COM. აშშ: აღმოსავლეთის დაპყრობა“

**◀ციას (ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც უხდის ომში დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებულს ზარალის ასანაზღაურებლად) ან განადგურებას ექვემდებარებოდა. 1947 წელს ბრიტანულ და ამერიკულ ზონებში არ აღრიცხეს 450-ზე მეტი სამხედრო ქარხანა.**

დასავლეთის სახელმწიფოები ცოტა ხნის წინათ დამარცხებულ მოწინააღმდეგეს მომავალში სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლის სამხედრო-პოლიტიკურ რეზერვად განიხილავდნენ. ამისათვის მოკავშირეები ვერმახტის რამდენიმე ქვედანაყოფისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენებასაც არ ერიდებოდნენ.

**ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტია, რომ გერმანიის გაყოფის ინიციატორი იყო არა საბჭოთა კავშირი, არამედ დასავლეთი.**

უკვე 1946 წლის სექტემბერში შეიქმნა დამოუკიდებლად მოქმედი ინგლისურ-ამერიკული მმართველობა ეკონომიკის, სურსათის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საკითხებში. იმავე წლის ბოლოს მოკავშირეებმა ჯერ გააერთიანეს ამერიკული და ბრიტანელი საოკუპაციო ზონები, შემდეგ კი მას ფრანგული ზონაც მიუერთეს.

შეიქმნა გაერთიანებული ზონების ეკონომიკის მართვის საბჭო და ბანკი, რომელმაც 1948 წლის ივნისიდან დაიწყო გერმანული მარკის ემისია ქვეყნის დასავლეთ ზონებში. 1949 წლის აპრილში გააუქმეს მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს კანონები, მათ შორის — სამხედრო მრეწველობის აკრძალვის შესახებ.

1948 წლის ბერლინის კრიზისმა, ანტიჰიტლერული კოალიციის ყოფილ მოკავშირეებს შორის ცივ ომში გადაზრდილმა კონფრონტაციამ წერტილი დაუსვა გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობას — 1949 წელს შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ასე რომ, **დასავლეთი ერთი სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილად დანაწევრებისა და მიღებული ფრაგმენტებისგან სხვა სახელმწიფოს შექმნის გამოცდილების ნაკლებობას არ უჩივის.**

საინტერესოა: კიევში მართლა გამორიცხავენ, რომ დასავლეთს აქვს უკრაინის ტერიტორიაზე ამ ქვეყნისვე რესურსის გამოყენებით ახალი სახელმწიფო კონსტრუქციის შექმნის გეგმა თუ მხოლოდ თავს იკატუნებენ, რომ ამ გეგმას ვერ ხედავენ?

### აგვისტოს ქვემეხები – ნაცისტები, ნატო და «ფერადი რევოლუციები»

2008 წლის აგვისტოში აშშ-ის მონაწილეობით ქართველებისა და რუსების სისხლი დაიღვარა.

ცივი ომის წლებშიც კი მხარეები გულმოდგინედ ცდილობდნენ შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილებას. **როგორ დაიწყო ომი ე.წ. სამხრეთ ოსეთში, როდესაც იმხანად აშშ და რუსეთი შორს იყვნენ ღია დაპირისპირებისგან?**

ამ კითხვას ნაწილობრივ პასუხს სცემს ფრანგული ტელეარხის — „Canal+“-ის ჟურნალისტთა მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი **„რევოლუცია.COM.აშშ: აღმოსავლეთის დაპყრობა“** (ინგლისურენოვანი ვარიანტი: „USA: The Conguest of the East“), რომელიც საფრანგეთის სატელევიზიო სივრცეში 2005 წლის 17 ოქტომბერს აჩვენეს.

ფრანგმა ჟურნალისტებმა მოიარეს ბელგრადი და ბიშკეკი, ვაშინგტონი და ბოსტონი და ფირზე აღბეჭდეს „ფერადი რევოლუციების“ რეალიზატორთა და მათი ამერიკელი კურატორების იშვიათი გულწრფელობა, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანაში „რევოლუციების“ განმახორციელებელთა მჭიდრო კავშირები ერთმანეთთან და ვაშინგტონელ კოორდინატორებთან.

**საქართველო და უკრაინა «ფერადი რევოლუციების» მოწყობის ყველაზე წარმატებული მაგალითებია. ამოცანები, რომლებიც ორგანიზატორების წინაშე იდგა, შესრულდა: ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ, ემსახურათ აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ და, თუ საჭირო იქნებოდა, დაპირისპირებოდნენ რუსეთს**

ფილმში აღსანიშნავია ასეთი ეპიზოდი: **თბილისში, ოფიციალურ მიღებაზე, პირველ ადამიანს, რომელსაც ამჟამინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი ხელს ართმევს, არის ვინმე ბრუს ჯექსონი.** პროტოკოლის სიაში მისი გვარი არ არის. ჯექსონმა 20 წელზე მეტ ხანს იმსახურა სამხედრო დაზვერვის ოფიცრად აშშ-ის სახმელეთო ჯარებში, 1996 წელს კი დააარსა „ნატოს გაფართოების აშშ-ის კომიტეტი“ (U.S. Committee to Expand NATO), რომლის დევიზიც არის: „გავაძლიეროთ ამერიკა. უზრუნველვყოთ ევროპის უსაფრთხოება. დავიცვათ ფასეულობები. გავაფართოოთ ნატო“. მამამისი — უილიამ ჯექსონი იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1950-51 წლებში — ცსს-ს დირექტორის მოადგილე, ხოლო 1951-56 წლებში — ცსს-ს დირექტორის უფროსი მრჩეველი. ჯექსონი-შვილის პოვნა იოლად შეიძლება იქ, სადაც მზადდება „ფერადი რევოლუცია“ ან იმკიან მის ნაყოფს...

**მიხეილ სააკაშვილი** კამერის წინაშე ამბობს: **„აუცილებლობა იმისა, რომ რუსმა სამხედროებმა დატოვონ საქართველო, თვალსაჩინოა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ცივილიზებულად. ჩვენ არ გვსურს მათი გაყრა. ნახეთ, სირიელებმა ლიბანი სამ კვირაში დატოვეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა 4-ჯერ აღემატებოდა რუსების რაოდენობას სამხრეთ ოსეთში“.** იქვე, ახლოს მყოფი ჯექსონი ყურადღებით ისმენს საქართველოს პრეზიდენტის ნათქვამს. უცებ სააკაშვილი მისკენ შეტრიალდება და შეცბუნებული კაცის ღიმილით ეუბნება:

— რაღაც ისე არ ვთქვი?

— არა, მისტერ პრეზიდენტ, განაგრძეთ, ყველაფერი რიგზეა, — უპასუხებს ჯექსონი.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში საქართველოს ჰყავდა კიდევ ერთი აქტიური მოკავშირე — უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო. **2004 წლიდან, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, იუშჩენკო სააკაშვილს ამარაგებდა ტანკებით, ვერტმფრენებით, საარტილერიო სისტემებით, საიერიშო მობილური სისტემა „შკვალით“, სარაკეტო სისტემა „ბუკ-M1“-ით, ნაღმტყორცნებით, ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. უზენაესი რადას კომისიამ, დეპუტატ ვალერი კონოვალიუკის ხელმძღვანელობით დაადგინა, რომ იუშჩენკომ შეიარაღება 3-7-ჯერ ნაკლებ ფასად მიჰყიდა საქართველოს. კონოვალიუკმა პირადად მოინახულა იარაღის საწყობები ლოზოვაიაში, სადაც აგვისტოს ბოლოს გაჩენილმა ხანძარმა სამხედრო ქონება გაანადგურა. დეპუტატმა განაცხადა, რომ საწყობებს ცეცხლი წაუკიდეს, საქართველოსთვის იარაღის მიწოდების კვალი რომ წაეშალათ.**

ის ოფიციალური მიღება თბილისში ბრუს ჯექსონმა თავის პროტეჟესთან, „ვარდების რევოლუციის“ ლიდერ **გიგა ბოკერიასთან** ერთად დატოვა. ფრანგი ჟურნალისტების ფილმში ბოკერია სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ადამიანთან ერთად ჩნდება. **აი, ის — ვაშინგტონში მიღებაზე,** სადაც პრეზიდენტ ბუშთან აუდიენციის ლოდინში შეკრებილი არიან აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის „ფერადი რევოლუციების“ ლიდერები: ისინი სერბ კოლეგა **ივან ბაროვიჩთან** ერთად კუბის მიმართ გეგმებს აწყობენ; **აი, გიგა ბოკერია თბილისში ხვდება ბელარუსის ოპოზიციის ლიდერს — ანატოლი ლებედკოს,** რომელიც რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის ჩამოვიდა. სხვათა შორის, იმხანად თბილისში იმყოფებოდა პრეზიდენტი ბუშიც. გიგა ბოკერია მსჯელობს ლებედკოსთან, არიან თუ არა ბელარუსის ხელისუფლებაში ადამიანები, რომლებთანაც შეიძლება მუშაობა, შეუძლია თუ არა მას ქვეყანაში სააგიტაციო პროპაგანდა და რა ვითარებაა „დონორის“ მიმართ? ლებედკო უპასუხეობს, რომ არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, აშშ-ის კონგრესი თანხას გამოყოფს, თუმცა პროცესი ჯერ ლოდინის რეჟიმშია. **აი, ბოკერია ვაშინგტონში, ბრუს ჯექსონის ოფისში.** მას ჯექსონი საქართველოში რუსული სამხედრო ბაზის დახურვას (რაც მოხდა თბილისში ბუშის ვიზიტიდან 10 დღის შემდეგ) ულოცავს. ჯექსონი უამბობს, როგორი კმაყოფილი არიან ვაშინგტონში ბოკერიას მიერ შესრულებული სამუშაოთი. იმავე ოფისში მიდის ორი სტუდენტი გოგონა რუსეთიდან, ოპოზიციური დაჯგუფებების წევრები — ისინი აღელვებულნი არიან „ცოცხალ“ ბოკერიასთან შეხვედრით, მათთვის ის რევოლუციის კერპია. გოგონებს ბოკერია გამოცდილებას აქტიურად უზიარებს — ისევე, როგორც სერბი რევოლუციონერებისგან მიიღო.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბოკერია პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველია. 2008 წლის 7 აპრილს ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. მას შემდეგ არც ერთი დასავლური სტატია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემაზე ბოკერიას ციტატის გარეშე არ იბეჭდებოდა. **საპასუხოდ ეუთოს კომისიის გამოძიების შედეგებისა, რომელიც 2008 წლის 6 ნოემბერს გამოქვეყნდა და რომელშიც ნათქვამია, რომ კონფლიქტი საქართველომ დაიწყო, რითაც საფრთხე შეუქმნა თავის მოქალაქეებს, რუსეთის სამშვიდობო ძალებსა და უიარაღო დამკვირვებლებს, ბოკერიამ გაზეთ The New York Times-ის ფურცლებზე განაცხადა: „არ ვიცი, საიდან მოდის ეს ინფორმაცია და როგორ ამტკიცებენ ამას. ჩვენ საქართველოს ქალაქებზე განუწყვეტელი შეტევებისა და რუსეთის სამხედრო ძალების ზრდის იმდენი მტკიცებულება გვაქვს, რომ ეს ინფორმაცია, ნებისმიერ შემთხვევაში, სიტუაციას ვერ ცვლის“.**

საქართველო და უკრაინა „ფერადი რევოლუციების“ მოწყობის ყველაზე წარმატებული მაგალითებია. ამოცანები, რომლებიც ორგანიზატორების წინაშე იდგა და, რომელზეც შემდგომში მოგითხრობთ, შესრულდა: ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ, ემსახურათ აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ და, თუ საჭირო იქნებოდა, დაპირისპირებოდნენ რუსეთს.

**1991 წელს საბჭოთა რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, რა თქმა უნდა, აშშ-ისა და, საერთოდ, დასავლეთის უდიდესი გამარჯვება იყო**, მაგრამ ამ ქვეყნების ხელისუფლების სათავეში საბჭოელი ხელმძღვანელების ყოფნა, აშშ-ს ხელს მაინცდამაინც არ აძლევდა — ედუარდ შევარდნაძე და ლეონიდ კუჩმა რადიკალიზმით არ გამოირჩეოდნენ და არც რუსეთზე შეტევისთვის იყვნენ მზად.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტია, რომ გერმანიის გაყოფის ინიციატორი იყო არა საბჭოთა კავშირი, არამედ დასავლეთი**

ერთხელ ამერიკაში
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოველივე, რასაც ქვემოთ გიამბობთ, რომ გადმოსცეს ისეთმა დემოკრატიულმა ტელევიზიამ, როგორიც არის „რუსთავი 2", ხომ გაუჩნდება რიგით ადამიანს კითხვა: ნუთუ ყველაფერი ისეთი დემოკრატიული არ არის ამერიკაში, როგორც გვეუბნებოდნენ? ნუთუ ხალხი ასე მასობრივად გმობს იმ მთავრობას, იმ ხელისუფლებას, რომელსაც ჩვენ უნდა ვეთაყვანებოდეთ და რომელთანაც ჩვენი პოლიტიკოსები უნდა დარბოდნენ (ე. წ. პოზიცია-ოპოზიციის მიუხედავად) დემოკრატიის შესასწავლად?**



# დემოკრატია, ანუ ილაპარაკე ის, რაც ამერიკას აძლევს ხელს!

**დღეს დემოკრატია ნიშნავს, ილაპარაკო ის, რაც შენს „პატრონს" აძლევს ხელს! მაგალითად, ავიღოთ „ხალხზე გამარჯვებული" ტელევიზია „რუსთავი 2", როგორც ძველად, ცნობილ იუმორისტულ გადაცემა „პასეანსში" იტყოდნენ: მუსიკალურ-გასართობი-საინფორმაციო-ვიდეო-შემოქმედებით-სუვერენულ-ექსპერიმენტული ტელეკომპანია „რუსთავი 2" დემოკრატიულ საწყისებზე.**


მაიკლ ბრაუნი





მსოფლიო ამბების მიმოხილვისას აუცილებლად გვამცნობენ, რომ ამერიკაში ორ მეტრამდე თოვლი მოვიდა, ზაფხულში — აშშ-ში ტემპერატურამ 40 გრადუსს გადააჭარბა, ამერიკის რომელიღაც ქალაქში ავტობუსი გადაბრუნდა და, სამწუხაროდ, ორი ადამიანი დაიღუპა... მაგრამ, რატომღაც, თითქმის არასოდეს ახსენებენ ამბავს, რომელშიც მოქმედება არა ამერიკაში, არამედ ინდოეთში, ჩილეში, არგენტინაში ან ბრაზილიაში მოხდა, თუმცა ეს მათი „ინფორმაციული გემოვნების" საკითხია და ვერ შევედავებით. მაგრამ რა უნდა ვიფიქროთ მაშინ, როცა არაფერს ამბობენ იმაზე, რაც აშშ-ის ერთ-ერთ ქალაქში, უკვე მერამდენე დღეა, მიმდინარეობს?! — მოსახლეობა ქუჩაშია გამოსული, წვავენ არა საბურავებს, არამედ — მანქანებს; წვავენ არა უბრალოდ მანქანებს, არამედ — პოლიციის მანქანებს. ამ ქალაქში აშშ-ის ხელისუფლებამ ნაციონალური გვარდია შეიყვანა მოსახლეობის დასაშოშმინებლად, რამაც ხალხი უფრო აღაშფოთა და, თუკი აქამდე სხვადასხვა ქვეყანაში წვავდნენ აშშ-ის დროშებს, ახლა თვითონ ამერიკაში დაიწყეს ამ ქვეყნის დროშის დაწვა დემონსტრაციულად. წვავენ დროშებს არა მხოლოდ იმ ქალაქში, სადაც ეს ამბავი ხდება, არამედ ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ. იმართება დემონსტრაციები ნიუ იორკში — გაეროს შენობასთან, ჩიკაგოში... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის დროშის დაწვა (მისი უპატივცემულობა) კანონმდებლობით ისჯება...

**„ხალხზე გამარჯვებული" ტელევიზია „რუსთავი 2" (დემოკრატიულ საწყისებზე) უცნაურად ინარჩუნებს დუმილს, თუმცა — არა უმიზეზოდ (ამიტომაც არის ის „ხალხზე გამარჯვებული").**

აბა, წარმოიდგინეთ, **ყოველივე, რასაც ქვემოთ გიამბობთ, რომ გადმოსცეს ისეთმა „დემოკრატიულმა" ტელევიზიამ, როგორიც არის „რუსთავი 2", ხომ გაუჩნდება რიგით ადამიანს კითხვა: ნუთუ ყველაფერი ისეთი დემოკრატიული არ არის ამერიკაში, როგორც ჩვენ გვეუბნებოდნენ? ნუთუ ხალხი ასე მასობრივად გმობს იმ მთავრობას, იმ ხელისუფლებას, რომელსაც ჩვენ უნდა ვეთაყვანებოდეთ და რომელთანაც ჩვენი პოლიტიკოსები უნდა დარბოდნენ (ე. წ. პოზიცია-ოპოზიციის მიუხედავად) დემოკრატიის შესასწავლად?**

მაშ, ასე — რა მოხდა ფერგიუსონში, ქალაქში, რომელიც მისურის შტატში მდებარეობს:

2014 წლის 9 აგვისტოს პოლიციელმა მოკლა 18 წლის შავკანიანი მაიკლ ბრაუნი, რომელიც ბებიასთან იყო ჩასული სტუმრად და ორი დღის შემდეგ კვლავ კოლეჯში აპირებდა დაბრუნებას, სადაც ხმის ოპერატორის სპეციალობას ეუფლებოდა. მას, სიმაღლის გამო (195 სმ), „დიდ მაიკლს" ეძახდნენ. ინციდენტის დღეს იგი, თავის მეგობარ ჯონსონთან ერთად, ქუჩაში სეირნობდა და უნებურად მანქანის სავალ ნაწილზე გადავიდა. მეგობრები პოლიციელმა დარენ უილსონმა გააჩერა, რასაც კამათი მოჰყვა. პოლიციელმა იარაღი ამოიღო და მაიკლი მოკლა.

როგორც მაიკლის მეგობარი ყვება, მაიკლი თავს არ დასხმია პოლიციელს და არც უცდია მისთვის იარაღის წართმევა, რაც შემდგომ სროლის მიზეზად დაასახელა პოლიციელმა. პირველი გასროლა მაშინ გაისმა, როცა პოლიციელი ცდილობდა, მანქანაში ჩაესვა მაიკლი. მეგობრები გაქცევას შეეცადნენ, პოლიციელმა კი სროლა განაგრძო. დაჭრილი მაიკლ ბრაუნი გაჩერდა და ხელები ასწია. მიუხედავად ამისა, პოლიციელმა უილსონმა კიდევ რამდენიმეჯერ ესროლა. როგორც პოლიციაში განაცხადეს, ინციდენტამდე რამდენიმე წუთით ადრე იმავე რაიონში მაღაზიის ძარცვა მოხდა და ბრაუნი მძარცველს მიამსგავსეს. თუმცა მაიკლს ამ ძარცვასთან შეხება არ ჰქონია (ასეც რომ ყოფილიყო, არც ძარცვა და არც მანქანის სავალ გზაზე გადასვლა სიკვდილით არ ისჯება), 18 წლის მოზარდი, უბრალოდ, მეგობართან ერთად, ქუჩაში სეირნობდა...

**განა დემოკრატიაა ის, როცა ამერიკის ქალაქი საბრძოლო მოქმედებების პოლიგონს ემსგავსება და არ აშუქებ, ხოლო, როცა მოსკოვში უნებართვო მიტინგის მოწყობისას სამართალდამცველები 10 კაცს აკავებენ, აურზაურს ტეხ? იმიტომ ხომ არა, რომ ამერიკული «დემოკრატიის» პროპაგანდისთვის ფულს გიხდიან?!**

ამ ამბავმა ქალაქის მოსახლეობა აღაშფოთა, რომელიც დიდ მღელვარებაში გადაიზარდა.

მოგვიანებით, ნოემბრის დასაწყისში, ცნობილი გახდა, რომ აგვისტოში ქალაქ ფერგიუსონის დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ქალაქის საჰაერო სივრცე გადაკეტა, რათა მედიას ხელი შეშლოდა არეულობების გაშუქებაში. იმავე თვეში გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ფერგიუსონში 100 თანამშრომელი გაგზავნა მასობრივი არეულობების საფრთხის გამო. ქალაქში და მის შემოგარენში არსებულ სასწავლო დაწესებულებებში მეცადინეობა შეაჩერეს.

**სასამართლომ ვერ იპოვა ამ საქმეში საკმარისი საფუძველი, აღეძრა სისხლის სამართლის საქმე პოლიციელ უილსონის წინააღმდეგ. ხომ არ გაგონებთ ეს ამბავი რაიმე მსგავს ამბავს?**

ამ ინფორმაციის გავრცელებას ქალაქში არეულობების ახალი ტალღა მოჰყვა. მოსახლეობის დასაშოშმინებლად ქალაქში საჭირო შეიქნა შეიარაღებული ნაციონალური გვარდიის შეყვანა. ობამამ კონგრესს მიმართა თხოვნით, ფედერალური ბიუჯეტიდან გამოეყო 263 მილიონი დოლარი ფერგიუსონში სიტუაციის დასარეგულირებლად. არეულობები დღესაც გრძელდება.

**ასეთი რამ რუსეთში რომ მომხდარიყო, დაიწყებოდა თუ არა «რუსთავი 2»-ის ყოველი საინფორმაციო გამოშვება ამ ამბით, თანაც «დამაჯერებელი განმარტებებით» — როგორი ტირანიის ქვეშ ჰყავს რუსეთის ხელისუფლებას თავისი ქვეყნის მოსახლეობა?..**

ჩვენი დემოკრატიული და ზეინფორმაციული ტელევიზია „რუსთავი 2" კი დუმილს ამჯობინებს, მოსახლეობას კითხვის ნიშნები რომ არ გაუჩნდეს ამერიკული დემოკრატიის მიმართ.

ერთი რიტორიკული კითხვა, რომელიც „დემოკრატიის საწყისებს" ეხება: **ასეთი რამ რუსეთში რომ მომხდარიყო, დაიწყებოდა თუ არა „რუსთავი 2"-ის ყოველი საინფორმაციო გამოშვება ამ ამბით, თანაც „დამაჯერებელი განმარტებებით" — როგორი ტირანიის ქვეშ ჰყავს რუსეთის ხელისუფლებას თავისი ქვეყნის მოსახლეობა?..**

დავასრულებ იმით, რითაც დავიწყე: **განა დემოკრატიაა ის, როცა ამერიკის ქალაქი საბრძოლო მოქმედებების პოლიგონს ემსგავსება და არ აშუქებ, ხოლო, როცა მოსკოვში უნებართვო მიტინგის მოწყობისას სამართალდამცველები 10 კაცს აკავებენ, აურზაურს ტეხ?**









**ლევან ზანგურაშვილი**

**ევროპის ქვეყნების ოქროს მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკასა და კანადაშია გაზიდული. გერმანიის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ ოქროს მარაგამდე ხელის მიწვდენა საკმაოდ რთული პრობლემაა. ოქროს გარეშე დარჩენა მაშინ, როცა საჭირო გახდება ვალუტის ოქროთი უზრუნველყოფა, ვალის კრიზისით მოცული ევროპისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება.**

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყვარყვარეს ამერიკული «ოქროს სარაია»

**ყვარყვარე თუთაბერის აკვიატებული აზრი საკუთარი „ოქროს სარაიის“ აშენების შესახებ, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდათ ამერიკელებს და მარაგები, რომლებიც ევროპის ქვეყნებს სათავისოდ ჰქონდათ დაგროვილი, შტატებში გაზიდეს. კანადაშიც.**
**აქ უფრო შეგენახებათო.**
**დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში ევროპამ ჯიბეები რომ მოიქექა, იქ ოქროს გროშ-კაპიკიც ვერ მოიძია და ამერიკას მიმართა, — ჩემი ქონება დამიბრუნეო.**
**ოქროს ისეთი თვისება აქვს, თუ ხელში ჩაიგდე, ანდამატივით მიგიზიდავს და ველარ შეელევი. ვინ თქვა, რომ ეს ძვირფასი ლითონი მაგნიტის გამორჩეული თვისებით არ ხასიათდება?!**


ფორტ-ნოქსი

ტენდენცია, რომელმაც ევროპის ქვეყნები შეაშფოთა, რეალურად საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ჰოლანდიის მთავრობამ აშშ-დან თავისი ოქროს მარაგის მხოლოდ ნაწილი მიიღო. გერმანიასა და შვეიცარიას კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: ფორტ-ნოქსიდან ცივი უარი მიიღეს.

ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასიაო, — ცნობილი ფრთიანი ფრაზაა. რაც უფრო მეტია, მით ძვირფასია — ასეთი უნდა იყოს ლოგიკური გაგრძელება. და ასეც ხდება: ოქრო ბრუნდება მსოფლიო საფინანსო სისტემაში. ბევრი ქვეყანა ზრდის ოქროს შესყიდვის ოდენობას. მაგალითად, რუსეთის ოქროს მარაგი 2009-2014 წლებში თითქმის ორჯერ გაიზარდა და 1040,71 ტონას მიაღწია. ინდოეთის ცენტრალურმა ბანკმა ამავე პერიოდში 56 პროცენტით გაზარდა ამ ძვირფასი ლითონის მარაგი, დღეს მას 557 ტონა გარანტირებულად უდევს საცავებში. ბრაზილიამ ჯერ კიდევ 2013 წელს შეძლო თავისი მარაგის 35-დან 67 ტონამდე გაზრდა.

**ფინანსისტთა გათვლებით, ოქროს დაგროვების ლიდერთა შორის არიან ყაზახეთი და ერაყი, ჩინეთმა კი ყველას გაუსწრო. ამერიკელი ექსპერტის — ს. კუეილის გაანგარიშებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოში პირველ ადგილზეა და უახლოეს მომავალში ოქროს მარაგის 10-11 ათას ტონამდე გაზრდას აპირებს.**

ოქროს მოპოვებაშიც ჩინეთი ლიდერობს. მეორე ადგილი ავსტრალიას ეკავა, მაგრამ გაუსწრო რუსეთმა, რომელმაც ამა წლის პირველ ნახევარში მოპოვება 26,6 პროცენტით გაზარდა. ბრაზილიას გადაწყვეტილი აქვს, 2014-2022 წლებში ოქროს მოპოვების მოცულობა 180 ტონას გადააჭარბოს, რაც ამჟამინდელ დონეზე სამჯერ მეტი იქნება.

საინტერესო სიტუაციაა ინდოეთში, სადაც ოქროს ადგილობრივი მოპოვება 3 ტონას არ აღემატება. ამის მიუხედავად, ეს ქვეყანა მსოფლიოში ოქროს ერთ-ერთი დიდი იმპორტიორია და ფლობს გადამუშავებული ოქროს მარაგს, რომელიც 10 ათას ტონას აღემატება. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ოქროს მარაგი ზოდებში ინდოეთის მშპ-ს 50 პროცენტს შეადგენს. იქაური სამთომომპოვებელი მრეწველობის სამინისტრო გეგმავს ოქროს მოპოვების ყოველწლიური მოცულობის 45 ტონამდე გაზრდას.

**ევროპის ქვეყნების ოქროს მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ვთქვით, ამერიკასა და კანადაშია გაზიდული. გერმანიის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ ოქროს მარაგამდე ხელის მიწვდენა საკმაოდ რთული პრობლემაა. ოქროს გარეშე დარჩენა მაშინ, როცა საჭირო გახდება ვალუტის ოქროთი უზრუნველყოფა, ვალის კრიზისით მოცული ევროპისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება.**

სპეციალისტების აზრით, 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ ოქროს სტანდარტის დაბრუნების აუცილებლობა ცხრა მთას იქით არ არის. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას შეეძლება ფულის მხოლოდ იმ რაოდენობის დაბეჭდვა, რომელიც მისი ოქროს მარაგის ადეკვატურია. ამ შემთხვევაში ექსპორტიორ ქვეყნებს ეძლევათ დამატებითი უპირატესობა, კერძოდ, მეტი მარაგის დაგროვების შესაძლებლობა, შესაბამისად, მეტ ფულსაც დაბეჭდავენ საკუთარ ეკონომიკაში ინვესტირების მიზნით. ოქროს დიდი მწარმოებლები ბაზარზე ოქროს გაყიდვის მეშვეობით მაკროეკონომიკაზე გაზრდიან თავიანთ გავლენას.

ექსპერტების ერთი ჯგუფი კი ფიქრობს, რომ კლასიკური ოქროს სტანდარტის დამკვიდრება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, რადგან ეს სისტემა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება; კერძოდ, ფულადი მასის ფიზიკური გაზრდა შეზღუდული იქნება ოქროს მოპოვების მოცულობით.

**1500 ტონა ოქროდან გერმანიამ მხოლოდ 5 ტონის დაბრუნება შეძლო. უფრო მეტიც, გერმანელებს უარი უთხრეს, შეემოწმებინათ საკუთარი ოქროს მარაგის რაოდენობა. გერმანული ჟურნალ Fokus-ის აზრით, ოქრო ნაყალბევია, რასაც ადასტურებს ის, რომ «ზოდები, რომლებიც ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ფრანკფურტს გადასცა, განსხვავდება იმისგან, რაც თავის დროზე ბუნდესბანკიდან იყო გატანილი. ამერიკელებმა გადაადნეს მათ საცავებში არსებული ოქრო, გადაამუშავეს და ახალ ზოდებად ჩამოასხეს 2013 წლის დამლით»**

ოქროს სტანდარტი წამგებიანია იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებსაც ოქროს მნიშვნელოვანი აქტივები აქვს: საკუთარი ვალუტის ოქროზე გადაცვლის შემთხვევაში მათ მცირე ხანში ამოეწურებათ ოქროს მარაგი.

**პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოქროს სტანდარტი შეიცვალა ოქროვალუტის სტანდარტით, რომელიც 1922 წელს გენუის შეთანხმებით გაფორმდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოქროს 70 პროცენტი აშშ-ში იყო თავმოყრილი, შეიქმნა ბრეტონ-ვუდის სისტემა, რომლის ძალითაც აშშ დოლარს სარეზერვო ვალუტის სტატუსი მიენიჭა. ეს სტატუსი ოქროთი იყო უზრუნველყოფილი.**

**სისტემამ კრახი 70-იან წლებში განიცადა აშშ-ის ოქროს მარაგის შემცირების გამო. ამ მომენტიდან ამჟამინდელი კრიზისი წინასწარ იყო განსაზღვრული, რადგან ოქროთი უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილმა დოლარმა მსოფლიოს საფინანსო სისტემა დაიმორჩილა და ჩაკეტა.**


გაყალბებული ოქროს ზოდები

დოლარის კრახის გარდაუვალობა აშკარა რომ გახდა, მსოფლიო საფინანსო მოთამაშეები ოქროსკენ შეტრიალდნენ. გაირკვა, რომ ოქროს სტანდარტის ნაკლოვანებების მიუხედავად, სხვა უნივერსალური ფინანსური ეკვივალენტი, უბრალოდ, არ არსებობს. ბანკებზე ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის გადაწყვეტილებით („ბაზელი-3“), ოქრო სრულფასოვანი საფინანსო აქტივი გახდა. ეს გადაწყვეტილება გაიზიარა მხოლოდ ჩინეთმა და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ, ევროპისა და აშშ-ის ბანკებმა კი ფეხი ვერ აუწყვეს, რადგან საამისო ძალა არ ეყოთ.

ოქროს მარაგს ჩინეთისთვის უკვე მოაქვს დივიდენდები. 2014 წლის სექტემბერში დიდი ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ გამოუშვებს პირველ ობლიგაციებს იუანებში (ჩინურ ვალუტაში). სხვა ქვეყნები, მაგალითად, შვეიცარია და ავსტრალია, თანდათან ზრდიან იუანების წილს თავიანთ სავალუტო რეზერვებში. გამორიცხული არ არის, რომ 2015 წელს იუანი ჩაერთვება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალუტების ნუსხაში.

სხვა ქვეყნებში ოქროს დაგროვების ზრდას ხელს უშლის აშშ-ის ძლიერი წინააღმდეგობა. ამერიკა ცდილობს, შეუნარჩუნოს დოლარს სარეზერვო ვალუტის სტატუსი. ოფიციალური მონაცემების თანახმად, აშშ რჩება მსოფლიოში ოქროს უდიდესი მარაგის მფლობელ ქვეყნად. ეს მარაგი 2014 წლის ივლისისთვის თითქოს 8 133 ტონას შეადგენდა, მაგრამ საქმეში ჩახედულ ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ ამ მონაცემების სისწორეში.

პირველი სკანდალი ამერიკულ ყალბ ოქროზე 2009 წელს აგორდა, როცა აშშ-მა ჩინეთს გადასცა ვოლფრამით შევსებული ოქროს ზოდები. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში დაახლოებით 1,3-1,5 მილიონი 400-უნციანი ვოლფრამის ზოდი ჩამოასხეს. შემდეგ მათგან 640 000 ცალი ოქროთი მოავარაყეს და ფორტ-ნოქსის საცავებში გაიტანეს. **2011 წლის მარტში გაყალბებული ამერიკული ოქრო ვიეტნამში აღმოაჩინეს. ამერიკელმა კონგრესმენმა რონ პოლმა მოითხოვა, ჩაეტარებინათ აშშ ოქროს მარაგის აუდიტი, მაგრამ მთავრობამ მხარი არ დაუჭირა.**

ამერიკის ოქროს მარაგში დაეჭვებამ ფორტ-ნოქსის საცავებიდან გერმანიის ოქროს დაბრუნება არარეალური გახდა.

1500 ტონა ოქროდან გერმანიამ მხოლოდ 5 ტონის დაბრუნება შეძლო. უფრო მეტიც, გერმანელებს უარი უთხრეს, შეემოწმებინათ საკუთარი ოქროს მარაგის რაოდენობა. გერმანული **ჟურნალ FOKUS-ის აზრით, ოქრო ნაყალბევია, რასაც ადასტურებს ის, რომ „ზოდები, რომლებიც ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ფრანკფურტს გადასცა, განსხვავდება იმისგან, რაც თავის დროზე ბუნდესბანკიდან იყო გატანილი. ამერიკელებმა გადაადნეს მათ საცავებში არსებული ოქრო, გადაამუშავეს და ახალ ზოდებად ჩამოასხეს 2013 წლის დამლით“.** რეიგანის ადმინისტრაციაში ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, დოქტორი პოლ რობერტსი ამტკიცებს, რომ გერმანელები უკვე ველარასოდეს იხილავენ თავიანთ ოქროს. ტყუილად არ ვრცელდებოდა ხმები, რომ ამერიკის ბანკები ფედერალური სარეზერვო სისტემის დავალებით ყიდდნენ ოქროს, რომელიც შესანახად ჰქონდათ მიბარებული, მათ შორის, უცხოეთის ოქროს მარაგებს. ეს კეთდებოდა ძვირფას ლითონზე ფასის შესამცირებლად“.

ევროპა თავისი ოქროს დაბრუნების საკითხით ამაოდ არ იყო შეშფოთებული. ამერიკელი ექსპერტი ს. კუეილი გვარწმუნებს, რომ უახლოეს მომავალში საჯაროდ იქნება განცხადებული — **აშშ არ ფლობს 8100 ტონა ოქროს. ისინი ამას გააკეთებენ მაშინ, როცა მომზადებული იქნება ნიადაგი მსოფლიო საფინანსო სისტემის კრახის თავიდან ასაცილებლად.**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც კომიტეტის წევრებმა გაარკვიეს, ცსს-ს თანამშრომლების მიერ გამოყენებული წამების მეთოდები კიდევ უფრო სასტიკი იყო, ვიდრე ისინი, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აწვდიდნენ დამკვირვებელ კონგრესმენებსა და უმცროსი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას.**

# გადამეტებული და უეფექტო სისასტიკე

**აშშ-ის სენატის მიერ ჩატარებული იმ ოთხწლიანი გამოძიების შემდეგ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც 40 მილიონი დოლარი დაჯდა, გაკეთდა დასკვნა, რომ ცსს სისტემატურად ახორციელებდა ხელისუფლებისა და საზოგადოების დეზინფორმირებას დაკითხვის სასტიკი მეთოდების თაობაზე, რომელთაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ იყენებდა.**



დაკითხვის მეთოდები, რომელთაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ იყენებდა, დაუნდობელი და არაეფექტური იყო, მიუხედავად ამისა, სამმართველოს თანამშრომლები სისტემატურად აწოდებდნენ მცდარ ინფორმაციას ხელისუფლებას ამ მეთოდების ეფექტურობის შესახებ. ამის შესახებ აღნიშნულია ანგარიშში, რომელიც აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტმა ოთხწლიანი გამოძიების შედეგად რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა.

შეაჯამა რა გამოძიების შედეგები, კომიტეტის ხელმძღვანელმა დაიენ ფაინსტაინმა განაცხადა, რომ ანგარიშის ავტორებმა შეისწავლეს 20 ეპიზოდი და აღმოაჩინეს, რომ „ჩვეულებრივ, წამების მეთოდების გამოყენების შემდეგ ადგენდნენ მცდარ ანგარიშს“. მან პროგრამას, რომელსაც ოფიციალურად „დაკითხვის სრულყოფილი მეთოდები“ ეწოდებოდა, ამერიკის ღირებულებებსა და ამერიკის ისტორიაზე დაჩნეული ლაქა უწოდა.

მძიმე დაკითხვების შემდეგ ცსს-მ ხშირად არ იცოდა, რომ მის მიერ მიღებული ცნობები ფალსიფიცირებული იყო.

**როგორც კომიტეტის წევრებმა გაარკვიეს, ცსს-ს თანამშრომლების მიერ გამოყენებული წამების მეთოდები კიდევ უფრო სასტიკი იყო, ვიდრე ისინი, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აწვდიდნენ დამკვირვებელ კონგრესმენებსა და უმცროსი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას.** ისინი სცდებოდნენ იმ „აქტიური გამოძიების პროგრამის“ ფარგლებს, რომლებიც იმ დროისთვის უკვე ცნობილი იყო ინფორმაციის მრავალწლიანი გაჟონვისა და სასამართლო გარჩევების წყალობით. მაშინ მიღებულ იქნა მონაცემები იმის თაობაზე, რომ ცსს-ს გამომძიებლები დაკითხვებისას პატიმრების მიმართ იყენებდნენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა წყალში დახრჩობის იმიტაცია, დახვრეტების იმიტაცია და წამების მეთოდები, რომელთა დროსაც პატიმრებს თავში ჩართულ ელექტროდრელს უმიზნებდნენ.

**კომისიამ დაადგინა, რომ, სულ მცირე, 39 პატიმრის მიმართ გამოყენებულ იქნა წამების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ცივ წყალში ჩაძირვა, რაც განსხვავდება წყალში დახრჩობის იმიტაციისგან და ცნობილია ჩაძირვით წამების სახელით. წამების ამ მეთოდების გამოყენებაზე იუსტიციის სამინისტროს არასდროს გაუცია ნებართვა.**

როგორც გაირკვა, სულ მცირე, 5 პატიმარი გახდა „რექტალური რეჰიდრაციის“ მსხვერპლი, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევებში ანალური ბზარები ან სწორი ნაწლავის გამოვარდნა მოჰყვა. კომისიის წევრებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთ პატიმარს სიკვდილით ემუქრებოდნენ. ცსს-ს გამომძიებლები, კომისიის მტკიცებით, პატიმრებს ემუქრებოდნენ მათი შვილებისთვის ზიანის მიყენებით, პატიმართა დედების მიმართ კი სექსუალური ძალადობით ან ყელის გამოჭრით იმუქრებოდნენ.

**სულ მცირე, 17 პატიმარი გახდა წამების იმ მეთოდის მსხვერპლი, რომლის გამოყენებისთვისაც ცსს-ს მეთაურობას ნებართვა არ გაუცია, მაგრამ, როგორც იუსტიციის სამინისტროში ყოფილი დირექტორი ჯორჯ ტენეტი ირწმუნებოდა, გაიცემოდა. როგორც კომისიამ გამოარკვია, ყველა პატიმრიდან, რომლებიც ცსს-ს ციხეებში იყვნენ გამომწყვდეულნი და რომელთა რაოდენობა, სავარაუდოდ, 119-ს შეადგენდა, 26 „დაპატიმრებული და ციხეში გამოკეტილი იქნა უკანონოდ“.**

აქტიური გამოძიების პროგრამის შემუშავებაში პირველხარისხოვან როლს 2002-ში ასრულებდნენ კონტრაქტით მომუშავე ფსიქოლოგები ჯეიმს მიტჩელი და ბრიუს ჯესენი. ფირმა, რომელიც მათ გახსნეს ცსს-სთან კონტრაქტით მომსახურების გასაწევად, შეფასებული იყო 189 მილიონ დოლარზე ძვირად, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც 2009-ში კონტრაქტი გაწყვეტილ იქნა, მათ ანაზღაურების სახით 81 მილიონი დოლარი მიიღეს.

**კომისიამ დაადგინა, რომ, სულ მცირე, 39 პატიმრის მიმართ გამოყენებულ იქნა წამების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ცივ წყალში ჩაძირვა, რაც განსხვავდება წყალში დახრჩობის იმიტაციისგან და ცნობილია ჩაძირვით წამების სახელით. წამების ამ მეთოდების გამოყენებაზე იუსტიციის სამინისტროს არასდროს გაუცია ნებართვა**





კომიტეტის მიერ მიღებული მონაცემები, რომელთა დიდ ნაწილს ცსს არ აღიარებს, იმ ოთხწლიანი გამოძიების შედეგია, რომელიც, საერთო ჯამში, 40 მილიონი დოლარი დაჯდა. ამ გამოძიებამ განაპირობა ის, რომ ცსს-სა და კომიტეტს შორის ურთიერთობა გაუარესდა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე მანამდე ყოფილა — მზვერავები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ სენატორები აკონტროლებენ მათ მუშაობას.

გამოძიება, რომელმაც ანგარიშის მომზადება გახადა შესაძლებელი და სათავე დაუდო კამათს იმის თაობაზე, თუ რა მოცულობით და როდის იქნება შესაძლებელი ინფორმაციის გამოქვეყნება, ერთი მხრივ, კომიტეტის ხელმძღვანელ ფაინსტაინსა და მის კოლეგებს შორის, მეორე მხრივ კი, ცსს-სა და თეთრ სახლში მის მფარველებს შორის, კონფრონტაციის საბაბად იქცა. 10 თვის განმავლობაში პრეზიდენტ ბარაკ ობამას ხელშეწყობით ცსს ყველანაირად ცდილობდა, საზოგადოებისგან დაეფარა ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილი.

**ცსს-ს დირექტორმა ჯონ ბრენანმა, ობამას ნდობით აღჭურვილმა პირმა, ანგარიშის გამოქვეყნებისას თავის გამოსვლაში აღიარა, რომ პროგრამას „აქვს ნაკლოვანებები და რომ სამმართველოს თანამშრომლები უშვებდნენ შეცდომებს“ იმის გამო, რასაც მან გამოძიებისა და პატიმრების ციხეში შენახვის მასშტაბური პროგრამისთვის მოუმზადებლობა უწოდა.**

მაგრამ ამ ყველაფრის პარალელურად ბრენანმა გააპროტესტა კომისიის ზოგიერთი დასკვნა.

„ჩვენ მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ იმ პატიმრების დაკითხვებმა, რომელთა მიმართაც გამოიყენებოდა დაკითხვის სრულყოფილი მეთოდები, შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება. ამ ინფორმაციის საშუალებით ჩვენ შევძელით ტერორისტული გეგმების ჩაშლა, ტერორისტების შეპყრობა და ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა. პროგრამის გამოყენებით მიღებული ცნობები უკიდურესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „ალ ქაიდას“ მოქმედებების გასაგებად და ამ დრომდეც გვეხმარება კონტრტერორისტულ მუშაობაში“, — განაცხადა ბრენანმა.

„დაკითხვის სრულყოფილი მეთოდები“ — ეს არის ევფემიზმი, რომლის გამოყენებასაც ანიჭებს ხოლმე უპირატესობას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ნაცვლად ტერმინისა „წამება“.

ობამამ ცსს-ს აუკრძალა წამების მეთოდების გამოყენება მაშინვე, როგორც კი პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამმართველოს ამ დრომდე არ უწვნევია საკუთარ თავზე წამების გამოყენების გამო რაიმე სამართლებრივი ზეწოლა. ამის გამო სამართალდამცავები მიიჩნევენ, რომ სენატის ანგარიში მათ აძლევთ უკანასკნელ საშუალებას, წამების მეთოდების გამოყენებისთვის მიაღწიონ ამ ფაქტის ოფიციალურ აღიარებას და იურიდიულ პასუხისმგებლობას.

**მართალია, კომიტეტმა ანგარიშის არასაიდუმლო ნაწილის ასობით გვერდი გამოაქვეყნა, მისი საიდუმლო ნაწილი 6 ათასზე მეტ გვერდ მოიცავს და კვლავაც გასაიდუმლოებულად რჩება,** რაც დიდი იმედგაცრუებას იწვევს იმ უფლებადამცველებს შორის, რომლებიც, დიდი ხანია, მოითხოვენ ინფორმაციის დიდი მოცულობით გამოქვეყნებას. კოლორადოს შტატის დემოკრატი სენატორის — მარკ იუდალის აზრით, რომელმაც ნოემბერში დაკარგა მანდატი, კარგი იქნებოდა, ანგარიშის სრული ტექსტი შეეტანათ სენატის პროტოკოლში და გამოეყენებინათ მცირერიცხოვან ტაქტიკათაგან ერთ-ერთი, რათა მიეღწიათ დამატებითი ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის.

სენატის უმრავლესობის ლიდერი გარი რეიდი მხარს უჭერს ანგარიშს. „ამერიკელები დღეს პირველად გაიგებენ სრულ სიმართლეს იმ წამებათა შესახებ, რომელთაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ახორციელებდა ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში, — განაცხადა რეიდმა სენატში. — ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ერთი საშუალება აქვს იმისათვის, რომ აღნიშნული მოვლენები ▶

მოკლედ




## უკრაინა აშშ-ის სამხედრო მოკავშირე გახდება

**აშშ-ის სენატმა მოიწონა უკრაინის მხარდაჭერის კანონპროექტი „უკრაინის თავისუფლების მხარდაჭერის აქტი 2014“.** დოკუმენტი რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების უფლებას იძლევა. იმისათვის, რომ კანონპროექტი საბოლოოდ დამტკიცდეს, ჯერ კონგრესის ქვედა პალატამ უნდა მოიწონოს, შემდეგ კი პრეზიდენტმა ობამამ მოაწეროს ხელი. კანონპროექტი უკრაინას აშშ-ის ნატოს არაწევრ სამხედრო მოკავშირედ აცხადებს და უკრაინის არმიის მხარდაჭერისა და შეიარაღების უფლებას იძლევა. დოკუმენტში უკრაინის სამხედრო დახმარებისთვის გათვალისწინებულია 350 მილიონი დოლარი.



„ამერიკა არ წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს და არ აქვს უფლება, განიხილავდეს სხვა ქვეყნებში ადამიანთა უფლებების პრობლემებს, — აღნიშნულია სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „სინხუას“ მასალაში, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, იშვიათად თუ გვსმენია, რომ აშშ საკუთარ პრობლემებზე საუბრობდეს. მათ ურჩევნიათ, ხმამაღლა იყვირონ იმ პრობლემებზე, რომლებსაც სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ჩინეთშიც, ხედავენ“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ წარსულს ჩააბაროს და დაივიწყოს მათ შესახებ. ჩვენ თვალებში უნდა შევხედოთ სიმართლეს და დავგმოთ ის, რაც მოხდა“.

წამება არა მხოლოდ დაუშვებელია, არამედ არაფრისმომცემიც, — დასძინა რეიდმა. მისი თქმით, „წამებამ არაფერი მოიტანა, გარდა სახელის გატეხვისა“.

დაზვერვის კომიტეტის რესპუბლიკელმა წევრებმა წარმოადგინეს 100-გვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც ანგარიშის შინაარსი გააპროტესტეს. მათ დაწერეს, რომ „პროცესუალური დარღვევები“ უარყოფითად აისახა ანგარიშში წარმოდგენილ „სადავო განცხადებებსა და დასკვნებზე“ და დემოკრატები დაადანაშაულეს გამოძიების მიკერძოებულად და უნიჭოდ ჩატარებაში.

კერძოდ, რესპუბლიკელებმა ეჭვქვეშ დააყენეს ანგარიშში მოყვანილი მტკიცება იმის თაობაზე, რომ წამება არაეფექტური იყო და მისი საშუალებით ვერ იქნა მოპოვებული პრაქტიკული თვალსაზრისით ღირებული ინფორმაცია. მათ განაცხადეს, რომ ზუბაიდეს მიმართ გამოყენებული „გამოძიების აქტიური მეთოდების“ წყალობით მოხერხდა „ალ ქაიდას“ წევრების დაკავება და პაკისტანის ქალაქ კარაჩის იმ სასტუმროებში ტერაქტების თავიდან აცილება, რომლებშიც ხშირად ცხოვრობენ გერმანიისა და ამერიკის მოქალაქეები.

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლეპერმა განაცხადა, რომ არ ახსენდება სხვა რომელიმე ანგარიში, რომელშიც, „ამ ანგარიშის მსგავსად, მრავლადაა წინააღმდეგობები და ემოციები“.

**მისი თქმით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცრები, რომლებიც პროგრამის რეალიზებაში მონაწილეობდნენ, „სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახორციელებდნენ პროგრამას, რომელიც სახელმწიფომ პრეზიდენტის დავალებით შეიმუშავა და რომლის რეალიზაციისთვისაც მიღებული იყო იურიდიულად სათანადოდ გაფორმებული ნებართვა, და რომ ეს პროგრამა, უკიდურეს შემთხვევაში, ვინმეს სანქცირებული მაინც იყო კონგრესში“. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ „ადგილი ჰქონდა ქმედებებს, რომელთა ჩადენაც არ შეიძლებოდა“.**

„არ ვთვლი, რომ რომელიმე სხვა ქვეყანა გადაწყვეტდა იმას, რაც ამერიკამ გადაწყვიტა — გამოემზეურებინა საკუთარი სული, ეღიარებინა საკუთარი შეცდომები, თუ მათ მართლაც ჰქონდა ადგილი და ესწავლა ამ შეცდომებზე. ცხადია, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ჩვენი დღევანდელი მოწინააღმდეგეებიდან ვინმე გააკეთებდა მსგავს რამეს“.

The Guardian

# ანგარიში ადამიანთა წამების შესახებ — მორიგი დარტყმა აშშ-ის საერთაშორისო რეპუტაციაზე

**მას შემდეგ, რაც სენატის უშიშროების კომიტეტმა წარადგინა თავისი დამანგრეველი ანგარიში, რომელშიც გახსნილია „აქტიური ძიების“ პროგრამის საარაკო დეტალები, აშშ-ის მოკავშირეებმა დისტანცია დაიკავეს, მოწინააღმდეგეებმა კი ისარგებლეს შემთხვევით და აშშ-ის თვალთმაქცობაზე ალაპარაკდნენ. დიპლომატები მოემზადნენ პოტენციურად დაუნდობელი პროტესტებისთვის, ამერიკული ჯარები კი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადაიყვანეს მაღალი დონის საბრძოლო მზადყოფნაზე.**



„უდავოა, რომ ეს ყველაფერი უკიდურესად ნეგატიურად აისახება აშშ-ის მორალურზნეობრივ სახეზე მსოფლიოს თვალში“, — ამბობს ლონდონის ანალიტიკური სააგენტო Chatham House-ის საგარეოპოლიტიკურ საკითხთა ექსპერტი ჯეიკობ პარაკილასი.

მანამდე, ვიდრე ანგარიში ოფიციალურად გამოქვეყნდებოდა, ჩინეთის სახელმწიფო მედიასაშუალებები ექიდნურად მიანიშნებდნენ გამოძიების შედეგებზე, როგორც იმის მტკიცებულებაზე, რომ აშშ-მა ყველანაირი ნდობა დაკარგა.

**„ამერიკა არ წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს და არ აქვს უფლება, განიხილავდეს სხვა ქვეყნებში ადამიანთა უფლებების პრობლემებს, — აღნიშნულია სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „სინხუას“ მასალაში, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, იშვიათად თუ გვსმენია, რომ აშშ საკუთარ პრობლემებზე საუბრობდეს. მათ ურჩევნიათ, ხმამაღლა იყვირონ იმ პრობლემებზე, რომლებსაც სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ჩინეთშიც, ხედავენ“.**

იმავე სულისკვეთებით გამოვიდა ეგვიპტის პროსახელისუფლო ტელეარხის ტელეკომენტატორიც. „აშშ-ს უფლება არ აქვს, სხვა ქვეყნებისგან ითხოვდეს ანგარიშებს ადამიანთა უფლებების დაცვის თაობაზე, რადგან ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ მათ არაფერი გაეგებათ ადამიანთა უფლებებისა“, — განაცხადა ტამარ ამინმა კერძო სატელევიზიო ქსელის ეთერით.

**სენატის კომიტეტის ანგარიში სწორედ იმ დროს გამოქვეყნდა, როდესაც მსოფლიოში აშშ-ის რეპუტაციას ისედაც სერიოზული ზიანი ჰქონდა მიყენებული მთელი რიგი გარემოებების გამო.** მათ შორისაა სატელეფონო საუბრების არასანქცირებული მოსმენების ფაქტის გამოაშკარავება, საომარ ოპერაციებში უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება, ასევე, პრესაში ფართოდ გაშუქებული რასობრივი დაპირისპირებებით განპირობებული ქვეყნის შიდა არეულობები.

**მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში ადამიანების მიმართ წამებისა და ძალადობის გამოყენების მრავალი ფაქტის შესახებ მანამდეც იყო ცნობილი, ანგარიშში მოყვანილმა საშინელმა დეტალებმა, სხვა მხილებებისგან განსხვავებით, საზღვარგარეთ, შესაძლოა, არნახული რეზონანსი გამოიწვიოს.**

პარაკილასის თქმით, გამოვლენილი დეტალებიდან მრავალი ძალზე უსიამოვნო იქნება ვაშინგტონის მოკავშირეებისთვის და შემაკავებელ ფაქტორად იქცევა შემდგომი თანამშრომლობისთვის სწორედ მაშინ, როდესაც აშშ და სხვა დასავლური ქვეყნები სერიოზულად არიან შეშფოთებული ისლამური სახელმწიფოს მოძლიერებით.

მოსალოდნელია ახალი შეზღუდვების დაწესება სადაზვერვო მონაცემების გაცვლასთან და ოპერატიული მოღვაწეობის გასაიდუმლოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ანგარიში შეიძლებოდა ქცეულიყო აშშ-ის მოკავშირეებზე ზეწოლის საშუალებად, რათა მათ უფრო ღიად გაეშუქებინათ ამერიკულ პროგრამებში საკუთარი მონაწილეობის დეტალები. იმ გამოძიების შედეგად, რომელიც გასულ წელს ფონდმა „ღია საზოგადოებამ“ ჩაატარა, გაირკვა, რომ ეგრეთ წოდებულ დამნაშავეთა გადაცემის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა ეჭვმიტანილების საიდუმლო ტრანსპორტირება წამების მეთოდების რეგულარულად გამომყენებელ ქვეყნებში, მონაწილეობდა მსოფლიოს 54 ქვეყანა.

# სენატის კომიტეტის ანგარიში სწორედ იმ დროს გამოქვეყნდა, როდესაც მსოფლიოში აშშ-ის რეპუტაციას ისედაც სერიოზული ზიანი ჰქონდა მიყენებული მთელი რიგი გარემოებების გამო

ძირითად მონაწილეთა შორის აღმოჩნდა ბრიტანეთი, რომელიც პასუხს აგებდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებასა და ლოჯისტიკაზე. ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ ჩაატარებდა საკუთარი მონაწილეობის ფაქტების საგულდაგულო გამოძიებას, მაგრამ ეს გამოძიება მუდმივად გადადებულ საქმეთა სიაშია.

„დიდი ბრიტანეთი მუდამ ჩამორჩება სხვებს, როდესაც საქმე საკუთარი ქმედებების გამოძიებას შეეხება“, — აცხადებს ლონდონის უფლებადამცველი ორგანიზაციის — Reprieve-ის წარმომადგენელი დონალდ კემპბელი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კემერონი ერთ-ერთი პირველი იყო იმ მსოფლიო ლიდერებს შორის, რომლებმაც სენატის ანგარიშზე რეაგირება მოახდინეს. მან განაცხადა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მომხდარი ბევრი რამ უკანონო იყო და ნათელი უნდა იყოს, რომ ეს ქმედებები არამართლზომიერია.

მიუხედავად ანგარიშში აღწერილი ცსს-ს ქმედებების მიმართ საყოველთაო ზიზღისა, აშშ-ის ხელისუფლების მისამართით თავშეკავებული მხარდაჭერის სიტყვებიც გაისმა იმის გამო, რომ მან მაინც მოახერხა აღიარება.

თავის სტატიაში, რომელიც გერმანულ მემარჯვენეცენტრისტულ ყოველდღიურ გაზეთში Frankfurter Allgemeine Zeitung გამოაქვეყნა, კომენტატორმა ნიკოლას ბუსმა დაწერა, რომ ანგარიშის გამოქვეყნება სწორი ნაბიჯია. „მხოლოდ ამგვარი ზომების წყალობით შეძლებს აშშ — ქვეყანა, რომელიც საკუთარ თავს მაღალზნეობრივ და პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოდ მიიჩნევს — დაიბრუნოს ნდობა, რომელიც უმცროსი ბუშის ადმინისტრაციამ ასე წინდაუხედავად დაკარგა“, — წერს იგი.

**მაგრამ მთელი მსოფლიოს უფლებადამცველებმა აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდეს, არ შეჩერდეს ამ საკითხზე — არ შემოიფარგლოს ადამიანთა წამებისა და ძალადობის ფაქტების გამოაშკარავებით, არამედ დააწესოს აღნიშნული ქმედებებისთვის იურიდიული პასუხისმგებლობა.**

გაეროს საბჭოს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანთა უფლებების საკითხებში — ბენ ემერსონმა ჟენევიდან გაკეთებულ მიმართვაში აშშ-ს მოუწოდა, ბრალდება წაუყენოს ბუშის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებს, რომლებმაც პატიმრების წამების ბრძანებები გასცეს.

„საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, აშშ იურიდიულად ვალდებულია, ეს პირები პასუხისგებაში მისცეს“, — განაცხადა ემერსონმა.

ერთ-ერთმა ყოფილმა პატიმარმა განაცხადა, რომ ცუდი არ იქნებოდა, თუ ყველაფრის გამო ბოდიშს მოუხდიდნენ.

„დაზარალებულებისა და მათი ოჯახების ცხოვრებაში, მათ შორის ჩემი ოჯახის ცხოვრებაში, ყველაფერი თავდაყირა დადგა, — ამბობს გუანტანამოს ყოფილი პატიმარი მოაზამ ბეგი, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას მხარდაჭერის პროგრამას პატიმართა უფლებების დამცველ ორგანიზაციას, — მაგრამ ამ დანაშაულებათა ჩამდენთაგან ჩვენ არ გაგვიგია არც ბოდიში, არც სინანულის გამომხატველი სიტყვები და პირებს, რომლებიც ამ ყველაფერზე არიან პასუხისმგებელნი, რაიმე სასჯელიც არ მოუხდიათ“.

The Washington Post

მოკლედ



## ბრიტანელმა მილიარდერმა თავი მოიკლა

**ლონდონში საკუთარი სახლის ფანჯრიდან გადმოხტა ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი, ბიზნესმენი სკოტ იანგი, რომელიც ბორის ბერეზოვსკის მეგობარი და ბიზნესპარტნიორი იყო.** პოლიცია მკვლელობის ვერსიას გამორიცხავს, სუიციდის კი მეგობრებსა და კოლეგებს არ სჯერათ. მეგობრებისთვის ცნობილია, რომ სკოტ იანგი მოსკოვში უძრავი ქონების შესყიდვის შემდეგ გაკოტრდა. ზოგიერთი მონაცემით, მისი ქონება ოფშორულ ზონებში ინახება. ერთ-ერთი ვერსიით, თვითმკვლელობის მიზეზი შეიძლება მილიონობით ვალი და ყოფილ მეუღლესთან განქორწინების დაუსრულებელი პროცესი გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს სკოტ იანგმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, მას ფუფუნებაზე უარი არასდროს უთქვამს: სადილობდა ყველაზე ძვირადღირებულ რესტორნებში, ჰყავდა 31 წლის მეგობარი — მოდელი ნოელ რენო და ცხოვრობდა ფეშენებელურ სახლში.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერაყში მძვინვარე ისლამური სახელმწიფოს ბოევიკები ავღანეთში და ოპიუმის წარმოების არნახული ზრდა ამ ქვეყნებისთვის ნამდვილი უბედურებაა. აი, რეალური შედეგები და განა ამას სტაბილურობა ჰქვია?**

# მითი, რომლის გამოც აშშ ახლო აღმოსავლეთიდან ვერ მიდის

**არ დაუჯეროთ ვაშინგტონის პოლიტიკური წრეების გაბატონებულ თვალსაზრისს ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების შესახებ — ამერიკას იქ არანაირი ინტერესები არ გააჩნია.**

„ერაყი აღარ არსებობს“, — ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც რესტორანში კაპუჩინოს მიირთმევს, მთელი სერიოზულობით ამბობს ამას. რესტორანი იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს მანჰეტენის ზემო ვესტ-საიდზე.

ამ კაცის თვალსაზრისი პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება. ჩადგა რა სამხედრო სამსახურში, იგი ორჯერ იყო ერაყში, როგორც მსროლელი ნაწილის სამხედრო მოსამსახურე გენერალ პეტრეუსის ცნობილი „დაჯგუფების გაძლიერების“ წინაც და შემდეგაც. არმიიდან წასვლის შემდეგ მან ასპირანტურაში ჩააბარა და ახლა დისერტაციას წერს მეამბოხე პარტიზანული მოძრაობების შესახებ. აირჩია რა ერთერთი მაგალითის სახით ერაყში ამერიკის ომი, ეს ადამიანი კვლავ დაბრუნდა ერაყში თავისი კვლევების დასასუსტებლად. როგორც მკვლევარს, მას მშვენიერი შესაძლებლობები აქვს, კრიტიკულად შეაფასოს ახალ პირობებშიც განგრძობადი კრიზისი, როდესაც „ისლამური სახელმწიფო“ აღარ აძლევს ამერიკელებს საშუალებას, მსოფლიოს მოაჩვენონ, ერაყის ომი თითქოს დასრულდა.

თუ ჟურნალისტ კრის ხეჯესის სიტყვების პერიფრაზს მოვახდენთ, **ამერიკელთა გარკვეული ჯგუფისთვის ერაყი არის საქმე, რომელიც ცხოვრებას აზრს აძლევს. სამხედრო სამრეწველო კომპლექსისთვის ხომ, საერთოდ, ციური მანანაა, რომელიც განაგრძობს ცვენას.**

ამგვარი თვალსაზრისით, ერაყის ხელისუფლება განაგრძობს ქვეყნის მართვას, ერაყის არმია კვლავაც საბრძოლო ძალად რჩება და წარმოადგენს მთელ ხალხს, ერაყელ ხალხს კი გულწრფელად სჯერა საკუთარი თავის, როგორც კოლექტიური წარსულისა და ნათელი მომავლის მქონე საზოგადოების.

ეს ყველაფერი დამატებით მტკიცებულებებს მოითხოვს, მაგრამ ჩამოთვლილი მტკიცებულებიდან თითოეულში ოდესღაც სიმართლის მარცვალი მართლაც იყო. მაგრამ, როდესაც 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატები შეიჭრა ერაყში და, როგორც იწინასწარმეტყველა კიდეც მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა, დაარღვია მშვიდობა, ყველა ის უპირატესობა, რომელთაც ის მანამდე ფლობდა, უმალ გაიფანტა.

ამერიკელი ოკუპანტების მრავალწლიანმა ძალისხმევამ, შეექმნათ ახალი ერაყი ძველის ნანგრევებზე, ძალზე ცოტა ღირებული შექმნა და, საერთოდ, ვერაფერი შექმნა მდგრადი, მაგრამ ვაშინგტონში დღემდე ცოცხლობს რწმენა, რომ, თუ უკეთ ეცდებიან, რაღაც შეიძლება შეიცვალოს. ცხადია, ეს რწმენა გავლენას ახდენს ახალ ამერიკულ ინტერვენციაზე, რომლის მიზეზიც ისლამური სახელმწიფოს გაძლიერება გახდა.

ამ ყველაფრის გამო, როდესაც Washington Post-ის კარგად ინფორმირებული და ჩვეულებრივ ჯანსაღად მოაზროვნე მიმომხილველი დევიდ იგნატიუსი მსჯელობს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს აშშ-მა, რათა ერაყის მესამე ომი სწორად წარიმართოს, იგი შემდეგ „აზრობრივ ჩამონათვალს“ წარმოადგენს: ბაღდადში აშშ-მა ხელი უნდა შეუწყოს უფრო სუფთა და ნაკლებად ფრაქციული ხელისუფლების ჩამოყალიბებას; უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იქნება არმიის გარდაქმნა; იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს შიდა ფრაქციულობას, საჭიროა გამოინახოს მეთოდები ქურთების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და სუნიტების ნდობის აღსადგენად.

იგნატიუსი არ თვალთმაქცობს, როდესაც ამბობს, რომ ეს ყველაფერი იოლი საქმე იქნება. იგი, უბრალოდ, ამტკიცებს, რომ ამ ყველაფრის გაკეთება აუცილებელია, შესაბამისად — შესაძლებელიც. იგნატიუსი იზიარებს ილუზიას იმის შესახებ, რომ ერაყი არის ან უნდა იყოს პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი და სოციალურად ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ ცხადია, ეს სხვა არაფერია, თუ არა სასურველის სინამდვილედ გასაღების მცდელობა.



**ამერიკელთა გარკვეული ჯგუფისთვის ერაყი არის საქმე, რომელიც ცხოვრებას აზრს აძლევს. სამხედრო სამრეწველო კომპლექსისთვის ხომ, საერთოდ, ციური მანანაა, რომელიც განაგრძობს ცვენას**

იგნატიუსის, ისევე, როგორც სხვა ზოგადად გონიერი, მაგრამ არარსებულის არსებობაში დაჯერებული ადამიანების მოსაზრებები ერაყზე ამერიკულ შეხედულებებს დიდად სცდება. ფანტაზიორობისკენ, ანუ რეალობის დამახინჯებისკენ ამგვარმა მიდრეკილებამ სრულად გაჟღინთა ამერიკის პოლიტიკა დიდ ახლო აღმოსავლეთში. აი, რამდენიმე მტკიცებულება, რომლებიც ვაშინგტონში უკვე კანონად იქცა:

ამერიკული ჯარის ყოფნა ისლამურ სამყაროში ამყარებს რეგიონულ სტაბილურობას და აძლიერებს აშშ-ის გავლენას;

სპარსეთის ყურე არის აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ზონა;

ეგვიპტე და საუდის არაბეთი არიან ღირებული და დაფასებული მოკავშირეები ამერიკისთვის;

აშშ-ისა და ისრაელის ინტერესები ემთხვევა;

ტერორიზმი წარმოადგენს უზარმაზარ საფრთხეს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უნდა ებრძოლოს.



უკვე რამდენიმე ათწლეულის მანძილზე პირველი ოთხი მტკიცებულება ქმნის ახლო აღმოსავლეთში ამერიკული პოლიტიკის საფუძველს. 11 სექტემბრის მოვლენებმა ჩამონათვალს შეჰმატა მეხუთე მტკიცებულება, მაგრამ ვერ განაპირობა პირველი ოთხის გადახედვა. ვერც ერთი მაღალი რანგის ამერიკელი ხელმძღვანელი და ვერც ერთი პოლიტიკოსი, რომლებიც გავლენიანი თანამდებობისკენ მიისწრაფვიან, ვერ გაბედავს, ხსენებულ საკითხებში განსხვავებული აზრი გამოხატოს, ყოველ შემთხვევაში — ოფიციალურად დააფიქსიროს ეს განსხვავებული აზრი.

სიტუაციის ნათლად წარმოსადგენად ზემოხსენებული მტკიცებულებებიდან თითეულის გაანალიზება მოგვიწევს.

დავიწყოთ **ამერიკული ჯარების განლაგებით**. ლიბანში აშშ-ის ინტერვენციის დასაწყისიდან, რომლის კულმინაციაც 1983 წლის ოქტომბერში ბეირუთის დაბომბვა გახდა, ამერიკული ჯარების შესვლას უმეტესად მუსლიმანი მოსახლეობით დასახლებულ ქვეყნებში იშვიათად თუ მოჰყოლია სტაბილურობის განმტკიცება. ყველაზე ხშირად ამგვარი ჩარევა პირდაპირ საპირისპირო შედეგს იძლეოდა.

ერაყი და ავღანეთი ორი სავალალო მაგალითია. გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის — დენიელ ბოლჯერის ახალი წიგნი Why We Lost ბოლოს და ბოლოს ნებადართულს ხდის ოფიციალური წრეებისთვის, რომ ეს ომები წაგებულად აღიარონ. თეორიულად რომ წარმოვიდგინოთ, თითქოს ამერიკის მცდელობები სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში სუფთა და კეთილშობილური იყო, როგორც ამას ყველა მორიგი პრეზიდენტი ირწმუნება, წინამორბედის მსგავსად, შედეგები მაინც უფრო დესტრუქციულია, ვიდრე კონსტრუქციული. **ერაყში მძვინვარე ისლამური სახელმწიფოს ბოევიკები ავღანეთში და ოპიუმის წარმოების არნახული ზრდა ამ ქვეყნებისთვის ნამდვილი უბედურებაა. აი, რეალური შედეგები და განა ამას სტაბილურობა ჰქვია?**

არსებობს უამრავი სხვა მაგალითიც. ოპერაციის „ქარბუქი უდაბნოში“ შემდეგ საუდის არაბეთში ამერიკული ჯარის განლაგების გადაწყვეტილებას დამამშვიდებელი ეფექტი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ამან საცხოვრებელ კომპლექს „ხაბარ ტაუერში“ აფეთქება განაპირობა. 1992 წელს სომალიში ამერიკელი ჯარისკაცების გაგზავნა უნდა ყოფილიყო ლატაკ მოშიმშილე მუსლიმანებზე ამერიკელების მზრუნველობის დემონსტრირება. მაგრამ ამან მოგადიშოში სროლები და „შავი ქორის“ ავბედითი ჩამოვარდნა განაპირობა, რამაც ამერიკული მისია ჩაშლისთვის გაწირა.

მიუხედავად ყველაფრისა, სიცრუე და თავის მოჩვენება, **თითქოს ამერიკული ჯარების განლაგება ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ცხელ წერტილში სიმშვიდის საწინდრად იქცა, კვლავაც ცოცხლობს. უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ამგვარი ქმედებები ამერიკის მოწინააღმდეგეებისთვის სამიზნეებით მდიდარ გარემოს ქმნის,** როგორც ამას ჯარისკაცები ამბობენ ხოლმე. ამასთან, სამიზნეები თავად ამერიკელები ხდებიან.

**სპარსეთის ყურის** ▶



## Facebook-ი მთვრალების ფოტოებთან ბრძოლას იწყებს

**Facebook-ი მუშაობს პროგრამაზე, რომელიც სოციალურ ქსელში მთვრალების ფოტოების გამოქვეყნებას შეზღუდავს.** ამოცნობის სისტემა და ხელოვნური ინტელექტის პროგრამა შეძლებს, გაარჩიოს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფთა მიერ გადაღებული სელფები. თუ მომხმარებელი ასეთი ფოტოს გამოქვეყნებას გადაწყვეტს, სისტემა მას დაუსვამს კითხვას: „თქვენ მართლაც გინდათ, რომ ეს ფოტო თქვენმა უფროსმა ან დედამ ნახოს?“. კომპანიის ახალ პროექტზე Facebook-ის ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა იან ლეკანმა ისაუბრა. პროგრამა მომხმარებელს ასევე საშუალებას მისცემს, თვალი ადევნოს მისი ფოტოების ნებართვის გარეშე გამოყენებას.



მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იმის ნაცვლად, რომ ერაყში ნავთობმოპოვებაზე დარდობდეს, ვაშინგტონისთვის უმჯობესია, უზრუნველყოს უსაფრთხოება და კეთილდღეობა კანადაში, რომელიც დიდი რაოდენობით აწვდის ფიქლურ ნავთობს.

**მნიშვნელობა.** ერთ დროს სპარსეთის ყურეში ამერიკის ინტერესებისათვის მართლაც შეიძლებოდა მნიშვნელოვანი გვეწოდებინა, მაგრამ მსოფლიოში ცვალებადმა ენერგეტიკულმა სურათმა ამ თვალსაზრისის დეაქტუალიზება განაპირობა. ეკოლოგიისთვის ცუდი ამბები კარგ ამბებად იქცა აშშ-ის სტრატეგიისთვის, რადგან გაჩნდა მოქმედებათა ახალი ვარიანტები. მოწინავე ტექნოლოგიებმა კვლავაც აქცია აშშ უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ ქვეყნად. აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა ბუნებრივი გაზის მოპოვების სფეროშიც. როგორც ჩანს, ის გიჟები, რომლებიც ყვიროდნენ, „ბურღეთ, ბიჭებო, ბურღეთ“, მართალნი იყვნენ, რადგან პლასტების ჰიდროგახლეჩვის მეთოდით ნავთობმოპოვებამ ყველაფერი შეცვალა. ასეა თუ ისე, სავარაუდო ენერგეტიკული დამოკიდებულება და „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები“, რამაც 1980-იან წლებში ჯიმი კარტერს აიძულა ეთქვა, რომ სპარსეთის ყურისთვის ღირდა ომი, დღეს აქტუალური აღარაა.

სპარსეთის ყურის ნავთობისადმი წვდომა ზოგიერთი ქვეყნისთვის კვლავაც უკიდურესად მნიშვნელოვანია, მაგრამ არა აშშ-ისთვის. როდესაც საუბარია ამერიკელების უგუნური და თავქარიანი ცხოვრების წესის შენარჩუნებაზე, ტეხასი და ჩრდილოეთ დაკოტა მნიშვნელოვნებით აჭარბებს საუდის არაბეთსა და ქუვეითს. **იმის ნაცვლად, რომ ერაყში ნავთობმოპოვებაზე დარდობდეს, ვაშინგტონისთვის უმჯობესია, უზრუნველყოს უსაფრთხოება და კეთილდღეობა კანადაში, რომელიც დიდი რაოდენობით აწვდის ფიქლურ ნავთობს.** და თუ მილიტარისტების მისწრაფება, გაზარდონ ამერიკის ნავთობრეზერვები, დაუძლეველი გახდება, უჯობთ, ვენესუელას დაესხან თავს, ვიდრე ირანთან იომონ. სჭირდება კი სპარსეთის ყურეს კონტროლი და წესრიგის დაცვა, რასაც გარეშე ძალები უზრუნველყოფენ? — შესაძლოა. მაგრამ, თუ ეს ასეა, დაე, ამ საქმით ჩინეთი დაკავდეს. ამ შემთხვევაში ის თავის ეშმაკობებს შეეშვებოდა.

**არაბი მოკავშირეები.** დროა, ახლებურად შევხედოთ აშშ-ის ურთიერთობას ეგვიპტესა და საუდის არაბეთთან. ამ მნიშვნელოვანი არაბული ქვეყნების მოკავშირეთა კატეგორიაში შეყვანა ცალსახად შეცდომაა. არც ერთი და არც მეორე არ იზიარებს იმ ღირებულებებს, რომელთაც ვაშინგტონი, მისივე განცხადებების თანახმად, ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ათწლეულების განმავლობაში საუდის არაბეთი დედამიწაზე ყველაზე მეტად განასახიერებს აბსოლუტურ მონარქიას, ავითარებს დასავლეთის საწინააღმდეგო რადიკალურ ჯიჰადიზმს და არც თუ უშედეგოდ. ნიუ იორკის მკვიდრთ კარგად ახსოვთ ორი მნიშვნელოვანი რიცხვი, რომლებიც საუდის არაბეთს უკავშირდება: 15 და 19. შეთქმულთა ჯგუფს, რომელიც მხოლოდ რუსებისგან იქნებოდა შემდგარი, სრულად რომ გაენადგურებინა რამდენიმე ათასი ამერიკელი, აპატიებდა ამერიკის ხელისუფლება ამას კრემლს? ექნებოდა თუ არა ამ ფაქტს გავლენა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე? — ეს კითხვები თავად იძლევა პასუხებსაც.

ამასობაში დემოკრატიასთან მოკლევადიანი ფლირტის შემდეგ ეგვიპტე კვლავაც იქცა იმად, რაც ადრე იყო: კორუმპირებულ და რეპრესიულ სამხედრო დიქტატურად, რომელიც არ იმსახურებს ვაშინგტონის მიერ წლიდან წლამდე მიცემულ მრავალმილიონიან დახმარებას.

**ისრაელი.** აშშ-ს ისრაელთან არც თუ ცოტა საერთო ინტერესი აქვს, მაგრამ მათ შორის არ არის პალესტინის პრობლემის „ორსახელმწიფოებრივი გადაწყვეტისადმი“ მხარდაჭერა. ამ საკითხში ვაშინგტონისა და თელ-ავივის მიზნები ძალიან განსხვავებულია.

ისრაელის ხელისუფლებისათვის, რომელიც უსაფრთხოების ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს, პალესტინის სახელმწიფო იქცევა წარმონაქმნად, რომელიც დაუცველი დარჩება, შეზღუდული სუვერენიტეტი და მინიმალური ეკონომიკური პოტენციალი ექნება. ეს თვალნათელი ხდება, თუ შევხედავთ ისრაელის განგრძობად თავდასხმებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რასაც ის აშშ-ისთვის მიფურთხების შედეგად ახორციელებს.

რა თქმა უნდა, ისრაელის სახელმწიფოს აქვს სრული უფლება და ვალდებულება, აამაღლოს საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობა. ეგივე ვალდებულება აქვთ ამერიკელ ხელმძღვანელებს: მათ ამერიკელების ინტერესების შესაბამისად უნდა იმოქმედონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ-მა უარი უნდა თქვას ისრაელის თანამზრახველის როლზე, როდესაც ეს უკანასკნელი ამერიკული ინტერესების საპირისპიროდ იქცევა.

„მშვიდობიანი პროცესი“ ფიქციაა. რატომ უნდა იტყუებდეს თავს აშშ, რომ ეს ასე არ არის? ეს დამამცირებელია.

**ტერორიზმი.** ისევე, როგორც დამნაშავეობა ან გადამდები დაავადებები, ამ პლანეტაზე ტერორიზმი მუდამ იარსებებს. გადამდები დაავადებების აფეთქებებისას საფრთხის შესაჩერებლად გაწეული ოპერატიული და ეფექტური ქმედებები ცხოვრებას ნორმალურ რიტმში აბრუნებს. ჯანსაღი აზრი მოითხოვს ბალანსის პოვნას რეალურად არსებულ საფრთხესა და მათ სალიკვიდაციოდ მიმართულ ძალისხმევას შორის. ზრდასრულ ადამიანებს ეს ესმით. მათ არ სჯერათ, რომ ამერიკულ ქალაქებში დამნაშავეობა ნულოვან ნიშნულამდე დავა, მათ არ სჯერათ, რომ ყველა ადამიანი მუდმივად ჯანმრთელი იქნება. სტანდარტი, რომლისკენაც ისინი მიისწრაფვიან, არის „მისაღები დონე“.

**ეჭვი არ არის, ტერორიზმი ნამდვილად ემუქრება ამერიკელებს, განსაკუთრებით, თუ ისინი დიდი ახლო აღმოსავლეთისკენ მიემართებიან. მაგრამ ტერორიზმის განადგურებისკენ მისწრაფება იმავე კატეგორიის ამოცანაა, როგორიც გაუნათლებლობის ან უსახლკარობის ამოძირკვა იქნებოდა.** მაღალი და კეთილშობილური მიზნების დასახვა კარგია, მაგრამ საჭირო არ არის გაოცება, თუ შედეგები მოსალოდნელზე ნაკლები იქნება.

ტერორიზმის განადგურება ქიმერაა. ეს არ მოხდება. ამერიკელმა სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელებმა უნდა აღიარონ ეს.

ის ახალგაზრდა, რომელიც კვლევების გასაგრძელებლად ერაყში ბრუნდებოდა, სავარაუდოდ, დაიცავს თავის დისერტაციას, მაგრამ ამერიკის დედაქალაქში მისთვის სამუშაო ადგილი ვერ მოიძებნება. ჯარისკაცი, რომელიც მეცნიერად იქცა, „რეალურად მოაზროვნე საზოგადოების“ წევრია, ვაშინგტონში კი რეალობისთვის არავის სცალია, ისინი საკუთარ სამყაროში არიან დაკარგული...

**The American Conservative**

## ეჭვი არ არის, ტერორიზმი ნამდვილად ემუქრება ამერიკელებს, განსაკუთრებით, თუ ისინი დიდი ახლო აღმოსავლეთისკენ მიემართებიან



# «ისლამური სახელმწიფო» ლიბიაში მკვიდრდება

**სირიისა და ერაყის შემდეგ „ისლამურმა სახელმწიფომ“ ლიბიაში დაიწყო მომაგრება. ამერიკელი გენერლის ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა ქვეყნის აღმოსავლეთში შექმნეს საწვრთნელი ბანაკები, რომელთაც ახლა აშშ-ის არმია უთვალთვალებს. როგორც ახლახან აშშ-ის შეიარაღებული ძალების ავლანური სარდლობის მეთაურმა დევიდ როდრიგესმა პრესას აცნობა, ლიბიის ტერიტორიაზე საწვრთნელ ბანაკებში დაახლოებით 200 ექსტრემისტია.**





რადიკალური ელემენტები კირენაიკეში გუშინ არ გაჩენილან. მუამარ კადაფის ჩამოგდების შემდეგ ქალაქი დერნა ექსტრემისტების — ამჟამად ტერორისტული ორგანიზაციების გაეროს სიაში შემავალი მოძრაობის „ანსარ აშ-შარიას“ ბოევიკების ხელში აღმოჩნდა, მათ კი ქალაქი ისლამურ ემირატად აქციეს. ცოტა ხნის წინათ იქ ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებიც გამოჩნდნენ.

ზოგიერთი დასავლელი დამკვირვებელი ამ 150-ათასიან ქალაქს „ისლამური სახელმწიფოს“ მესამე „ფრანშიზად“ მიიჩნევს, აფრიკაში ალჟირულ „ჯუნდ ალ-ხალიფასა“ და ეგვიპტურ „ანსარ ბეიტ ალ-მაკდისთან“ ერთად. ბოლოდროინდელ აუდიოჩანაწერში, რომელზეც, როგორც მიიჩნევენ, ისმის აბუ ბაკარ ალ-ბაღდადის ხმა, ისლამური სახელმწიფოს ლიდერი ხალიფატის გაფართოებით და ლიბიელი, ეგვიპტელი, იემენელი, ალჟირელი საუდის არაბეთის რადიკალების მხრიდან ერთგულების ფიცით იკვეხნის. სოციალურ ქსელებში, ასევე, გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ლიბიელი ისლამისტები „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდნენ.

„ეს ყველაფერი დიდი ხანია ცნობილი: ისლამური სახელმწიფო გამაგრდა დერნაში, უკიდურეს შემთხვევაში, იქ არიან მისი მხარდამჭერი ჯგუფები. ყველამ იცის, რომ მათ ისლამურ სახელმწიფოს ერთგულება შეჰფიცეს“, — განაცხადა სატელეფონო საუბრისას ნაციონალური შერიგების საბჭოს წევრმა შეიხმა აბდელ ალ-ფაიდიმ. მისი თქმით, „უკანასკნელი სამი თვის მანძილზე მათ გაიტაცეს და მოკლეს რამდენიმე ადამიანი. ეს ადამიანები სარგებლობენ პოლიტიკური ქაოსით, რათა საკუთარი მდგომარობა გაიმყარონ“. ამჟამად ლიბია ნაფლეთებად იგლიჯება ორ პარლამენტსა და ორ მთავრობას შორის (ერთი ტრიპოლშია, მეორე კი — ტობრუკში), რომლებიც ერთმანეთს ხელისუფლებას ედავებიან უწყვეტი სისხლისღვრის ფონზე.

შეიხმა ასევე დაადასტურა საწვრთნელი ბანაკების არსებობაც: „თავდაპირველად ისინი დარნაში დამკვიდრდნენ გეოგრაფიული გეგმიდან გამომდინარე — მთიანი რელიეფი ართულებს იქ მიმდინარე ოპერაციების კონტროლს. ცოტა ხნის წინათ მათ ქალაქის ცენტრამდე მიაღწიეს და უკვე აღარავისგან იმალებიან. შეიხის განმარტებით, რადიკალების რაზმები გამოირჩევა მრავალრიცხოვნებით და მოიცავენ სხვადასხვა ეროვნების ბოევიკებს, რომლებმაც დანიშნულების ადგილამდე ზღვით ჩააღწიეს.

მიუხედავად ამისა, ამერიკელი გენერალი როდრიგესი ირწმუნება, რომ ლიბიაში ისლამური სახელმწიფოს ბოევიკები უცხოეთიდან ჩასული მოხალისეები კი არა, ადგილობრივები არიან. მისივე მტკიცებით, ბანაკები სულ ახლახან გაჩნდა, მათი რაოდენობა ჯერჯერობით ძალიან მცირეა და ჩარევის პერსპექტივაზე ამ ეტაპზე საუბარიც არ არის.

**Le Figaro**

მოკლედ



## ისრაელის სამხედროებთან შეტაკებების შედეგად პალესტინელი მინისტრი დაიღუპა

**პალესტინელებსა და ისრაელის სამხედროებს შორის შეტაკებების შედეგად პალესტინელი მინისტრი ზიად აბუ ეინი დაიღუპა.** დაპირისპირება იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მოხდა. ექიმების თქმით, მინისტრი ცრემლსადენი გაზით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა. სხვა ინფორმაციას ავრცელებენ თვითმხილველები, რომელთა მტკიცებით, მინისტრს გაზის ბალონი ჩაარტყეს. პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა მინისტრის დაღუპვას ბარბაროსული მოქმედება უწოდა და ისრაელს საპასუხო ზომების მიღებით დაემუქრა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გაკოტრებული ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ სტაბილური სამუშაო ან სხვა რამე შემოსავალი, რჩებიან უიმედოდ, რაც საზოგადოების სტაბილურობას საფრთხეს უქმნის“.**



ჰამლეტ გეგია:

# ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური და პროფესიული განათლების დონე უნდა ამაღლდეს!

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე ჰამლეტ გეგია უმუშევრობაზე, განათლების პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებზე, აგრეთვე, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებზე გვესაუბრება.**

**— 2014 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეებს 10 მილიარდი ლარის ვალი აქვს ბანკების. ბანკები კი ვალების რესტრუქტურიზაციაზე არ მუშაობენ...**

— ზემოგებებზე ორიენტირებულმა ბანკების საფინანსო პოლიტიკამ შედეგი გამოიღო და **გვყავს გაღატაკებული ფენა, რომელიც იმართება არა მხოლოდ მის მიერ არჩეული მთავრობისგან, არამედ ბანკებისგანაც. სამწუხაროდ, მთავრობაც კი უძლურია, გადაჭრას კრედიტორებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები.**

ევროპაში თუ ბანკი ჩათვლის, რომ ბიზნესპროექტი კარგია, თვითონ დაიკისრებს პასუხისმგებლობას მის განხორციელებაზე, ზრუნავს პროექტის ავტორის ბიზნესზე და ხელს უწყობს მას, როგორც ექიმი ავადმყოფს გამოჯანმრთელებაში. საქართველოში კი კომერციული ბანკები, ძირითადად, ორიენტირებული არიან ზემოგებაზე და იპოთეკურ სესხებზე. **ქონება, რომელიც უნდა ჩაიდოს ბანკის გარანტიის იპოთეკაში, მრავალჯერ აღემატება მის საბაზრო ღირებულებას, ანუ ბანკი ქონებას საბაზრო ფასებთან შედარებით დაბალ ფასად აფასებს, რადგან დაინტერესებულია, იპოთეკარების ქონება ხელში მუქთად ჩაიგდოს. ამას ემატება მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც კიდევ უფრო ამძიმებს ბიზნესპროექტების განხორციელებას.** თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობის პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ გამოკვეთილი არ არის, ძირითადად, ვიღებთ იმ შედეგს, რომელიც კომერციულ ბანკებს აძლევთ ხელს. კოტრდებიან ბიზნესპროექტის ავტორები, კლიენტები, სამაგიეროდ, ზემოგებას იღებენ ბანკები. საქართველოში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ბანკის ვალი აქვს, მათი დიდი ნაწილი იპოთეკური სესხებია, დასაქმების მდგომარეობა კატასტროფულია. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში მოსახლეობის მდგომარეობა სავალალოა — მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბდება მცირე ჯგუფის სასარგებლოდ, რაც შეიძლება სერიოზული გამოწვევებით დასრულდეს. **გაკოტრებული ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ სტაბილური სამუშაო ან სხვა შემოსავალი, რჩებიან უიმედოდ, რომელიც საზოგადოების სტაბილურობას საფრთხეს უქმნის.**

**— ამ მდგომარეობიდან გამოსავალი როგორ უნდა ვიპოვოთ?**

— რაც შეეხება ჩვენი საზოგადოების ამ მდგომარეობიდან გამოსვლას, **სახელმწიფომ ნაწილობრივ მაინც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, შეასრულოს შუამავლის ფუნქცია და იყოს გარანტი იმისა, რომ თუნდაც კანონის ძალით მოხდეს ამ სესხების გადავადება. სახელმწიფო და საბანკო სექტორი უნდა ზრუნავდნენ დასაქმებაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს იმედი რომ მისცენ, თავიანთი შრომით შეძლონ ვალების გადახდა და არ გაკოტრდნენ.** საქართველო სამომავლოდ აუცილებლად გახდება ამიერკავკასიის საფინანსო ცენტრი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო და ჩვენი საზოგადოება უნდა ცდილობდნენ საბანკო სექტორის გაძლიერებას, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი მოსახლეობის გაღარიბების ხარჯზე. საქართველოს მთავრობას აქვს რესურსი იმისა, რომ ხელი შეუწყოს საბაკო სფეროს განვითარებასაც და თავისი მოქალაქეების დასაქმებასაც. ამ თვალსაზრისით საჭიროა, სახელმწიფომ გაატაროს რეფორმები ბანკებისა და საზოგადოების მხარდაჭერითა და მონაწილეობით.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა ამაღლდეს ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური და პროფესიული განათლების დონე!

**— წინა ხელისუფლების პერიოდში თქვენი ინიციატივით შეიქმნა ანტიკრიზისული საბჭო და რამდენიმე ადამიანი იხსენით ბანკების ე. წ. შავ სიაში მოხვედრისგან...**

— **პირველი საკითხი, რომელიც „საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა“ შეისწავლა ექსპერტებთან ერთად, იყო ბანკების მიერ ე. წ. შავ სიაში შეყვანილი 300 000 მოქალაქის საკითხი, ძირითადად, ახალგაზრდების, რომლებიც გადახდის უუნარონი გახდნენ, რადგან 2008 წლის ომის შემდეგ ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და ბანკებმა არათუ გაითვალისწინეს მათი მდგომარეობა, არამედ შავ სიაში შეიყვანეს.** ჩვენ მივმართეთ პრეზიდენტსა და მთავრობას, მოეხდინათ რეაგირება ამ უსერიოზულეს პრობლემაზე, გაეთვალისწინებინათ ფორსმაჟორული სიტუაცია და ეშუამდგომლათ ბანკებთან მათი მდგომარეობის შეცვლის მიზნით. ჩვენდა გასაოცრად, **მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაიბარა ბანკების ხელმძღვანელები, მიაღწიეს შეთანხმებას, რომ „შავი სიებიდან“ ამოეღოთ ეს ახალგაზრდები, მიეცათ მათთვის დასაქმების საშუალება და გაეთავისუფლებინათ კაბალური მდგომარეობიდან.** როგორც ჩემთვის ცნობილია, ნაწილმა დაფარა ვალი, რადგან დიდ თანხებზე არ იყო საუბარი; ნაწილს შეუმცირეს, ხოლო ზოგს ჩამოაწერეს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, წინა მთავრობამ, მიუხედავად მისი ანტიეროვნული პოლიტიკისა, პრობლემა ნაწილობრივ მოაგვარა.

**— დასაქმება კვლავ პრობლემად რჩება, არც ამ მხრივ შეცვლილა რამე. რა რეფორმებია საჭირო ამ პრობლემის დასაძლევად?**

— ამას წინათ ვსაუბრობდი ახალგაზრდებთან და ერთ-ერთს ვკითხე: მაქვს შენი დასაქმების საშუალება და სად ისურვებ მუშაობას-მეთქი? პასუხი ვერ გამცა, მითხრა, დავფიქრდებიო. **პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ სამუშაო ადგილები არ იქმნება, არამედ ისიც, რომ საქართველოში ადამიანების უმრავლესობას არ აქვს ის პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებითაც დამსაქმებელს დააინტერესებს.** აქედან გამომდინარე, ვეთანხმები მთავრობის ინიციატივას, რომ უფასოდ მოხდეს მოსახლეობის პროფესიული განათლება, რა თქმა უნდა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ეს პრობლემაც სერიოზულად არის გასაანალიზებელი და მის მოგვარებას ხელი უნდა შეუწყოს მთავრობამ.

**«პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ სამუშაო ადგილები არ იქმნება, არამედ ისიც, რომ საქართველოში ადამიანების უმრავლესობას არ აქვს ის პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებითაც დამსაქმებელს დააინტერესებს»**

**— განათლების პრობლემის მოგვარების მექანიზმები თუ არის საქართველოში?**

— უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს (თუ აქამდე არ შექმნილა) შრომის ბაზრის მდგომარეობის შემსწავლელი ინსტიტუტები. უნდა განისაზღვროს შრომის ბაზრის პრობლემები, რათა დაბალანსდეს მოთხოვნა და მიწოდება. ჩემი აზრით, **განათლების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს პროფესიული განათლებისა და შრომის (ცოდნის) ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც აქტიურად უნდა ჩაება საზოგადოება, საქართველოში არსებული სამეწარმეო და ინტელექტუალური რესურსები.** რაც ძალიან მნიშვნელოვანია, **უნდა შეიქმნას ინფორმაციული ბანკი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად ვის რა შეუძლია, ვინ რომელ რომელ პროფესიას ფლობს, რომელ სფეროში სურს მუშაობა და რომელ პროფესიებზეა მოთხოვნა.** მაგრამ მხოლოდ განათლების სამინიტრო ამ საკითხს ვერ მოაგვარებს, თუ არ იქნა მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან, კონკრეტულად, ეკონომიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებიდან. საბოლოო ჯამში, პრემიერის თავმჯდომარეობით უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც საზოგადოებას წარუდგენს დასაქმების მოკლე და გრძელვადიან გეგმებს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. **თუ მთავრობა მოინდომებს და ექნება საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა, დასაქმების პრობლემები უახლოეს პერიოდში მოგვარდება.** ძალიან მნიშვნელოვანი იყო პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, როცა გამოთქვა მზადყოფნა, რომ წარმატებულ ახლგაზრდებს სახელმწიფო დააფინანსებდა და ხელს შეუწყობდა უცხოეთში განათლების მიღებაში. ამ ნიჭიერი ახალგაზრდების სამშობლოში დაბრუნების, მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენების წინაპირობას, რა თქმა უნდა, კონტრაქტი ქმნის.

**— როგორი უნდა იყოს საზოგადოების როლი ამ პრობლემების გადაწყვეტაში?**

— პირველ რიგში, მოქალაქეებმა უნდა გავაცნობიეროთ, რა პრობლემების წინაშე ვდგავართ. მხოლოდ მთავრობა კი არ უნდა ვაკრიტიკოთ, არამედ საკუთარი თავიც. **საზოგადოება უნდა წარმოაჩენდეს არა მხოლოდ პრობლემებს, არამედ მისი გადაწყვეტის გზებსაც და, რაც მთავარია, უნდა ახორციელებდეს მთავრობის მონიტორინგს.**

თუ არ გააქტიურდა სამოქალაქო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფინანსურად დამოუკიდებელი მედია და კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტები (თუ კიდევ შემოგვრჩა), შედეგი არ გვექნება.

ნებისმიერ საზოგადოებას ყოველთვის სჭირდება პიროვნული მაგალითი. **ვფიქრობ, რომ ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი აქტიურობით პიროვნულად უნდა აჩვენოს ქართველ საზოგადოებას, როგორ შეიძლება ჩვენი ქვეყნის განკურნება უმუშევრობის, უნდობლობისა და უიმედობის სენისგან.**

**«ბიძინა ივანიშვილმა თავისი აქტიურობით პიროვნულად უნდა აჩვენოს ქართველ საზოგადოებას, როგორ შეიძლება ჩვენი ქვეყნის განკურნება უმუშევრობის, უნდობლობისა და უიმედობის სენისგან»**

მთავრობას კი ხელი უნდა ედოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მაჯისცემაზე და შესაბამისად, უნდა ატარებდეს ქმედით ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. კერძოდ, უნდა გაჩნდეს მოკლე და გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ამ მხრივ მთავრობას საკმარისი რესურსი აქვს.

ესაუბრა
**დათო ქაქუთია**




## სამხედრო ალიანსი ირანის წინააღმდეგ

სპარსეთის ყურის 6 არაბული ქვეყანა — საუდის არაბეთი, ქუვეითი, ბაჰრეინი, ყატარი, ომანი და არაბეთის გაერთიანებული ემირატები — ერთიან სამხედრო ფლოტს და პოლიციას ქმნის. სუნიტი ქვეყნების ალიანსის მიზნად შიიტური ირანის მზარდი გავლენისა და ექსტრემისტული დაჯგუფებების შეკავება სახელდება. ამ შეთანხმებას მხარეებმა ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ „სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ სამიტზე მიაღწიეს. ერთიანი სამხედრო-საზღვაო ძალები შტაბ-ბინა ბაჰრეინში განლაგდება, რაც შემთხვევითი არაა, რადგან ბაჰრეინში განლაგებულია აშშ-ის მე-5 ფლოტი, რომელიც გაერთიანებული ფლოტის შტაბ-ბინის ირანისგან თავდაუსხმელობის გარანტიას აძლევს. რაც შეეხება ერთიანი პოლიციური ძალების შტაბ-ბინას, ის გაერთიანებული ემირატების დედაქალაქ აბუ-დაბიში განლაგდება.



**მისი მასწავლებლები, მეგობრები, ჯგუფელები, მეგობრების შვილები და შვილების მეგობრებიც უნივერსიტეტში იყვნენ და აი, ამის გამო იტვირთა ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცვლელი რექტორი, ანუ სიტყვა უფროს მეგობარზე

**წინამდებარე ტექსტი არც საზეიმო მილოცვაა და არც ოფიციალური სამადლობელი, უბრალოდ, რამდენიმე აუცილებელი შტრიხია იმ კაცის პორტრეტისთვის, რომელსაც უკან არასოდეს დაუხევია, თავისი სიმართლითა და პროფესიონალიზმით უვლია და ულევაწია! ვალდებულად ჩავთვალე თავი, რამდენიმე ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან მკითხველისთვის გამეზიარებინა. რა გამოვიდა, თვითონ განსაჯეთ.**



2014 წლის 7 დეკემბერს 75 წლის გახდა... 30 წლის წინათ, ძალიან დიდი უბედურების დღეებში გავიცანი — მის უახლოეს ძმაკაცს, გურამ ჩხაიძეს, თბილისის ზღვამ ორივე ვაჟი წაართვა, მათგან ერთ-ერთი ჩემი მეგობარი — კახა ჩხაიძე. იმ უბედურების დღეებშიც ყველა მას შეჰყურებდა. ასე მგონია, საძმაკაცოშიც პირველი იყო!

გავიდა წლები...

1991 წლის სექტემბერში უნივერსიტეტში 3 რექტორი დაინიშნა — თამაზ გამყრელიძე (ხუმრობით — ,,ერთდღიანი" რექტორი), ოთარ ჯაფარიძე (40 დღემდე) და შემდეგ — ის. რექტორი დაუნიშნეს უნივერსიტეტს. მან კი ,,დანიშვნა" არც საკუთარ თავს აკადრა და არც — უნივერსიტეტს; ჰო, არ აკადრა.

მერე ქვეყანა აირია. გარეთ გასვლა ლამის აღარ შეიძლებოდა. რის ლექცია, რა ლექცია... თუმცა ეს არ შეეხო უნივერსიტეტს, მისი წყალობით, მისი მეცადინეობითა და უნივერსიტეტის, უნივერსიტეტელების მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გამო. თვითონაც იქ არ გაიზარდა?! **მისი მასწავლებლები, მეგობრები, ჯგუფელები, მეგობრების შვილები და შვილების მეგობრებიც უნივერსიტეტში იყვნენ და აი, ამის გამო იტვირთა ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე.** გარეთ — ძვალ-რბილში რომ გაგატანს ისეთი სიცივე და სუსხი, ტრანსპორტზე საუბარიც ზედმეტია, **უნივერსიტეტში კი — თანდათან სითბო და წესრიგი, არავითარი ლექციის გაცდენა, არავითარი ხელფასის დაგვიანება. პრემია, მეცამეტე ხელფასი — მხოლოდ უნივერსიტეტში. ლექტორს უჭირს? — მისი მითითებაა, დახმარება გაუწიონ! ვინმე გარდაიცვალა? — დაკრძალვა უნივერსიტეტის ხარჯებით.** იქნებ ვინმეს ჰგონია, ზღაპარს ვყვები?! გვარ-სახელებს გეტყვით, თუ გნებავთ, მაგრამ აქ მათი ჩამოთვლა არც ეთიკურია და არც დრო და ფორმატია შესაფერისი!

თანდათან გათბა უნივერსიტეტის ყველა კორპუსი, მეცადინეობა შეუფერხებლად მიმდინარეობს, იხსნება ახალი ფაკულტეტები, კათედრები, სპეციალობები, ლაბორატორიები (ნეტავ, დღევანდელი უნივერსიტეტი იმის მეასედი იყოს, რაც 2004 წელს იყო!).

## 1991 წლის სექტემბერში უნივერსიტეტში 3 რექტორი დაინიშნა — თამაზ გამყრელიძე (ხუმრობით — ,,ერთდღიანი" რექტორი), ოთარ ჯაფარიძე (40 დღემდე) და შემდეგ — ის. რექტორი დაუნიშნეს უნივერსიტეტს. მან კი «დანიშვნა» არც საკუთარ თავს აკადრა და არც — უნივერსიტეტს; ჰო, არ აკადრა

ჩანართი პორტრეტისთვის (შესაძლოა, არ ახსოვდეს):

მცხეთა-საგურამოს გზაზე ერთ რესტორანში ბიჭები ვსხედვართ, იქვე, ერთი მაგიდის გამოტოვებით — უმაღლესი სასწავლებლების რექტორები მისი მეთაურობით, აგრეთვე, აკადემიის იმჟამინდელი პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძე. ჩანს, უკვე გასვლას აპირებენ. წინ ის მოდის. შემამჩნია, მოუახლოვდა ჩვენს მაგიდას, მადღეგრძელა ბიჭებთან ერთად და დაგვემშვიდობა. ჩვენც მალე წამოვიშალეთ. ანგარიში რომ მოვითხოვეთ, — უკვე გადახდილიაო! ხვდებით ხომ?! უმნიშვნელო ამბავია? აბა, მე მკითხეთ. ,,აუ, რა მაგარი კაცია, როგორ გვშურს შენი, ნეტავ, ჩვენ გვყავდეს ეგეთი რექტორი!" — მომაყარეს მეგობრებმა. დღემდე ვამაყობ და ვტრაბახობ ამ ამბით! მეორე დღეს, მადლობის სათქმელად რომ მივედი, კაბინეტიდან გამოდიოდა. გამიღიმა, — დიდხანს დარჩითო? — მკითხა და ჩემგან მადლობის თქმის შემდეგ მითხრა, ეგ არაფერი, ზაზა, შენც ასევე მოიქცეოდიო!

გავიდა წლები. ქვეყანაში ვარდისფერი ყველაზე საზიზღარი და საძულველი გახდა! აინთხლა, აითქვიფა და ამძაღდა ყოველი. დუჟმორეული შლეგი რაღაცას გაჰკივის, რას — თვითონაც არ იცის. თვალებში — ზიზღი და სიძულვილი ყველაფრის მიმართ. რწმენა და განათლება, ანუ ეკლესია და უნივერსიტეტი უნდა დაანგრიოს. თანამოაზრენი გვერდს უმშვენებენ. ვიცით, ვგრძნობთ, როგორ ახლოვდება უნივერსიტეტთან განშორების დღე. ის წყნარად არის და გვამშვიდებს. 1 ოქტომბერს რექტორატში მასთან მივდივარ. ველაპარაკები, ვარწმუნებ... თუმცა ჩემზე მეტი იცის, უნახავს და გამოუცდია: ,,ახლა ასე სჯობს, გავეცალოთ, ვაცალოთ, კისერს წაიტეხენ, აგერ ნახავ. არ ღირს მათ გამო სისხლის დაღვრა". რომ არ შევეპუე, განმაიარაღებელ ფრაზას მეუბნება: ,,ვიცი, პატივს მცემ და მოდი, საქმით დაამტკიცე! როგორც უმცროს მეგობარს, ისე გთხოვ!", ხმა ველარ ამოვიღე.

დღეს მადლობა უნდა გადავუხადო „ამ" კაცს. მადლობა ყველაფრისთვის!.. მადლობა, რომ არის და ჩვენ გვერდითაა! მეამაყება ბატონი როინი, ჩემი უცვლელი რექტორი.

მადლობა ქალბატონ ლუიზას — ასე ერთგულად და თავდადებით რომ იზიარებს უღელს!

მადლობა ნინოსა და ვიკას, მათ მეუღლეებს — საამაყო და საყვარელ შვილებს, გვერდში რომ უდგანან და იზიარებენ ლხინს, ჭირს და მამის გადაწყვეტილებას კითხვის ნიშანს რომ არ აკარებენ და აკადრებენ!

დასასრულ, **მადლობა როინ მეტრეველსა და უნივერსიტეტს — 2004 წლის 1 ოქტომბრამდე ჩემთვის ორივე ერთი ცნება იყო!**

ვულოცავ ჩემს უცვლელ რექტორს ასე ღირსეულად უკან მოტოვებულ სამოცდათხუთმეტს! მადლობა მას იმ ცამეტი წლის თითოეული დღისთვის, როცა უნივერსიტეტს ისიც და მეც საკუთარ ოჯახად მივიჩნევდით!

სათქმელი ბევრია, მაგრამ — ან სამერმისოდ, ან პირადად.

**ზაზა სიამაშვილი**
**6 დეკემბერი, 2014 წელი**



**მარინ ლე პენი:**

# ცსს-ს მიერ წამების სასტიკი მეთოდების გამოყენება კიდევ ერთი საბაბია, რომ საფრანგეთმა ნატო დატოვოს

**„დაზვერვის საკითხების აშშ-ის სენატის კომიტეტის მოხსენება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ გამოყენებულ წამების სასტიკ მეთოდებზე კიდევ ერთი საბაბია საფრანგეთისთვის, რომ ნატოს რიგები დატოვოს. ფრანგებმა აღშფოთება აშშ-ის მიერ გამოყენებულ წამების სასტიკ მეთოდებზე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან გასვლით უნდა გამოხატონ", — განაცხადა საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის" ლიდერმა, ევროპარლამენტარმა მარინ ლე პენმა.**

9 დეკემბერს დაზვერვის საკითხების აშშ-ის სენატის კომიტეტმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ 2001-2009 წლებში ჩადენილი წამების ფაქტებზე 6000-გვერდიანი მოხსენების 500-ზე მეტი გვერდი გამოაქვეყნა. თუმცა დოკუმენტში, რომელშიც აღწერილია ცსს-ს მიერ დაკითხვის პროცესში ადამიანების მიმართ სასტიკი მოპყრობის „ტექნიკები", სიტყვა „წამება" ნახსენები არ არის.

სენატის კომიტეტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვისას იყენებდა სასტიკ მეთოდებს, მათ შორის, დახრჩობის იმიტაციის, მკვლელობისა და სექსუალური ძალადობის მუქარას და სხვ., რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაინც ვერ მიიღო.




**იენს სტოლტენბერგი:**

# ნატოს უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდების შესაძლებლობა არ აქვს!

**„ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მხარს უჭერს უკრაინას, მაგრამ მისთვის შეიარაღების მიწოდების შესაძლებლობა არ აქვს", — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა უკრაინის პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკთან ბრიუსელში გამართული შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.**

„ნატოს არ აქვს საკუთარი შეიარაღება ან ტექნიკა და, შესაბამისად, ვერც ერთ პარტნიორს ვერ აწვდის მას, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ აქვს.

ასე რომ, ნატოს წევრმა თითოეულმა ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა დახმარების ან ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდება შეუძლია რომელიმე ქვეყნისთვის", — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

ამერიკა

# ფლორიდელმა მამაკაცმა სამი ადამიანი მოკლა

**ფლორიდის შტატის ქალაქ ბრეიდენტონის პოლიციამ ძებნა გამოაცხადა ამ ქალაქის მცხოვრებ ანდრეს ენდი ავალოსზე, რომელიც სამი ადამიანის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ბოროტმოქმედმა ჯერ ცოლი და ერთი ქალი გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ წავიდა ეკლესიაში და მღვდელი მოკლა.**

გავრცელებული ინფორმაციით, მრავალშვილიანმა მამამ, 33 წლის ანდრეს ავალოსმა, ბაპტისტურ ეკლესიაში სროლა ატეხა და სასიკვდილოდ დაჭრა პასტორი ტრიპ ბეტლი. შემთხვევის ადგილზე მისულმა შერიფის თანაშემწეებმა მოგვიანებით ეკლესიიდან 15 კმ-ის დაშორებით მდებარე ავალოსის სახლიც გაჩხრიკეს და იქ ორი ცხედარი იპოვეს: ეჭვმიტანილის ცოლის — 33 წლის ამბერ ავალოსისა და 46 წლის დენიზ პოტერის; იმავე სახლში ნახეს მეოთხე დაზარალებულიც, რომელიც ექიმებმა გადაარჩინეს. მკვლელობები, სავარაუდოდ, ოჯახური კონფლიქტით არის გამოწვეული.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# ყველაფერი შამპანურის შესახებ

**შამპანური, ანუ შამპანური ღვინო ცქრიალა ღვინოა, რომელიც იქმნება ბოთლში ღვინის მეორეული ფერმენტაციით კარბონაციის ეფექტის მისაღებად. ღვინოს საფრანგეთის პროვინცია შამპანის სახელი ჰქვია, მაგრამ, უკვე დიდი ხანია, შამპანურს, ზოგადად, შუშხუნა ღვინოს უწოდებენ. თუმცა ღვინის ენთუზიასტები დღემდე იბრძვიან, დაამკვიდრონ, რომ ეს მხოლოდ იმ ღვინის სახელია, რომელიც შამპანის რეგიონში მოყვანილი ყურძნისგან მზადდება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შამპანის რეგიონს გარეთ წარმოებული ცქრიალა ღვინის მარკეტინგ, სახელწოდებით „შამპანური", არალეგალურია.**



საფრანგეთის პროვინცია შამპანში, ოტვილიერის სააბატოში მდებარე ბენედიქტელთა მონასტრის ისტორიაში იქ მხოლოდ ერთხელ არ აღსრულდა ცისკრის ლოცვა. ეს მოხდა ადრეული შემოდგომის დილას, 1668 წელს, როცა მონასტრის მევენახე პიერ პერინიონმა მის მიერ მომზადებული სასმელი აბატს გასასინჯად მიართვა.

მღვდელმა ჯერ ერთი ბოკალი სასმელი დალია, შემდეგ — მეორე, მესამე... იმ დღეს იგი თავისი სულიერი ძმების წინაშე არ წარმდგარა.

ბერი ამავე სააბატოში ხაზინადარად მუშაობდა. მის საქმიანობაში შედიოდა ღვინის წარმოებაზე თვალყურის დევნება. სწორედ 1688 წელი ითვლება შამპანურის დაბადების წლად. პიერ პერინიონი დახვეწილი გემოვნებითა და არაჩვეულებრივი მეხსიერებით გამოირჩეოდა. მას ყურძნის ერთი მარცვლითაც შეეძლო არა მხოლოდ მისი ჯიშის, არამედ ყურძნის მომწიფების ადგილის გამოცნობაც. ყურძნის გემოთი შეეძლო მისგან დამზადებული ღვინის ხარისხის წინასწარმეტყველებაც.

**ერთ-ერთ წვეულებაზე პერინიონმა მეგობრებს ახალი სასმელი შესთავაზა. მეგობრები აღფრთოვანებული დარჩნენ. ეს სასმელი არც ერთ სხვას არ ჰგავდა: პატარა მოვერცხლისფრო ბუშტები ჭიქებიდან ზევით შხუილით ამოდიოდა. გამჭვირვალე სასმელი სასმისებში თითქოს ხტოდა.**

1729 წელს გაიხსნა შამპანურის მწარმოებელი პირველი ფირმა, რომელსაც „რუინარი" ეწოდებოდა. შამპანის პროვინციაში მევენახეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. XVII საუკუნემდე აქ, ჩვეულებრივ, ოდნავ გაზირებულ წითელ ღვინოს ამზადებდნენ. მას ხილის გემო ჰქონდა და მსუბუქი, სასიამოვნო დასალევი იყო. მაგრამ ასეთ ღვინოს ერთი არასასიამოვნო თვისება ჰქონდა — იგი მეორედ დუღდებოდა, რის გამოც კასრები ხშირად ფეთქდებოდა. დანაკარგი ორმაგი იყო. ამ თვისების გამო შამპანის ღვინოს „ეშმაკების სასმელს" ეძახდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ქაფიანმა ღვინომ პოპულარობა სწრაფად მოიხვეჭა. იმის გამო, რომ მისი საიდუმლოს ამოცნობას დიდი ხნის მანძილზე ვერავინ ახერხებდა, თავიდან შამპანური, პროვინციის ცნობილ ღვინოებთან შედარებით, ძვირი ღირდა.

დროთა განმავლობაში პიერ პერინიონის საიდუმლო ამოიხსნა, ხოლო შამპანის დედაქალაქი რეიმსი ახალი, ყველასგან განსხვავებული ღვინის — შამპანურის წარმოების ცენტრად იქცა.

ყველაზე დიდი წარმატება წილად მადამ კლიკოს (ქალიშვილობაში ნიკოლ ბარბი) ხვდა. ოცი წლის ასაკში ნიკოლი წარმატებულ ვაჭარსა და შამპანურის მწარმოებელს — ფრანსუა კლიკოს გაჰყვა ცოლად. 1805 წელს ფრანსუა დაავადდა და მალე ციებ-ცხელებით გარდაიცვალა. ქმრისგან მემკვიდრეობით ნიკოლმა საგვარეულო ციხესიმაგრე, ვენახი და ცარცის მთაზე 24 კილომეტრზე გადაჭიმული სარდაფები მიიღო.

ახალგაზრდა ქალბატონმა გადაწყვიტა, გარდაცვლილი მეუღლის საქმე გაეგრძელებინა, მან დააარსა კომპანია „კლიკოს ქვრივი" და კრისტალურად სუფთა ღვინის საწარმოებლად მანვე გამოიგონა რემუაჟის მეთოდი. ბოთლებს თავდაყირა დგამდნენ და ასე აბრუნებდნენ, რათა ნარჩენები თავსახურთან დაგროვილიყო. შემდეგ სასმელს ყინავდნენ და თავსახურს ხდიდნენ, მასთან ერთად სითხე ნარჩენებისგანაც თავისუფლდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენდნენ მის ხელმეორედ შეფუთვას.

კლიკოს ქვრივის მიერ ამ მეთოდის მოფიქრებამდე, ღვინოს ერთი ბოთლიდან მეორეში გადასხმით ასუფთავებდნენ, შედეგად შუშხუნა თავის საუცხოო ძალას კარგავდა. ამასთან, 1850 წლამდე ყველა შამპანური ღვინო საკმაოდ ტკბილი იყო, რადგან მასში ლიქიორს ამატებდნენ. 1860 წლიდან ზოგიერთმა ფირმამ ამ სასმელის მშრალი შამპანურის მარკით წარმოება დაიწყო.

ჩვენს დროში შამპანურის რეპუტაციას იცავს დიდებული მარკების სინდიკატი, რომელშიც ისტორიულად 28 საუკეთესო სახლი — შამპანურის მსოფლიო მწარმოებელი შედის. შამპანურის მწარმოებლები რამდენიმე წესის დაცვას გვირჩევენ: **მხოლოდ კრისტალურ, მაღალი კლასიფიკაციის ღვინოს და აუცილებლად შამპანში წარმოებულს შეიძლება ეწოდოს შამპანური, სხვა დანარჩენი კი, უბრალოდ, კრისტალური ან შუშხუნა ღვინოა. ქაფიან ღვინოს ბნელ ადგილას +5 +15 გრადუს ტემპერატურაზე ინახავენ.**

**საქვეყნოდ ცნობილ ფრანგულ ღვინოთა შორის შამპანური ყველაზე ახალგაზრდაა. მისი წარმოების ტექნოლოგია სრულყოფას თვით შამპანშიც კი განაგრძობს.**

**მართალია, ამ სასმელის დიდებას პერინიონის სახელს მიაწერენ, მაგრამ ფაქტია, რომ შამპანურის წარმოების მრავალ ტექნოლოგიურ სტადიათაგან თითოეულის სრულყოფაზე მეღვინეთა არაერთი თაობა ილვწოდა.**

> **ერთ-ერთ წვეულებაზე პერინიონმა მეგობრებს ახალი სასმელი შესთავაზა. მეგობრები აღფრთოვანებული დარჩნენ. ეს სასმელი არც ერთ სხვას არ ჰგავდა: პატარა მოვერცხლისფრო ბუშტები ჭიქებიდან ზევით შხუილით ამოდიოდა. გამჭვირვალე სასმელი სასმისებში თითქოს ხტოდა**






შამპანურს თავიდანვე გაუმართლა, რადგან მისი პოპულარიზაციისთვის მარკეტინგის ნიჭიერ სპეციალსტთა მთელი არმია მუშაობდა. გასაკვირი არაა, რომ მასზე არაერთი წიგნი დაიწერა — ამ სასმელის ისტორია ხომ ძალზე მიმზიდველია.

შამპანური არის ღვინო, რომელიც ცალკეულ შეგრძნებებს კი არ აკმაყოფილებს, არამედ კარგი ხასიათით აპელირებს. მისი მირთმევისას ძალზე მნიშვნელოვანია ზოგადი შთაბეჭდილება, რომელიც დალევის შემდეგ ჩნდება. ბურგუნდიელები საკუთარ ღვინოთა „ექსკლუზივად" არაჩვეულებრივ თაიგულს მიიჩნევენ, ბორდოელები — გემოს და სტრუქტურას, შამპანელები კი უპირატესობად სასმელის შემდგომ გემოს ასახელებენ.

როგორც უნდა ცდილობდნენ მოშურნეები ლიტონ სიტყვებად წარმოაჩინონ „შამპანის ტერუარის უნიკალურობა", არის რაღაც განსაკუთრებული ამ რეგიონში მოყვანილ ყურძენში. ცინიკოსებს შეუძლიათ, გაიცინონ ლეგენდაზე, რომლის მიხედვითაც პერინიონს მხოლოდ გემოთი შეეძლო დაედგინა, რომელი ვენახიდანაა მოკრეფილი ესა თუ ის ნიმუში; და რომ თავის კუპაჟებს იგი სისხამ დილით განსაზღვრავდა, როდესაც მთელი ღამის განმავლობაში ფანჯრის რაფაზე დატოვებულ ყურძენს სინჯავდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: შამპანელები საუკუნეების განმავლობაში სკურპულოზურად აფასებდნენ ხარისხს.

წნეხის ქვეშ მთელი მტევნების მოთავსების პრაქტიკას შამპანში ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. მკაცრი შეზღუდვა ტონა ყურძნისგან მიღებული წვენის რაოდენობაზე, ტრადიციული წნეხის ფორმა, ზომა და მისი რბილი, სათუთი გამოყენება ჯერ კიდევ პირველი სამეცნიერო ანალიზების ჩატარებამდე დადგინდა. დღეს ვიცით, რომ „პირველი წნეხის" წვენი გაცილებით მაღალი მჟავიანობით და PH-ის ნაკლები დონით ხასიათდება. მასში გაცილებით ცოტაა მინარევები, ნაკლებ მღვრიეა და არომატულ ფენოლებსაც ნაკლებად შეიცავს, ვიდრე რამდენჯერმე გამოწურული ყურძენი.

თემა „მუხა თუ ფოლადი" კვლავაც ინარჩუნებს სიმწვავეს, თუმცა, ბოლო ხანს მუხის კასრების თაყვანისმცემელთა რიგები საგრძნობლად შეთხელდა. მეღვინეთა უმეტესობა კასრში მიმდინარე ფერმენტაციას ეჭვით უყურებს. კასრში მიმდინარე ფერმენტაცია ხანგრძლივი და ძვირად ღირებული პროცესია, რომელიც ასევე ითვალისწინებს ვაშლმჟავა-რძემჟავული ფერhმენტაციის დაწყების შესაძლებლობასაც. გამოყენებული კასრები ძალიან ძველია, ამიტომ ღვინო არ იღებს მუხის არომატს და არც უფრო ძლიერად მჟავიანდება. ყველაზე არსებითი განსხვავება მუხისა და ფოლადის ჭურჭელში მიმდინარე ფერმენტაციას შორის არის ის, რომ კასრში გაცილებით რთულია ტემპერატურული კონტროლის განხორციელება, ამიტომ ყოველთვის რჩება ოპტიმალური ნიშნულის — 18-20 გრადუსის გადაჭარბების საშიშროება.

რემუაჟი (ბოთლის თანდათანობით გადმობრუნება მღვრიე ნაწილაკების დასალექად) შამპანურის შექმნის პროცესში ტრადიციულად ყველაზე რთული ეტაპი იყო. ჯერ კიდევ 30 წლის წინათ შამპანურის ერთ-ერთ მსხვილ სახლ Lanson-ში რემუაჟისტებს დღეში არანაკლებ 10 ათასი ბოთლი უნდა გადმოებრუნებინათ. ამ დროს ხშირი იყო მათი „აფეთქება". ბოლო პერიოდის გენიალური გამოგონება გახდა ვიბრაციული მანქანები, რომლებიც ანჯღრევს და ატრიალებს ლითონის დიდ კონტეინერში ჩაწყობილ ბოთლებს. ამ სიახლეს დღეს შამპანურის მსხვილ სახლთა უმეტესობა იყენებს.

ალბათ გასაკვირი არც არის, რომ ამ დახვეწილი და უგემრიელესი, ოქროსფერი შუშხუნა სითხის მიღება ძალიან რთული, ხანგრძ- ▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





◀ ლივი და შრომატევადი პროცესია.

როგორი აღფრთოვანებულიც უნდა ვიყოთ მეღვინის შრომისმოყვარეობითა და გამომგონებლობით, უნდა ვაღიაროთ, რომ შესანიშნავი შამპანურის მთავარი შემქმნელი თავად დედა ბუნებაა. სწორედ ის აზავებს ზუსტად და გემოვნებით კლიმატს, ნიადაგს, წვიმებს, მზის სითბოსა და სინათლეს იმ რთულ ბიოქიმიურ პროცესში, რომელიც წარმოქმნის სწორედ იმ ჯადოსნურ ყურძნის მტევანს, რომელიც აუცილებელია შამპანურისთვის.

**უხარისხო ყურძნისგან კარგ ღვინოს ვერ მივიღებთ. ტექნოლოგიების სუპერმიღწევები და მეღვინის პროფესიონალური ცოდნა ვერ გამოასწორებს იმას, რასაც გააფუჭებს მევენახე. უმნიშვნელო დეტალი ვაზის გამოყვანისას არ არსებობს. ათასწლეულების მანძილზე ხვეწდნენ და გამოჰყავდათ ახალი ჯიშები, რის შედეგადაც ვაზის სახეობების რაოდენობა რამდენიმე ათეულიდან რვა ათასამდე გაიზარდა.**

შამპანურისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყურძნის შაქრიანობას, მჟავიანობას, თანაც სხვადასხვა ჯიში სხვადასხვა დროს მწიფდება, უფრო მეტიც — ერთი იმავე ჯიშის ყურძენიც კი ვენახის სხვადსხვა ნაკვეთში განსხვავებულ დროსაა მოსაკრეფად მზად. მსხვილ წარმოებებში სპეციალურ შაქრიანობის საზომ აპარატებს იყენებენ, მცირე და საოჯახო ვენახებში ყველაფერი მევენახის ოსტატობაზეა დამოკიhდებული, მისი შეცდომა მთელი წლის მოსავალს გააფუჭებს.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდს. თუ ახალი ნაწვიმარია, წვენი მარცვლებში განზავებული იქნება. თუ ზედმეტად მზიან ამინდში გვიან დაიწყებენ კრეფას, მზე მოასწრებს მარცვლების გათბობას და წვენის დუღილი მათი გაჭყლეტისთანავე დაიწყება.

როდესაც, ბოლოსდაბოლოს, ყურძნის კრეფა გადაწყდება, რთველში ყველა ერთვება – ყურძენი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიკრიფოს. მტევნები იქვე ირჩევა, დაუშვებელია დაზიანებულ-დაჭყლეტილი მტევნების შერევა. შამპანურისთვის ყურძენი მხოლოდ ხელით იკრიფება. მტევნებს ფრთხილად აწყობენ ტირიფის კალათებში. გზა, რომელზეც შემდეგ ამ კალათებს ურმით წაიღებენ, მაქსიმალურად სწორი უნდა იყოს.

ღვინის სახარშში მიტანილ ყურძენს აპირქვავებენ სპეციალურ დიდ ავზში და დამარცვლის გარეშე ჭყლეტენ. ავზი, პრესი და ყველაფერი, რაც ყურძენს ეხება, მუხისგანაა დამზადებული.

თავდაპირველად წნეხს მცირე ძალით ამუშავებენ, რათა მხოლოდ ძალიან მწიფე მარცვლები დასკდეს, დანარჩენი კი ხელუხლებლად დარჩეს. ამ პირველ წვენს ცალკე აგროვებენ და მისგან ამზადებენ „კიუვეს". საკმაოდ რთულია ისეთი ბოთლის ყიდვა, რომელსაც ეტიკიეტზე „კიუვე" ექნება მითითებული, რადგან მისი წარმოება ძალიან შეზღუდულია.

შემდეგ წნეხის დაწოლა იზრდება რამდენჯერმე, ეტაპობრივად. პირველად გამოწურული სითხე ყველაზე ხარისხიანია, ყოველ შემდეგ ეტაპზე ხარისხი იკლებს.

ავზებში მოკავებულ წვენებს დასალექად ერთი დღეღამე აჩერებენ. მაგრამ ამ დროში სითხემ შეიძლება უკვე დაიწყოს დუღილი და ეს დალექილი ნაწილაკები ისევ აამღვრიოს. ამ ფორიაქის თავიდან ასაცილებლად ავზს წინასწარ ხრჩოლავენ გოგირდით, რომელიც ანეიტრალებს დუღილის გამომწვევ ველური ღვინის საფუარას და ხელს უშლის მათ გამრავლებას.

დაწდომისა და ფილტრაციის შემდეგ სითხე უკვე გადააქვთ სახარშ ავზებში, რომელიბც მოთავსებულია სპეციალურ, კონდიცირებად გამოქვაბულებსა და გვირაბებში. ავზებს მხოლოდ 50-70%-ით ავსებენ.

შემდეგ ავზებში თანდათან უმატებენ ნატურალური ყურძნის სხვადასხვა საფუარებს, რომელთა გამოყვანა და დოზირება უკვე კონკრეტული ბრენდის საიდუმლოებაა. სწორედ ისინი ანიჭებენ შამპანურს უნიკალურ თვისებებს. რაც უფრო დაბალ ტემპერატურაზე დუღს დამატებული საფუარები, მით უფრო ხარისხიანი გამოვა შამპანური.

როდესაც ღვინოში ალკოჰოლის რაოდენობა 10% მიაღწევს, აქტიური დუღილი წყდება. შემდეგ ავზებს ბოლომდე ავსებენ იმავე ღვინით და გრძელდება ჩუმი დუღილი მანამ, სანამ საფუარები შაქარს „შეჭამენ" 1გ/ლ-მდე. მთელი პროცესი 3-4 თვეს გრძელდება.

ამის შემდეგ ღვინოს საფუარიდან „ხსნიან" და ურევენ ყურძნის სხვადასხვა ჯიშისა და დაძველების ღვინოს. ამ პროცესს ასამბლიაჟს ეძახიან და ისიც, რასაკვირველია, ფირმის საიდუმლოებაა.

ყოველი წარმოება თვითონ წყვეტს, როგორ შეურიოს ახალგაზრდა და დაძველებული ღვინოები. ფრანგი მეღვინეები თვლიან, რომ ძველი ღვინოს შემცველობა 60% მაინც უნდა იყოს. რუსი მეღვინეები კი ფიქრობენ, რომ შამპანური ახალგაზრდა და მსუბუქი უნდა იყოს, ამიტომ დაძველებული ღვინის რაოდენობა მასში 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

სპეციალურ პიუპიტრებზე მოთავსებულ ბოთლებს ათავსებენ სარდაფებში 10-14 გრადუსზე. იქ უკვე მიმდინარეობს მეორადი დუღილი. 6 თვის განმავლობაში ბოთლებს ყოველ დღე ატრიალებენ და უცვლიან დახრის კუთხეს. წნევა ბოთლებში აღწევს 5-6 ატმოსფეროს.

ისევ დგება მნიშვნელოვანი მომენტი — საცობზე დაგროვილი ობის (საფუარის) ნალექის მოშორება. ამისათვის ბოთლებს აციებენ -30 გრადუსამდე. ნალექი გადაიქცევა ყინულად, მცირე ბიძგით საცობი ძვრება და ყინულის ნატეხი ამოვარდება. ბოთლს ისევ ავსებენ შამპანურით, საცობს ახურავენ და 5-7 წლით „ასვენებენ".

***მირთმევის წინ შამპანური უნდა გავაგრილოთ 9-12 გრადუსამდე. ზედმეტი გადაციება მას არომატსა და გემოს უკარგავს.**

შამპანურის ბოკლებიც წინასწარ უნდა შევაგრილოთ და დასხმისას ოდნავ დავხაროთ.

***შამპანური, მართალია, დაბალალკოჰოლური სასმელია, სიმაგრით ბევრ სხვა სპირტიან და მაღალალკოჰოლურ სასმელს უსწრებს, შესაბამისად, ბახუსიც და ნაბახუსევიც საკმაოდ მძიმედ გადასატანი აქვს. ამის მიზეზი შამპანურის შუშხუნებაა – საშუალოდ ერთ ბოთლში ნახშირორჟანგის 250 მილიონი ბუშტულაა. რაც უფრო მეტი ბუშტულებია შამპანურში, მით უფრო ხარისხიანად ითვლება ის.**



*ყველაზე ძვირად ღირებული Perrier jouet Belle Epoque Blanc de Blanc მზადდება ყურძნის განსაკუთრებული ჯიშისგან, რომელიც მოჰყავთ პროვინიცია des Blancs-ის მხოლოდ ორ ვენახში. ამ შამპანურის ერთი ბოთლი 1000 ევრო ღირს.

შამპანურის ელიტურმა ბრენდმა — Godt de Diamants-მ გამოუშვა პროდუქტი სახელად „ბრილიანტის გემო". ყველაზე ძვირადღირებული შამპანურის ბოთლის ზედაპირი შემკულია ბრილიანტებით, რაც სასმელს გარდაქმნის შესანიშნავ საქორწილო, საიუბილეო და სხვა ტიპის სადღესასწაულო საჩუქრად. შამპანურის ღირებულება 1,8 მილიონი დოლარია.

***კარგი შამპანური ფუფუნების საგანია. ასე რომ, ეცადეთ, არ შეცდეთ, მით უმეტეს, როდესაც ამ სასმელში სოლიდურ თანხას იხდით.**

***შამპანური სასმელია, რომელიც მხიარულ, სადღესასწაულო ატმოსფეროს ქმნის.**

შაქრის შემცველობის მიხედვით შამპანურს 6 კატეგორიად ყოფენ:

Extra-brut an Ultra-brut — 6 გრ-ზე ნაკლები შაქარი ლიტრზე;

Brut — 15 გრ/ლ-ზე ნაკლები;

Extra-dry — 12-20 გრ/ლ;

Sec — 17-35 გრ/ლ;

Demi-Sec — 33-35 გრ/ლ;

Doux — 50 გრ/ლ-ზე მეტი.

შამპანურს განასხვავებენ სხვა ნიშნითაც:

Champagne Millesime (Sampan milezim) — შამპანურის ამ სახეობას ყველაზე მეტად აძველებენ და ამზადებენ ყურძნის გარკვეული წლის მოსავლის საუკეთესო ჯიშებისგან;

Champagne Blanc de blancs (Sampan blan de blan) — ეს შამპანური მზადდება ყურძნის მხოლოდ თეთრი ჯიშისგან შარდონესგან.

Champagne Blanc de noirs (Sampan blan de nuar) — ის ყურძნის მხოლოდ წითელი ჯიშებისაგან — პინო ნუარისა და პინო მენიესგან იწარმოება.

Champagne Rose (Sampan roz) — ვარდისფერი შამპანურია. მიიღება წითელი და თეთრი ღვინის შერევით.

შამპანურის ყველაზე ცნობილი მარკებია:

Bollinger, Krug, Louis Roederer, Veuve Clicquot-Ponsardin, Laurent-Perrier, Taittinger, Billecart-Salmon, Lanson, Moet & Chandon, H. Mumm & Cie, Piper-Heidsieck, Pol Roger, Pommery, Ruinart, Charles Heidsieck, Cosset, Henriot, Salon, Philipponat, Charles Lafitte, Nicolas Feuillate.

ღვინოს შამპანური რომ ვუწოდოთ, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

***წარმოებული უნდა იყოს მხოლოდ შამპანის პროვინციაში;**

*დამზადებული უნდა იყოს მხოლოდ განსაზღვრული ჯიშის ყურძნისგან: პინო მენიესგან, პინო ნუარისგან, შარდონესგან;

***დამზადებისას გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ის ტექნოლოგია, რომელიც მოცემულ რეგიონშია მიღებული.**

*ღვინოს, რომელიც იმავე მეთოდით, მაგრამ სხვაგან არის დამზადებული, შამპანურის მეთოდით დამზადებულ ან ცქრიალა ღვინოს უწოდებენ.

რა განასხვავებს კარგ შამპანურს ცუდისგან? ბალანსირებული გემო, სირბილე, პირში სიგრილის შეგრძნება.

**შამპანურის ყიდვისას მის მაცივარში შენახვას ნუ იჩქარებთ — გადაცივებული ღვინის გემოს შეგრძნება გაგიჭირდებათ. შამპანურის შესანახად იდეალური ადგილია სარდაფი ან ბნელი გრილი საკუჭნაო.**

შუშხუნა ღვინო, მათ შორის, ცხადია, კლასიკური შამპანურიც, სუფრასთან მიაქვთ ან ჭამის წინ, როგორც აპერიტივი, ან უშუალოდ ჭამის დროს.

შამპანურიან ჭურჭელს დგამენ მაგიდასთან ახლოს, სპეციალურ სადგარზე. სასურველია, სუფრასთან მიტანამდე ნახევარი საათით ადრე





შამპანური ყინულიან ჭურჭელში მოათავსოთ — დალევისას მისი ტემპერატურა 7-9 გრადუსი უნდა იყოს.

გახსნისას სიფრთხილეა საჭირო: არ შეანჯღრიოთ, ბოთლი 45-გრადუსიანი კუთხით დახრილი დაიჭირეთ, საცობს მაგრად ჩაავლეთ ხელი და ბოთლი მის ირგვლივ აბრუნეთ. შამპანური წყნარად უნდა გახსნათ, რადგან საცობის მკვეთრი გასროლისას ნახშირორჟანგი ბოთლიდან ორთქლდება.

**შამპანურს ბოთლის გახსნიდან 2-3 წუთის შემდეგ ასხამენ. ფუჟერს მხოლოდ ნახევრამდე ავსებენ. მნიშვნელოვანია ბოკლის სწორად შერჩევა: შამპანურისთვის განკუთვნილ სასმისს ისეთი ფორმა აქვს, რომ პირველივე ყლუპი გემოვნების საჭირო ზონებში მოხვდეს, რათა შევიგრძნოთ და შევაფასოთ სასმელის გემო. ამასთანავე, ბოკალი მსუბუქი და გამჭვირვალე, თხელი მინისა ან ბროლისა უნდა იყოს.**

არსებობს ორგვარი ბოკალი. ფლუტი ფლეიტის ფორმისაა. მას მშრალი შამპანური ღვინის დეგუსტაციისთვის იყენებენ. ასეთ ბოკალში უკეთ კონცენტრირდება განუმეორებელი არომატი. კუპ შამპანი ფიალის ფორმისაა. ის უმთავრესად ტკბილი შამპანურის შესაფასებლად გამოიყენება. ასეთი ბოკლით დალევისას ღვინის საოცარ არომატს სასის ზედაპირით შეიგრძნობთ.

შამპანური უნდა ჩამოვასხათ ნელა, ისე, რომ ღვინის ნაკადი სასმისის კედლის გასწვრივ ჩაედინებოდეს. ქაფი რომ დაილექოს, ღვინოს ორ ულუფად ასხამენ. შამპანური ჭიქაში თამაშს იწყებს — გამოიყოფა ბუშტუკები. ისინი წვრილია, ჭიქის ფსკერის ცენტრიდან შადრევნისებურად ამოდის და სასმისის კედლებზე ბუშტუკების ერთგვარ სარტყელს ქმნის. მსხვილი ბუშტუკები შამპანურის დაბალ ხარისხზე მიუთითებს. ბოკალი ფეხით უნდა დავიჭიროთ და არა ზედა ნაწილით, თორემ სასმელი გათბება და არომატს დაკარგავს.

ხარისხიანი შამპანური ჭიქაში რამდენიმე საათს შუშხუნებს. შამპანურს უხდება ცივი საუზმე: ხიზილალიანი ბუტერბროდები, ყველი, სალათი, თეთრი ხორცის კერძები, დესერტი, ხილი, ნამცხვარი. რეკომენდებული არ არის შოკოლადი.

დაუწერელი კანონით, შამპანური ცივი უნდა მიირთვათ და თითქმის მაშინვე, როგორც კი ქაფი „დაჯდება". 6-10 წუთის შემდეგ შამპანური თავისი მთავარი ღირსებების დიდ ნაწილს კარგავს.

**მავთულს, რომელიც შამპანურის საცობს აკავებს, „მიუზლე" ჰქვია და მისი სტანდარტული სიგრძე ყოველთვის არის 52 სანტიმეტრი.**

შამპანურის საცობის გამოვარდნის სიჩქარეა 14 მეტრი წუთში, ხოლო ფრენის სიმაღლე 12 მეტრამდე აღწევს.

**შამპანურის ყველაზე ძვირად ღირებული ბოთლი 11 000 დოლარად გაიყიდა და ის „პერინიონის" სახლმა ჩამოასხა.**

შამპანური ყველაზე სწრაფად ცივდება ანადუღარ წყალში. მისი იდეალური ტემპერატურა 7-დან 9 გრადუსამდეა.

**ნამდვილი, ანუ არაფალსიფიცირებული შამპანურის შხეფები ბოკალში 10 საათის განმავლობაში უნდა „სკდებოდეს".**

შამპანურის ბოთლში წნევა ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 6,3 კილოგრამია, რაც თითქმის სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე ავტომობილის საბურავში.

**ყურძენს, რომლისგანაც შამპანური უნდა დამზადდეს, დროზე ადრე კრეფენ, სანამ მასში შაქრის შემცველობა დაბალია, მჟავიანობა კი – მაღალი.**

მხოლოდ ახალი წლის ღამეს მსოფლიოში 435 მილიონი ბოთლი შამპანური ისმევა, წმიდა ვალენტინის დღეს – 180 მილიონი.

**შამპანურის დალევა პომადით შეღებილი ტუჩებით რეკომენდებული არ არის, რადგან პომადის შემადგენლობაში შედის ნივთიერება, რომელიც შამპანურის გემოსა და ხარისხს აქვეითებს.**

სამწუხარო ფაქტია ის, რომ შამპანურით თრობას ყველაზე საშინელი ნაბახუსევი მოსდევს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 91 წლის მოხუცი მორგში «გაცოცხლდა»

**პოლონეთის ქალაქ ოსტრუვ-ლიუბელსკში 91 წლის ქალმა იანინა კოლკევიჩმა მორგის გაყინულ კამერაში გაიღვიძა.** „მკვდრეთით აღმდგარი“ ქალის ნათესავების თქმით, მოხუცს საერთოდ არ ახსოვს მისი მორგში ყოფნის პერიოდი. სამაგიეროდ, ამ ისტორიას მთელი ცხოვრების განმავლობაში დაიხსომებენ მორგის შეშინებული თანამშრომლები, რომლებმაც გარდაცვალების საბუთიც კი გასცეს. მსგავსი შემთხვევა მოხდა რამდენიმე ხნის წინათ პოლონეთის სხვა ქალაქში, სადაც მოხუცმა სმაში გატარებული ღამის შემდეგ მორგში გაიღვიძა.



# ყველაზე უცნაური მეთოდები წონის დასაკლებად

**ჭარბი წონა დღევანდელ თანამედროვე საზოგადოებაში აქტუალური პრობლემაა მსოფლიოში. სასურველ ფორმაში ჩადგომა კი ურთულესი პროცესია. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთაც აქვთ ნებისყოფა და მზად არიან, დათანხმდნენ ნებისმიერ სახიფათო პროცედურას სასურველი მიზნისთვის. რაც შეეხება თავად მეთოდებს, ისინი ნამდვილად გამაოგნებელია.**



## ორსული ქალის შარდის ინიექცია

**დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ჩარლი პალონმა ამ უცნაური მეთოდის საშუალებით 20 კილოგრამი დაიკლო 5 თვის მანძილზე.** პროცედურა ტარდება ყოველდღე, ადმინისტრაციის მეთვალყურეობის ქვეშ, გამოიყენება ორსულის შარდი და ხდება დოზების თანდათან მომატება. ამ პროცედურის სპეციალისტები მეთოდის უცნაურობას ხსნიან იმით, რომ ორსულის შარდი შეიცავს სპეციალურ ჰორმონს, რომელიც ხელს უწყობს წონაში დაკლებას. ჰორმონი ააქტიურებს მეტაბოლურ პროცესებს ორგანიზმში და ზრდის მეტაბოლიზმს. ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ქალებისთვის გამოიყენება.



## კუჭის ქამრის ილუზია

**კუჭის შემაკავებელი ქამარი ასრულებს თავის დავალებას პაციენტის მუცლის გარშემოწერილობაში.** ამ მოწყობილობის საშუალებით ადამიანი მალე აღწევს ეფექტს, რომ შეუმცირდეს მოცულობა. ამ დროს პაციენტი ჭამს მცირე საკვებს და შიმშილის გრძნობაც ნაკლებად აქვს. კუჭის დაპატარავება ქირურგიული ჩარევითაც შეიძლება, თუმცა მას გვერდითი ეფექტები ახლავს, ქამარი კი უსაფრთხოა და კვირაში 4 კილოგრამს აკლებინებს.



## სექსი დღეში 7-ჯერ

**პოლინ პოტერმა, რომელიც 47 წლისაა, მძიმეწონიან ქალებს შორის გინესის რეკორდი დაამყარა.** ახლა იგი დღეში წვავს უამრავ კალორიას 7-ჯერ სექსის საშუალებით, რაშიც მას ყოფილი ქმარი, ალექსი, „ეხმარება“. წყვილი 3 წელი ცხოვრობდა ერთად, 2008 წელს კი დაშორდნენ, თუმცა მერეც განაგრძეს შეხვედრები. პოლინს აქვს სასურველი მიზანი — გახდეს 241 კილოგრამი; ამბობს, რომ მალე მიაღწევს ამას 64-კილოგრამიანი სექსმანქანის — ალექსის მეშვეობით.



## წვეთოვანი ცხვირში

**წონის დასაკლებად ასეთი მეთოდი ამერიკელმა ექიმებმა დანერგეს.** ბევრი მიიჩნევდა, რომ იგი საკმაოდ საშიში და სახიფათოა, თუმცა შემდეგ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეფექტურია და სასურველ წონასაც ამ მეთოდით ძალიან სწრაფად აღწევენ. მაშ, რაში მდგომარეობს ეს მეთოდი? წვეთოვანს ამაგრებენ ცხვირში, მისი მეორე ბოლო კი საყლაპავ მილშია ჩაყოფილი და საკვების მიღება ხდება ცხვირიდან. ეს გენიალური და ეფექტური მეთოდი დანერგა ამერიკელმა ექიმმა ფლორიდიდან — ოლივერ დი პიეტრომ. ასეთი გზით ენტერალურ კვებას შეუძლია 10 დღეში 9 ფუნტი დაგაკარგვინოთ. წვეთოვანის საშუალებით 10 დღე პაციენტი იკვებება მხოლოდ თხევადი ცილებით, ცხიმებითა და წყლით.



## Paintball-ის თამაში

**პაინტბალი არის სპორტული თამაში — ორი გუნდი ესვრის ერთმანეთს და ტყვიების ნაცვლად გამოიყენებს საღებავის ბურთულებს.** დაივიწყეთ დიეტა და მაკორექტირებელი საცვლები, სასაცილო თამაში პაინტბალი დაგეხმარებათ, სწრაფად და ეფექტურად დაწვათ ჭარბი წონა. დიდ ბრიტანეთში კომპანია პაინტბალის პირველი მსოფლიო დონის ფიტნეს ცენტრი იწვევს ყველას, ვისაც კალორიების დაწვა სურს. თამაშში ჩართულები არიან ექიმი პროფესიონალები, რომლებიც სწორი მიმართულებით ახდენენ 10 კვირის მანძილზე ჩვენს კალორიებზე ფიქრს. დღეში მათი დანაკარგი 800-1000 კალორიაა, ხოლო ფიტნეს ცენტრის ღირებულება — კაცზე 199 ევრო.



## პატჩი ენაზე

**თუ თქვენ ყველა დიეტა სცადეთ და შედეგს ვერ მიაღწიეთ, მაშინ კოსმეტიკური ქირურგი კალიფორნიიდან — ნიკოლაი ჩუგაი გირჩევთ იმას, რაც თვითონ გამოიგონა — ახალი საკმაოდ მტკივნეული სამედიცინო პროცედურა.** პროცედურა შეიცავს პაციენტის ენის პლასტიკურად გაკერვას, რომლის შემდეგაც საკვების მირთმევა მტკივნეული გახდება, ამიტომ, ნებით თუ უნებლიეთ, პაციენტი ჯდება თხევად დიეტაზე. 60-ზე მეტმა ჩაიტარა ეს პროცედურა და კმაყოფილი არიან, რადგან თითოეულმა თვეში დაიკლო არანაკლებ 10 კილოგრამისა.



## ერთი კვირა 8700 მეტრ სიმაღლეზე

**გსურთ წონის დაკლება კვების აკრძალვისა და დამღლელი ვარჯიშების გარეშე?** ეს არ არის არც სპამი და არც ინტერნეტრეკლამა, ეს მეცნიერებაა. გევალებათ, ახვიდეთ ზღვის დონიდან სიმაღლეზე. კვლევებით დადგინდა, რომ მათ, ვისაც დასვენება და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება უწევთ მაღალმთიან რეგიონებში, თავისთავად იკლებენ წონაში კვების შეზღუდვის გარეშე. მაღალი მთა განაპირობებს შიმშილის გრძნობის შემცირებას, რაც წონაზეც აისახება. თუმცა ასეთ რეგიონებში დიდი ხნით გადაბარგებას არ გირჩევთ, ვინაიდან ორგანიზმი 6 თვის მანძილზე ახდენს მხოლოდ ასეთ პირობებზე ადაპტაციას, შემდეგ კი ეგუება კლიმატს და ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს ცხოვრებას, ამიტომ წონის დასაკლებად გამოიყენეთ მხოლოდ ხანმოკლე პერიოდი.

# მამაკაცმა 81 წლის ასაკში სქესი შეიცვალა

**81 წლის ჯეიმს როუზი, რომელმაც ქალის სახელი რუთი დაირქვა და სქესის შეცვლის ოპერაცია გაიკეთა, ამბობს, რომ ცხრა წლის ასაკიდან მოყოლებული ისე გრძნობდა თავს, თითქოს სხვის სხეულში ცხოვრობდა.**

მამაკაცს იმედი ჰქონდა, რომ ქორწინების შემდეგ ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ცდებოდა.

ყოფილი სამხედრო 1961 წელს დაქორწინდა და 42 წელი ბედნიერად იცხოვრა ცოლთან. პენსიონერის თქმით, ის არასოდეს უყვებოდა თავის მეუღლეს იმის შესახებ, რომ თავს ქალად გრძნობდა. ქორწინებაში მას სამი ქალიშვილი ეყოლა, რომლებმაც უკვე თავადაც შექმნეს ოჯახები და გააჩინეს შვილები.



„როგორც იქნა, შემიძლია საკუთარი თავისთვის ცხოვრება დავიწყო, ერთადერთი, რაც არ მაკმაყოფილებს, მკერდის ზომაა“, — აცხადებს ბრიტანელი და დასძენს, რომ თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს.



## კოსმოსურმა ზონდმა კომეტაზე ცოცხალი ორგანიზმები აღმოაჩინა

**„ფილას“ კოსმოსურმა ზონდმა ჩურიუმოვ-გერასიმენკოს კომეტაზე აღმოაჩინა ორგანული მოლეკულები, რომლებიც, შესაძლოა, მონაწილეობას იღებდნენ სიცოცხლისთვის საჭირო შენაერთების წარმოქმნაში.** ამის შესახებ The Wall Street Journal-ი „როზეტას“ მისიაში მონაწილე გერმანულ სააგენტოზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას. შენაერთები რობოტის ერთ-ერთმა ინსტრუმენტმა აღმოაჩინა. აღსანიშნავია, რომ ისინი ნახშირბადის ატომებს შეიცავენ. ამ დროისთვის მეცნიერები არსებული მონაცემების შესწავლით არიან დაკავებულნი. მომავალში მათ კომეტის გრუნტის ნიმუშების შესწავლაც მოუწევთ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე პოზიტიური წელი



**ასტროლოგიური პროგნოზების მიხედვით, ახალი 2015 წელი, რომელიც ცხვრის (თხის) ჰოროსკოპის ნიშნის ქვეშ გაივლის, გაცილებით პოზიტიური იქნება, ვიდრე მისი წინამორბედი.**

2015 წელი კარგი პერიოდია ახალი ტერიტორიებისა და ახალი კონტაქტების მოძიების მხრივ. იგი განსაკუთრებით წარმატების მომტანი იქნება ხელოვანი ადამიანებისთვის. მრავალი ასტროლოგი აღნიშნავს, რომ ახალი წელი ადამიანებს დაეხმარება დიდი ხნის წინათ არსებული კონფლიქტებისა და პრობლემების მოგვარებაში; დასტაბილურდება მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა; საგრძნობლად გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, ხოლო კრიზისი, რომელიც წლების განმავლობაში მრავალ სახელმწიფოს აწუხებდა, დასასრულს მიუახლოვდება.

ასტროლოგების თქმით, 2015 წელს კაცობრიობას დიდი შანსი აქვს, დიდი ცვლილებები განახორციელოს და შეცვალოს მსოფლიოში არსებული ვითარება. ცხვრის (თხის) წლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამახასიათებელი ნიშანი ეკონომიკური კეთილდღეობაა, რომელიც მრავალი ადამიანის ოჯახში დაისადგურებს.

ასტროლოგების თქმით, დადებითი ძვრების მთავარი მიზეზი რამდენიმე ასტროლოგიური ფაქტორია, რომელთა შორის პლანეტების ასპექტების ცვლა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, 2015 წლის პირველ ნახევარში დასრულდება ის უარყოფითი პროცესები, რომლებიც ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო. 2015 წლის ზაფხულში დედამიწაზე მომხდარი პოზიტიური მოვლენები საგრძნობლად გადაფარავს ნეგატივს. მრავალი ქვეყნის მოსახლეობას დაუბრუნდება ხვალინდელი დღის იმედი.

მართალია, ახალი წლის ყველა დეტალის წინასწარმეტყველება არც თუ ისე მარტივია, მაგრამ, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელს მომხდარი პოზიტიური მოვლენები ნამდვილად დაუვიწყარი იქნება ყველა ადამიანისთვის.

# მსოფლიოს ყველაზე მომღიმარი ბავშვი

**ყველაზე მოღიმარი ბავშვი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. ბავშვის მშობლები ამტკიცებენ, რომ პაწია მთელი დღის განმავლობაში იღიმება. მეტიც, ამბობენ, რომ ბავშვმა დადებითი ემოციების გამომჟღავნება საშვილოსნოშივე დაიწყო.**

ცოტა ხნის წინათ მედიკოსებმა წამოჭრეს ვერსია, რომ ბავშვებს დადებითი ემოციების გამომჟღავნება ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის დროს შეუძლიათ. მაგალითად, მომავალმა მშობლებმა ემი კრეგმა და ლეიტონ ჰარგრივზმა თავიანთი პატარის პირველი ღიმილი ორსულობიდან 31-ე კვირას დააფიქსირეს. ამის საშუალება მათ 4-განზომილებიანმა ულტრასონოგრაფიულმა კვლევამ მისცა.

„მე და ჩემი მეუღლე გაოცებული დავრჩით, როცა ექიმმა ჩვენი შვილის ფართო და გახსნილი ღიმილი დაგვანახა. თავად სამედიცინო პერსონალიც გაოცებული ჩანდა. დაბადების შემდეგ ლეო ძილშიც კი იცინის“, — ამბობს ბავშვის დედა ემი კრეგი.

ბრიტანეთში 5 თვის ლეო ჰარგრივზს ქვეყნის ყველაზე ბედნიერ ბავშვად მოიხსენიებენ. ბიჭუნა მართლაც გამუდმებით იღიმის და ირგვლივ საოცარ სიხარულს აფრქვევს.



მისი მშობლები სამოდელო სააგენტოების შეთავაზებებს ვერ აუდიან — ყველას უნდა, ლეოს გადაღებაზე ექსკლუზიური უფლება ჰქონდეს. თუმცა, მშობლები არ ჩქარობენ და სააგენტოებს ჯერჯერობით უარს ეუბნებიან.

აქამდე მიაჩნდათ, რომ ბავშვი დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ იწყებდა გაღიმებას. იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა პატარები თავიანთი მომაჯადოებელი ღიმილით მშობლებს დაბადების პირველ დღეებშივე ახარებდნენ. რა თქმა უნდა, ამ დროს ბავშვს გააზრებული სიხარულის განცდა არა აქვს, თუმცა ღიმილი მიანიშნებს, რომ ბავშვის განვითარება სწორად მიმდინარეობს. სამ და ოთხგანზომილებიანი ულტრასონოგრაფიული კვლევა თანდათან პოპულარული ხდება მსოფლიოში, რადგან უფრო და უფრო მეტი მშობელი იჩენს ცნობისმოყვარეობას, თუ როგორ გამოიყურება მისი შვილი.

# Apple-ი SIM-ბარათების დასამარებას გეგმავს

**კომპანია „ეფლის“ საშემოდგომო პრეზენტაციის მოლოდინი ბევრს არ გაუმართლდა. ამბობენ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მოსაწყენი ღონისძიება იყო ბოლო წლების განმავლობაში, რადგან ახალი პლანშეტები რევოლუციური ცვლილებების გარეშე წარადგინეს მომხმარებლების წინაშე. ერთი შეხედვით, ყველაფერი მართლაც ასეა, მაგრამ არის სიახლეც, რომლის შესახებაც ეფლის წარმომადგენლებმა არაფერი თქვეს.**

კუპერტინოში გადაწყვიტეს სიმბარათის ხელახლა გამოგონება და ამასთან, მოიფიქრეს იდეალური სქემა ეგრეთ წოდებული „მობილური მონობის“ დასამთავრებლად. „აიპად ეარ 2“-ის მყიდველები კომპლექტში მიიღებენ „ეფლის“ სიმბარათს, რომელსაც ნებისმიერ ოპერატორთან შეუძლია მუშაობა.

ჯერჯერობით ეს სიახლე მხოლოდ ამერიკასა და ბრიტანეთში მუშაობს, მაგრამ, თუ ეს პროდუქტი წარმატებული იქნება, „ეფლი“ თავის საფირმო ბარათებს მსოფლიოში გაავრცელებს. ახალ პლანშეტურ დეტალებში უკვე ჩადებულია ყველა საჭირო ოპერატორის ფუნქცია, მომხმარებელს მხოლოდ ის დარჩენია, აირჩიოს და შეცვალოს საკუთარი სურვილის მიხედვით.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ „ეფლის“ სიმი ერთჯერადი ფუნქციის არაა, მის მფლობელს აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს შეცვალოს ოპერატორი და ტარიფის გეგმა, მაგალითად, მოგზაურობის წინ ან განრიგის



შეცვლისას. ამისათვის აღარ არის აუცილებელი ოპერატორების სალონის მონახულება, განცხადებების წერა ან ოპერაციის ორჯერ შესრულება. ყველაფერი დაუყოვნებლივ მუშავდება აიპადში.

იმის გათვალისწინებით, რომ „ეფლის“ სიმი, შესაძლოა, რევოლუციური პროდუქტი გახდეს, არაა გასაკვირი, რომ პრეზენტაციაზე მის შესახებ არავის უსაუბრია და, სმარტფონების ნაცვლად, პლანშეტებზე გავრცელდება მისი გამოყენების არეალი. ასეთი კონცეფცია ოპერატორების ბიზნესს სერიოზულად დააზარალებს, რადგან მომხმარებელს აღარ ექნება აუცილებლობა, მოინახულოს ოპერატორი ტარიფების შესაცვლელად, მარტივად შეეძლება, თავადვე განაგოს ოპერაციები.

ჯერ რთულია იმის თქმა, გამოჩნდება თუ არა ეფლსიმი სმარტფონებზეც და შეძლებს თუ არა ამერიკული კომპანია „ბარათების რევოლუციის“ აუცილებლობაში ოპერატორების დარწმუნებას. ასეა თუ ისე, ეს ტექნოლოგია, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე გახდეს „ეფლში“ და მსოფლიოს მასშტაბით ოპერატორებსა და მომხმარებლებზე დიდი გავლენა იქონიოს.



# 39-წლიანი პატიმრობა უდანაშაულოდ

**ქალაქ კლივლენდის სასამართლომ გაათავისუფლა 57 წლის რიკი ჯექსონი, რომელმაც ციხეში 39 წელი გაატარა.** მამაკაცმა სასჯელი იმ დანაშაულისთვის მოიხადა, რომელიც სინამდვილეში არ ჩაუდენია. 1975 წელს ჯექსონი მხოლოდ 18 წლის იყო, როდესაც მას მკვლელობაში დასდეს ბრალი. საკვანძო მომენტი გახდა 12 წლის მოწმის ჩვენება, ამ მოწმემ კი წლების შემდეგ აღიარა, რომ სინამდვილეში იცრუა და დანაშაულის ჩადენის მომენტი საერთოდ არ უნახავს. სასამართლოს დარბაზის დატოვების შემდეგ ჯექსონმა განაცხადა, რომ მზადაა მოწმეს აპატიოს ცრუ ჩვენება, რომლის გამოც მას ციხეში თითქმის 40 წლის გატარება მოუხდა.

„დღეს ის ზრდასრული ადამიანია, მაგრამ 1975 წელს 12 წლის ბავშვი იყო. იგი პოლიციის ზეწოლის ქვეშ მოექცა, პოლიციამ კი ბავშვი ჩემი ციხეში ჩასმის მიზნით გამოიყენა“, — განაცხადა ჯექსონმა.

1974 წელს კლივლენდის ერთ-ერთ ქუჩაზე ბიზნესმენი ჩაცხრილეს, რის გამოც ჯექსონი და მისი ორი მეგობარი ჩასვეს ციხეში. თავდაპირველად, მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მადლობა ღმერთს, რომ მოგვიანებით სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეიცვალა.



# სიცრუის დეტექტორი ერთგულების ფიცის ნაცვლად

**დები ვუდი არის მსოფლიოში ყველაზე ეჭვიანი ქალი, ჩვენი დროის ოტელო. ეს ხუმრობა არ გეგონოთ, ქალს ამის დამადასტურებელი საბუთიც კი გააჩნია.**

ყოველდღე 43 წლის დები თავის საყვარელ მამაკაცს, 31 წლის სტივს, სიცრუის დეტექტორზე ამოწმებს.

იგი იმდენად ეჭვიანია, რომ ყოველდღე თვალყურს ადევნებს მის საბანკო ოპერაციებს, ამოწმებს სტივენის ელექტრონულ ფოსტას და კითხულობს მესიჯებს. უფრო მეტიც, დები თავის პარტნიორს სხვა ქალებისკენ გახედვასაც კი უკრძალავს, არა მხოლოდ რეალური ქალებისკენ, არამედ ჟურნალის გარეკანზე დაბეჭდილისკენაც. ხოლო იმისთვის, რომ სტივი შემთხვევით არ გადააწყდეს ვინმეს ტელეეკრანზე, დებიმ ტელევიზორზე სპეციალური ფილტრი დააყენა, რომლის მეშვეობითაც, სტივენს მხოლოდ საგანმანათლებლო და საბავშვო გადაცემების ყურება შეუძლია.

ამის მიუხედავად, სტივენი თავს დაჩაგრულად არ გრძნობს. ახლახან უჩვეულო წყვილმა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ ეკლესიაში იქორწინა.

# მას 30 წელი შეუსრულდებოდა

**გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ ბინა-მუზეუმში ახალგაზრდა პოეტ დათა გულუას შემოქმედებისადმი მიძღვნილი შეხვედრა გაიმართა.**
**18 წლისა იყო, როცა ამ ქვეყნიდან წავიდა.**
**დათა გულუას ლექსების პირველი კრებული 2004 წელს გამოიცა; მეორე, შევსებული წიგნი ამ შეხვედრაზე წარუდგინეს მკითხველ საზოგადოებას.**

„დათა გულუას ლექსებმა მიიპყრო ბევრი ქვეყნის ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. მისი პოეზია ითარგმნა დანიაში, შვედეთში, ესტონეთში, ბულგარეთსა და რუსეთში. თბილისშიც თარგმნეს რუსულ ენაზე. მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით, მისი ლექსები შეიტანეს „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“.

2009 წლის აგვისტოში მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო ფესტივალზე მას მიენიჭა ოქროს მედალი — „სიტყვიერების დიდოსტატს“ — მაღალი პროფესიონალიზმის, ლიტერატურისა და ნაციონალური კულტურის განვითარებისა და წინსვლის საქმეში შეტანილი წვლილისათვის“, — წერს მეორე გამოცემის წინათქმაში კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ლელა მელიქიშვილი.

**პოეზიის ამ სავანეში — გალაკტიონის სახლში შევხვდი ჩვენი ქვეყნის ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს ბაკურ გულუას — დათას მამას.**

**— მამის განცდები, ბატონო ბაკურ, აქ და ასეთ ვითარებაში რთულია და ძნელად მოსაძებნი. ერთი მხრივ, მშობლის ტკივილია, პირადული, ტრაგიკული, გარეთ არგამოსატანი; მეორე მხრივ, ისეთი ვითარებაა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტის მომსწრენი ვართ, რომ მისდამი საკუთარი დამოკიდებულება არ გაამჟღავნოთ, არ ეგების.**

— მართლაც გამიძნელდება რაიმეს თქმა, მაგრამ ვალდებული ვარ.

დავიწყებ იმით, რომ დათას მაღალი გემოვნება ჰქონდა და იცოდა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სიმაღლე და მიუწვდომლობა. ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართებოდა გალაკტიონის მემორიალურ ბინაში, მარჯანიშვილის ქუჩაზე.

აქ, ამ წმინდა ადგილას დათა ბავშვობიდან ბევრჯერაა ნამყოფი. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა, კერძოდ, მისმა ხელმძღვანელმა სვეტლანა ქეცბამ, დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორებმა სწორედ აქ რომ გადაწყვიტეს ამ ღონისძიების მოწყობა, ეს გალაკტიონის პოეტურ სიტყვასთან დათას შემოქმედების მიახლოების სიმბოლოდ წარმომიდგება.

ეს აფხაზური ცენტრი დიდად სასარგებლო საქმეებსაა შეჭიდებული და ფართო საზოგადოებას წარუდგენს ხოლმე ამ ძირძველი ქართული მიწიდან აღმოცენებულ სულიერ და კულტურულ სიმდიდრეთა ნიმუშებს. დათას დედა სოხუმელია და დიდად ვარ მადლობელი, რომ ქალბატონმა სვეტლანამ (რომელიც წლების განმავლობაში აფხაზეთის კულტურის მინისტრი იყო), დათას პოეზია შეაფასა, როგორც ღირსეული მოვლენა ამ სიმდიდრეთა დონემდე აღზევებული.

თერთმეტი წელიწადი და ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დათა არ არის ამ ქვეყანაზე, 21 დეკემბერს ჩემი ვაჟი 30 წლისა უნდა გამხდარიყო. „მას 30 უნდა შესრულებოდა,“ — ასე ჰქვია ამ შეხვედრასაც.

გალაკტიონის ეს სავანე პოეზიის მოყვარული საზოგადოებისთვის ნებისმიერ დიდ დარბაზზე უდიდესი და უმნიშვნელოვანესია.

დათას ლექსებზე პროფესიონალები უფრო მეტს იტყვიან. მე კი, როგორც მამამ, შემიძლია ვთქვა, რომ სახლში მყავდა საოცრად განსხვავებული თვისების ბიჭი, რომელმაც წინასწარ იცოდა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლისთვის არ იყო ამქვეყნად მოვლინებული. ამის შესახებ თავის ლექსებში წერდა.

დათას ხშირად ტერენტი გრანელს ადარებენ, მაგრამ, მისგან განსხვავებით, იგი ბედს არ მისტირის და ბედთან არის შერიგებული. ეს რომ ღვთის ნებაა, ლექსებში უწერია.

**მე შენ გაჩუქე თვე**
**გაზაფხულის,**
**შენ კი დამითმე**
**ბილიკი ზამთრის,**
**მე მაინც მიყვარს**
**ის სასწაული,**
**თეთრი კვიცივით**
**უცებ რომ გარბის.**

საოცარია, დათამ რომ დაწერა, შაბათ დღეს ნარიყალაზე დამასაფლავებენო.

ასეც მოხდა... სამწუხაროდ...

აღარ მყავს ჩემი ლამაზი ბიჭი... რა ვიცი, მეუბნებიან, უნდა იამაყოო, მაგრამ ჩემს საფიქრალს ბევრი რამ ზედ ადევს. მენატრება ძალიან.

**პროფესიონალები უკეთ შეაფასებენო დათას შემოქმედებას, თქვა ბატონმა ბაკურმა.**

ვთხოვოთ.

**ცნობილი ქართველი პოეტი გენო კალანდია, რუსთაველის პრემიის ლაურეატი:**

— ჩემს პატარა წერილში დათა გულუას ქართული პოეზიის უფლისწული ვუწოდე. სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სიცოცხლე, მაგრამ რაც დაგვიტოვა ამ პატარა ბიჭმა, ამ უფლისწულმა, ღირებულია, ძალიან დიდი ლექსები აქვს. ვფიქრობ, დათა გულუა ცოცხალი რომ ყოფილიყო, უზარმაზარი ქართველი პოეტი იქნებოდა, თავისი დიდი შინაგანი ენერგიითა და პოეტური კულტურით. ასე მოხდებოდა იმიტომ, რომ ეს ყველაფერი 18 წლის ბიჭის შემოქმედებაში უკვე ჩანს.

საწყენია, რომ ასე ადრე წავიდა ჩვენგან, მაგრამ დაგვიტოვა შესანიშნავი ლექსები, ჩვენთან დარჩა, როგორც ერთი, გამოკვეთილი და ლამაზი უფლისწული ქართული პოეზიის.

**ელდინო საღარაძე, მსახიობი, გურამ საღარაძის შემდეგ მხატვრული კითხვის (როგორც უწინ ამბობდნენ) უბადლო ოსტატი:**

**— რით მოგხიბლათ ამ პატარა ბიჭის პოეზიამ, ქალბატონო ელდინო?**

— მომხიბლა ის სიტყვა არ არის. შეიძლება ითქვას, გამაოგნა. ჭკუიდან გადამიყვანა.

იცით, რომელი პოეტების კატეგორიას მივაკუთვნებდი დათა გულუას? ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც ძალიან ადრე წავიდა, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ტერენტი გრანელი, რომლებმაც, ჩვენ რომ გვგონია, ვერ ამოწურეს თავიანთი ნიჭი, ბოლომდე ვერ დაიხარჯნენ პოეზიაში. ჩვენ გვგონია, თორემ როგორ შეიძლება, უფალს რამე შეშლოდა და უფრო ადრე გაეყვანა ამ ქვეყნიდან, ვიდრე ისინი თავიანთ შესაძლებლობებს სრულად დახარჯავდნენ?! მადლობა უფალს, რომ დათაში ჩადო ეს შესაძლებლობები და მადლობა მას, რომ არ დაკარგა უფლის ეს ჩანაფიქრი თუ საჩუქარი, სრულად გამოიყენა და დაგვიტოვა გამაოგნებელი პოეზია.

ჩემთვის ასეა.

იმას არ და ვერ ვიტყვი, რომ აქ ყველაფერი რიგზეა, დალაგებულია. არა. მაგრამ არც შეიძლებოდა ასე ყოფილიყო, რადგან ასაკი ამ შემთხვევაში გადამწყვეტია. მაგრამ ეს გამაოგნებელი სამყარო ხომ მისი იყო და ჩვენ ამ სამყაროს მოგზაურები გაგვხადა. როგორ შეიძლება, რომ მადლიერების გრძნობა არ გვქონდეს.

ჩვენ საკუთარი ინტელექტიდან, წარმოსახვებიდან თავს უფლებას ვაძლევთ, ზოგჯერ გავასწოროთ ამ მართლა გენიოსების შემოქმედებიდან ზოგიერთი დეტალი, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენი უფრო კარგია, ვიდრე იმათი? არავითარი გარანტია! უზრალოდ, მიჩვეულები ვართ, ამოვიდეთ ჩვენი მედან.

მე ვეთაყვანები მის მეს და ვღებულობ ისეთს, როგორიც იყო და როგორიც დამიტოვა.

* * *

**სწორედ ასეთი აღქმითა და სრულად შეწირული გრძნობით წაიკითხა დათოს ლექსები ელდინო საღარაძემ იმ დღეს.** ჩამოღვენთილი სანთელივით ენთო ის შეხვედრა გალაკტიონის მემორიალურ ბინაში და ვხედავდით, სიბრძნის საზღვარზე იალქანაშლილი ბიჭი, რომელსაც უმეცრების დაშლა მოესწრო, როგორ მიემართებოდა ბედის ეტლით სულ მაღლა, სულის სრულყოფისკენ.

და გვესმოდა დათა გულუას ანდერძად ნათქვამი: **„გიყვარდეთ ერთმანეთის სულები და გაუფრთხილდით მათ ისე, როგორც უფრთხილდებით თქვენს სხეულს. სულს თავისი სისხლი გააჩნია და, თუ მისგან დაიცალა ადამიანი, უმალვე ლეშად გადაიქცევა, ლეში კი ყარს...**

**დავუნთოთ ერთმანეთს სულებში სანთლები, რადგან ხვალ მათი ერთობლიობა მომავლის გალაქტიკის მზეს კიდევ ერთ სხივს შეუზრდის“** *(2002 წლის 19 ოქტომბერი).*

ზეცას ახედეთ, ადამიანებო, სადაც „მზემ ჩამოიხრჩო სხივებით თავი“ და სადაც ამაღლდა პოეტი, როგორც „ეპოქის შურისძიება“, და იცხოვრეთ „იმიტომ, რომ ცხოვრება ბრძოლაა“ „ვარდების ომიდან — ეკლების ომებამდე“.

**არმაზ სანებლიძე**




**დათა გულუა**

## მზემ ჩამოიხრჩო სხივებით თავი

ეჰ! სული კალამს ისევ დასჯერდა,
ის გადამწვარი, ცხელი ხელებით...
მელანში ჩავწექ მე კვლავ ასჯერ და
ათიათასჯერ ნიღბის ფერებით.
აქ ძვლიდან ძვლამდე გადაუჭიმავს
ობობასავით გულს ეს ქსელები
და შენ იჯექი ტარანტულივით,
ისე დავმძიმდი, ველარ გელევი.
მიჯაჭვული ვარ მე ჩემს სარეცელს,
თეთრი ოთახი გახდა საკანი
და ვიცი, ღამე ხანჯალს დაეძებს,
რომ გადამიჭრას სევდის ქამარი.
დამწვარი მთვარე ბჟუტავს ღრუბელზე,
ხელებს ურტყამდა ჯებირებს წვიმა
და ალიონის ცისფერ ღუმელზე
თითქოს ხარშავდნენ ქალაქის დილას.
ისევ დავყურებ ბებერ შენობებს,
ინთება კვამლი დღეს ქუჩებიდან,
მე ღვინო ვასვი გუშინ დემონებს,
მთვრალნი გავყარე სარკმელებიდან.
ჩვენ დიდხანს ვბჭობდით, რომ პოეზია
არის სიტყვების ოქროს ოლარი,
მათ იგრძნეს, ჩემს სულს ლექსი ესია,
რომ ჩემს საყდარში არავინ არი.
რომ ხან დარაბებს მიველეწები,
რომ გაზაფხული ისევ გაიხსნას,
სიბნელეები, როგორც მხეცები,
ცდილობენ, ცხელი ვნება დამისხან.
კვლავ დავიმდუღრე ჭრელი ნიღაბი
და ირონია შემრჩა კოჟრებად,
ამიცახცახდა უცებ ნიკაპი
და დაიფანტა ღამე ბოშებად.
აჯანყებულან ჩემში რითმები,
სიცარიელე კვლავ ამომშრალა
და ვიცი, ღამევ, ისევ ფითრდები,
შენ ხომ სიბნელე გედება ბრალად.
ახალი გლოვა მოფრინდა გრილი
და თითქოს ზეცად მოვარდა ზვავი,
მე გამეყინა უცებ ღიმილი,
ჩემი სარკმლის წინ, მტვრიან ქალაქზე,
მზემ ჩემოიხრჩო სხივებით თავი.
და მეეზოვე გვიდა სახეებს,
ამ შემოდგომამ კვლავ რომ დაფანტა
და დავემსგავსეთ ისეთ მარეკებს,
ზეცას ეწერა დიდად: „დაღამდა“!
მეტეხის ძირას მტკვარი ბოდავდა
და შიშით კლდეებს ეკიდებოდა,
ნუთუ სინათლე, სხივი მოთავდა? —
ის ხიდებს ფიქრით ეკითხებოდა.
და ირწეოდა მზე ჩამომხრჩვალი,
ვისი ბრალია მისი სიკვდილი?
ვისი ბრალია, რომ ნარიყალას,
პირველად უნდა ქვებზე ტირილი?!
და სული კალამს ისევ დასჯერდა
ატყავებული, ცხელი ხელებით,
მელანში ჩავწექ მე კვლავ ასჯერ და
გულს მივიყარე მიწა ბელტებით.

10.02.2003

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩევენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვატკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894